გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საჯარო მმართველობის და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი.
nino.gorgiladze19@gruni.edu.ge

**აბსტრაქტი**

**ნაშრომის აქტუალობა:** სტანდარტები, პროტოკოლები, ალგორითმები კარგია პრაქტიკოსი პროფესიონალებისთვის, შეცდომებისა და სამართლებრივი პასუხისმგებლობის რისკის შემცირებისათვის. მათი გამოყენება ითვალისწინებს ტექნიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას და პრაქტიკით გამყარებას. განვითარებისთვის აუცილებელია არსებული სტანდარტების დახვეწა და გაუმჯობესება, მტკიცებულებაზე დაყრდნობილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვა, ასევე, კარგი პრაქტიკის განზოგადება და თეორიულ ცოდნაში გადატანა. ამისთვის საჭიროა, გარკვეული ფუნდამენტური ცნებებისა და კანონზომიერებების ცოდნის საფუძველზე, მოვლენების არსში გაცნობიერებული წვდომა და პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომა.

**ნაშრომის მიზნები:**

- დაინტერესებული პირები (სტუდენტები, ბიზნესმენები, მენეჯერები და სხვა) აღჭურვოს ისეთი ცოდნით, რომელიც მისცემს შესაძლებლობას, გაცნობიერებულად აღიქვან ბიზნესპროცესები, გამოავლინონ ბიზნესპროცესებზე მოქმედი ხელშემწყობი და

ხელშემშლელი ფაქტორები, პროცესის ზოგად კანონზომიერებებზე დაყრდნობით, ჩაატარონ სწორი ანალიზი და მიიღონ მტკიცებულებაზე დაყრდნობილი, მართებული და ოპტიმალური გადაწყვეტილებები;

- ფუნდამენტური ცნებებისა და კანონზომიერებების შესახებ ცნობიერების დონის შესწავლა და ამ ცოდნის მიღების საჭიროების განსაზღვრა;

შინაარსი: ნაშრომში განხილულია, პროცესების გაცნობიერებულ აღქმის, ანალიზის და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო, ფუნდამენტური ცნებები და კანონზომიერებები:

1. დიალექტიკის 3 ძირითადი კანონი;
2. სტრუქტურა და ფუნქცია, მათი დიალექტიკური ერთიანობა;
3. სისტემის ცნება და შინაარსი, სისტემის ელემენტები და პარამეტრები;
4. პროცესის ცნება და შინაარსი;
5. პროცესი და მდგომარეობა. პროცესის მყისიერი მდგომარეობა;
6. წონასწორობის ცნება და კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპები;
7. ლე შატელიეს პრინციპი დინამიკური წონასწორობისათვის, მისი საყოველთაო ხასიათი;
8. სისტემა და გარემო;

მეთოდები: ნაშრომი ძირითადად თეორიული ხასიათისაა და გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: ანალიზისა და სინთეზის, დედუქციისა და ინდუქციის, სისტემური, სტრუქტურულ-ფუნქციური, შედარებითი და  სოციოლოგიური.

კვლევის შედეგები: ნაშრომის ფარგლებში ჩატარდა სოციოლოგიური კვლევა, რომლის მიზანია ფუნდამენტური ცნებებისა და კანონზომიერებების შესახებ ცნობიერების დონის შესწავლა და ამ ცოდნის მიღების საჭიროების განსაზღვრა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 144-მა რესპონდენტმა. სოციოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლინდა:

- საკვლევ ჯგუფს აქვს გარკვეული ცოდნა დიალექტიკის ძირითადი კანონების, სისტემისა და დინამიკური წონასწორობის შესახებ;
- საკვლევ ჯგუფში შედარებით დაბალია ცოდნა ლე შატელიეს პრინციპის შესახებ;
- საკვლევი ჯგუფის დიდი უმრავლესობა (80%-ზე მეტი) დაინტერესებულია, გაიღრმავოს ცოდნა ფუნდამენტური ცნებებისა და კანონზომიერებების შესახებ და თვლის, რომ საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილი იყოს შესაბამისი სწავლების კურსი.

დასკვნა: ნაშრომში წარმოდგენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვა შეამცირებს მცდარი გადაწყვეტილებების მიღების რისკს, რაც დადებით გავლენას მოახდენს ბიზნეს პროცესების მდგრადობაზე და ზოგადად, ბიზნესის განვითარებაზე.
ნაშრომის აკადემიურ წრეებში განხილვა ხელს შეუწყობს კრიტიკული აზროვნების საფუძვლების სასწავლო კურსის დანერგვას საგანმანათლებლო პროგრამებში.

საძიებო სიტყვები: სტრუქტურა და ფუნქცია, პროცესი, სისტემა, დინამიკური წონასწორობა;

# Elements of Critical Thinking in Business

**Gorgiladze Levan**
Grigol Robakidze University
PhD in Business Administration
Associated Professor, School of Business and Management
E-mail: levan.gorgiladze02@gruni.edu.ge

**Gerzmava Otar**
Grigol Robakidze University, PhD,
Full Professor of Public Health and Health Management, School of Medicine
E-mail: otar@nilc.org.ge

**Gorgiladze Nino**
Grigol Robakidze University, PhD Student, School of Public Administration and Politics
E-mail: nino.gorgiladze19@gruni.edu.ge

## Abstract

**Relevance of the work:** Standards, protocols, and algorithms are suitable for practising professionals to reduce the risk of errors and legal liability. Their use leads to the development of technical skills and strengthens the practice. For professional development, it is essential to refine and improve existing standards, implement evidence-based theoretical knowledge into practice, generalise good practice, and transfer it to theoretical knowledge. All of these require conscious access to the essence of events and a creative approach to the problem based on the knowledge of certain fundamental concepts and regularities.

**The purpose of the study:**

- To equip stakeholders (Students, Businessmen, Managers and others) with the knowledge that enables them to consciously perceive business processes, to identify facilitating and hindering factors affecting business processes based on the general regularities of the process, to conduct a correct analysis and to make evidence-based, valid and optimal decisions;
- To study the level of awareness of fundamental concepts and regularities and determine the need to obtain this knowledge.

**Content:** The paper discusses the fundamental concepts and regularities necessary for conscious perception, analysis and optimal decision-making of processes:

- Three basic laws of philosophy (dialectic);
- The structure and Function, their Dialectic Unity;
- The concept and the content of the system, elements and parameters of the system;
- The concept and scope of the process;
- The concept of balance and basic principles of classification;
- Le Chatelier's principle for dynamic equilibrium, its universal character;
- System and environment;

**Research methodology:** The paper uses the following research methods: analysis and synthesis, deduction and induction, systemic, structural-functional, comparative and sociological study.

The purpose of sociological research was to study the level of awareness of fundamental concepts and regularities and to determine the need to acquire this knowledge. ----- respondents took part in the research.

**Results of sociological research:**

- The research group has some knowledge about the fundamental laws of dialectics, systems and dynamic equilibrium;
- Knowledge of Le Chatelier's principle is relatively low in the research group;
- The vast majority of the research group (> 80%) is interested in extending knowledge about fundamental concepts and regularities and believes that the implementation of relevant teaching courses in educational programs is required.

**Conclusion**: Implementation of the theoretical knowledge presented in the paper will reduce the risk of wrong decisions, which will positively affect to the sustainability of business processes and business development.

Discussion of the paper in academic circles will assist in the implementation of the teaching course - the basics of critical thinking - in educational programs.

**Keywords:** Structure and Function, Process, System, Dynamic Equilibrium.

## Artificial Intelligence implications on the future jobs and skills: A fresh perspective from Netherlands and Germany

**Prof. Dr. Muhammad Ashfaq**
IU International University of Applied Sciences, Germany
Department: Business and Management
E-mail: muhammad.ashfaq@iu.org

**Abstract**

Artificial Intelligence (AI) is in a position to cause the most important changes through advances in innovative technologies. As per PWC analysis, it is expected that by the end of 2030 AI will contribute USD 1.57 trillion to the global economy. Thus, AI has profound implications for the employment market. The purpose of this paper is to unearth the current state of AI applications and their impact on job employment trends in Germany and the Netherlands.

As many new forms of jobs are being created due to AI, it is worth understanding and conducting an analysis of potential opportunities, challenges, and risks that it might cause.

Studies have been conducted on this subject from employer, stakeholder and employee points of view or perspectives.

This study also seeks to find out if there is a general lack of understanding of AI among the public, and whether it is more apparent in one of the two countries. The question of whether AI implementation will lead to the elimination of jobs, or whether the benefits outweigh the risks, will also be studied.

There is clearly a need to conduct further research, especially large-scale surveys, to gather and understand general public perceptions about this, as it is vital to support better policy development in this regard.

**Keywords:** Artificial Intelligence, employment, Netherlands, Germany

# საქართველოს როგორც ბრენდის პოზიციონირების შესაძლებლობები საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე

**ირაკლი აბაშიძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობა
ბიზნესისა და მართვის სკოლა, ასისტენტ-პროფესორი
ელ-ფოსტა: irakli.abashidze02@gruni.edu.ge

**აბსტრაქტი**

ბრენდის განვითარების პროცესში პოზიციონირების მიმართულებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მიზნობრივი აუდიტორიის შთაბეჭდილებებზე, გადაწყვეტილებებსა და ქცევაზე. ტურიზმის ინდუსტრიაში, ადგილის ბრენდინგის პროცესის მართვისას პოზიციონირება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე თუ რა მახასიათებლები აქვს კონკრეტულ ქვეყანას ან ქალაქს. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ მარკეტინგული კომუნიკაციის სტრატეგიის ძირითადი მიმართულება, გარკვეულწილად, ბუნებრივადაა განსაზღვრული. მიუხედავად ამისა, მარკეტინგული მიზნებიდან გამომდინარე, ადგილის ბრენდინგშიც შეიძლება პოზიციონირების ისეთი სტრატეგიის არჩევა, რაც ახალ დამოკიდებულებებს და შთაბეჭდილებებს შეუქმნის მიზნობრივ აუდიტორიას. რა თქმა უნდა, ეს ხანგრძლივი პროცესია და დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ისიც გასათვალისწინებელია თუ რა შედეგის მომტანი იქნება არჩეული სტრატეგია როგორც მოკლევადიანი კომერციული თვალსაზრისით, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში, როცა ადგილი უნდა ჩამოყალიბდეს სრულფასოვან ბრენდად უცხოელი მოგზაურების ცნობიერებაში. საქართველოს როგორც ბრენდის პოზიციონირების მიმართულების წინაპირობად შეიძლება ჩაითვალოს მისი ბუნებრივი პირობები და მდიდარი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა. მთიანი რელიეფი, ზღვისა და მთის შერწყმა, ღვინის სამშობლოს სტატუსი, მრავალფეროვანი სამზარეულო და სტუმართმოყვარეობის ტრადიცია ხელსაყრელი წინაპირობებია პოზიციონირების მომგებიანი სტრატეგიის ჩამოსაყალიბებლად. თუმცა, საერთაშორისო ტურისტულ ინდუსტრიაში მაღალი კონკურენციის გამო, მოგზაურებს დიდი არჩევანი აქვთ და გადაწყვეტილებებსაც დეტალური განსჯის შედეგად იღებენ. სწორედ ამიტომ არის საჭირო საქართველოს როგორც მრავლისმომცველი ტურისტული მიმართულების პოზიციონირება. ეს შესაძლებელს გახდის საქართველოში ჩამოსვლის გადაწყვეტილება მიიღოს სხვადასხვა მიზნობრივი სეგმენტის მოგზაურებმა. სამიზნე ქვეყნების აუდიტორიებთან კომუნიკაციისას საჭიროა თანხვედრაში იყოს მიზნობრივი აუდიტორიის ინტერესები და შეთავაზებული ფასეულობა. მეორეს მხრივ, ბრენდინგისა და პოზიციონირების სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელია ეს პროცესი ისე წარიმართოს, რომ მიზნობრივ აუდიტორიაში საქართველო პირველ რიგში ასოცირდებოდეს ერთ კონკრეტულ ფასეულობასთან, რაც განაპირობებს

საქართველოს როგორც ტურისტული მიმართულების ზოგად იმიჯსა და რეპუტაციას. მაგალითად, გამართლებული იქნებოდა, რომ უცხოელ მოგზაურებში საქართველო ასოცირდებოდეს ქვეყანასთან, სადაც ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმის ინდუსტრიის თანამედროვე სტანდარტები. ქვეყნის როგორც ბრენდის ჩამოყალიბებაში და პოზიციონირების მიმართულებების განსაზღვრაში წამყვანი როლი სახელმწიფოს ეკისრება. ტურიზმის ადმინისტრაციამ პროფესიონალების ჩართულობით უნდა შექმნას ერთიანი სრატეგია, რაც საფუძვლად დაედება მარკეტინგული კამპანიების განხორციელებას საერთაშორისო ტურისტულ ბაზრებზე. აქედან გამომდინარე, საკითხი მოითხოვს სიღრმისეულ კვლევას და შესაბამის დასკვნებს.

**საკვანძო სიტყვები:** ადგილის ბრენდინგი; ტურიზმის მარკეტინგი; საერთაშორისო ტურიზმი; საქართველო

# Opportunities for positioning Georgia as a brand in the international tourism market

Irakli Abashidze
Grigol Robakidze University Batumi Reprezentation
School of Business and Management, Assistant-Professor
E-mail: irakli.abashidze02@gruni.edu.ge

## Abstract

Positioning in the process of brand development has a significant impact on impressions, decisions and behavior of a target audience. In the tourism industry, the direction of positioning in managing the process of place branding considerably depends on the characteristics of a particular country or a city. Therefore, the main direction of the marketing communication strategy is, to some extent, predetermined. Nevertheless, depending on the marketing objectives, positioning in place branding can be chosen so that it creates new attitudes and impressions among target audiences. This is a long process and requires considerable efforts. It is also necessary to consider what results the chosen strategy can bring, both from a short-term commercial point of view, and in the long-term perspective, when the place should be established as a full-fledged brand in the consciousness of foreign travelers. Its natural conditions and rich historical and cultural heritage can be considered as a prerequisite for positioning Georgia as a brand. The mountainous terrain, the combination of sea and mountains, the status of the birthplace of wine, diverse cuisine and the tradition of hospitality are favorable prerequisites for establishing a profitable positioning strategy. However, due to the high competition in the international travel industry, travelers have multiple choices and make decisions based on detailed judgment. Therefore, it is necessary to position Georgia as a diverse tourist destination. This will make it possible for travelers of different target segments to make a decision to travel to Georgia. While communicating with audiences in target countries, the interests of the chosen segment and the value proposed to them need to be in compliance with each other. On the other hand, based on the specifics of branding and positioning, it is necessary to conduct this process in such a way that the target audience associates Georgia with one specific value, which determines the general image and reputation of the country. For example, it would be reasonable that foreign travelers associate Georgia with a country where rich cultural heritage and modern standards of tourism industry are

harmoniously combined. The state plays a leading role in shaping the country as a brand and determining the positioning strategies. The tourism administration, with the involvement of professionals, should create a unified strategy, which will be the basis for conducting marketing campaigns in international tourism markets. Thus, the issue requires comprehensive research and respective conclusions.

**Keywords:** Place branding, Tourism marketing, International tourism, Georgia

## სამედიცინო ტურიზმის სახელმწიფო ხელშეწყობა და წახალისება

**გიგი ყუფარაძე,** პროფესორი
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი
ბიზნესი და მართვის სკოლა, ტურიზმის პროგრამის ხელმძღვანელი
E-mail: gigi.kuparadze@gruni.edu.ge

**აბსტრაქტი**

ტურიზმის ინდუსტრიაში არის სექტორები, რომელთა განვითარებაში სახელმწიფოს როლი მინიმალისტურია. ასეთ შემთხვევებში ბიზნესის თავისუფლება გაცილებით მეტად ფასობს, ვიდრე სახელმწიფოს მხრიდან რეგულირება და მკაცრი ადმინისტრირება. ამის საპირისპირო შემთხვევაა სამედიცინო ტურიზმი. მისი განვითარების საქმეში სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობასა და წახალისებას, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან ტურიზმის ეს სახე უშუალო კავშირშია სამედიცინო დაწესებულებებთან: საავადმყოფოებთან, ჰოსპიტალებსა და კლინიკებთან, ექიმებთან და სამედიცინო პერსონალთან. ეს კი, სწორედ ის სფეროა, რომელიც ყველა ქვეყანაში სახელმწიფოს მხრიდან რეგულირდება ლიცენზირებისა და სერტიფიცირების მეშვეობით.

როგორც გვარწმუნებენ მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (მტო) და ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეთგო) ექსპერტები, სამკურნალო ტურიზმი, და რა თქმა უნდა, მისი ერთ-ერთი სახე სამედიცინო ტურიზმი, უახლოესი 20-30 წლის მანძილზე იქნება ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი ტურიზმის სახე. ამიტომ არა მარტო ქვეყნები, არამედ რეგიონები და ტურისტული მიმართულებები აკეთებენ საკუთარ ბრენდინგს ან რებრენდინგს, როგორც სამკურნალო, სამედიცინო ან ველნეს მიმართულებები. საერთაშორისო სამედიცინო მოგზაურობების ჟურნალის (International Medical Travel Journal) მონაცემებით 2015 წელს სამედიცინო ტურიზმის გლობალური ბაზარი განაგრძობდა ზრდას და მისმა შემოსავლებმა 439 მლრდ. აშშ. დოლარს მიაღწია.

სამკურნალო ტურიზმის განვითარებაზე გავლენას მოახდენს კორონა ვირუსის პანდემია. მის გამო გაზრდილია ადამიანების მოტივაცია, მეტი ყურადღება დაუთმონ საკუთარ ჯანმრთელობას და მოახდინონ დაავადებების პრევენცია. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ მომავალში კიდევ უფრო დიდი იქნება სამკურნალო ტურიზმის და მის ორივე ძირითადი კომპონენტის - სამედიცნო ტურიზმისა და ველნეს ტურიზმის ზრდის ტემპი. ეს დამატებით შესაძლებლობას წარმოადგენს ზოგადად ქვეყნისთვის, ასევე სამედიცინო დაწესებულებისათვის, სპა და ველნეს ოპერატორებისა და კურორტებისათვის.

რამდენიმე ქვეყანას მიღებული აქვს პოლიტიკური გადაწყვეტილება სამედიცინო ტურიზმის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ. სტატიაში წარმოდგენილია ინფორმაციები ჩეხეთში,

უნგრეთში, იორდანიაში, მალაიზიაში, ტაილანდში, ბრაზილიაში, სამხრეთ კორეასა და კვიპროსში გატარებული ღონისძიებების შესახებ. ასევე, მოტანილია მონაცემები პანდემიამდელ პერიოდში საქართველოში სამედიცინო ტურიზმის არსებულ მდგომარეობაზე. სამწუხაროდ, სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული მხარდაჭერის ღონისძიებები საკმაოდ მწირი იყო.

ამ ფონზე, ჩვენი აზრით, აუცილებელია მთლიანად საქართველოს მთავრობამ, განსაკუთრებით კი საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და ტურიზმის ეროვნულმა სააგენტომ მაქსიმალური ძალისხმევა მიმართონ სამედიცინო ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად. სხვა შემთხვევაში, შეიძლება ძალიან დავაგვიანოთ, ამ პროცესის საწყის ფაზაში უქმად დავკარგოთ დრო, სხვა ქვეყნები ძალიან დაწინაურდნენ და შემდეგ ბაზარზე ჩვენი ადგილის მოსაპოვებლად ძალიან დიდი დრო, ფინანსები და შრომა დაგვჭირდეს.

**საძიებო სიტყვები:** სამკურნალო ტურიზმი; სამედიცინო ტურიზმი; სპა.

# Government support and incentives of medical tourism

**Gigi kuparadze,** Professor
Grigol Robakidze University, Georgia
E-mail: gigi.kuparadze@gruni.edu.ge

## Abstract

There are sectors in the tourism industry where the role of developing them from side of the government is minimalist. In such cases, freedom of the business is much more valuable than state regulation and strict administration. The opposite case is medical tourism. It can be said that the state support and incentives in the development of medical tourism is crucial. It cannot be otherwise, because this type of tourism is directly related to medical institutions: hospitals and polyclinics, doctors and medical staff. This is exactly the field which is regulated by government through licensing and certification in all countries.

As the experts of World Tourism Organization (UNWTO) and The Organisation for Economic Co-operation and Development (OECD) assure us, Helth Tourism, and of course one of its forms, medical tourism, will be one of the fastest developing types of tourism in the next 20-30 years. Therefore, not only countries, but also regions and tourist destinations are branding or rebranding themselves as health, medical or wellness destinations. According to International Medical Travel Journal, the global medical tourism market continued to grow in 2015 and its revenues reached 439 billion US dollars.

The development of medical tourism will be affected by the Corona Virus pandemic. Because of it, the motivation of people to pay more attention to their health and prevent diseases has increased. Therefore, it is likely that the growth rate of Health tourism and both of its main components – Medical tourism and Wellness tourism – will be even greater in the future. This is an additional opportunity for the country in general, as well as for medical facilities, spa and wellness operators and resorts.

Several countries have made a political decision on state support for medical tourism. The article provides information on events held in the Czech Republic, Hungary, Jordan, Malaysia, Thailand, Brazil, South Korea and Cyprus. Also, data on the state of Medical tourism in Georgia in the pre-pandemic period. Unfortunately, the support measures implemented by the government were quite scarce.

Because of all above mentioned in our opinion, the Government of Georgia and especially the Ministry of Health and Social Affairs of Georgia and the National Tourism Agency should make every effort to promote the development of medical tourism. Otherwise, we may be too late to waste too much time in the initial phase of this process, while other countries are too advanced, and then we will need a lot of time, finances and effort to gain our place in the market.

**Key words**: Health tourism; Medical tourism; Spa

# ღვინის ტურიზმის მარკეტინგული სტრატეგია საქართველოში

**მაკა ფირანაშვილი**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესის და მართვის სკოლა, ასოცირებული პროფესორი
ტურიზმის პროგრამის ხელმძღვანელი
ელ-ფოსტა: makapiranashvili@yahoo.com

**ლამარა ქადაგიძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სკოლა, პროფესორი
ელ-ფოსტა: Lamara_kad@yahoo.com

**ერეკლე უგრელიძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესის და მართვის სკოლა, ასოცირებული პროფესორი
ელ-ფოსტა: erekle.ugrelidze@gruni.edu.ge

**აბსტრაქტი**

ქართული ღვინო საუკუნეებს ითვლის თავისი პროდუქტიულობით, კულტურითა და ისტორიით, რაც მინიმუმ პირდაპირპროპორციული უნდა იყოს მისი საშუალებით მოპოვებული ავტორიტეტისა და ეკონომიკური სარგებლიანობის; მსოფლიო ღვინის ბაზარზე შესაბამისი ადგილის დამკვიდრების. წარმოდგენილი სტატია მიმოიხილავს საქართველოს ღვინის ტურიზმის მოკლე ისტორიას; წარმოაჩენს პრობლემებს, რომლებიც აფერხებს მის წარმატებას მსოფლიო ასპარეზზე; გვაცნობს გატარებულ მარკეტინგულ ღონისძიებებს, რომლებიც დარგმა განახორციელა გამოწვევების (კოვიდ-19 ვირუსი, შემცირებული ექსპორტი, შიდა ბაზარზე ტურისტული სეზონის ჩავარდნა) დასაძლევად; გვთავაზობს სწორი მარკეტინგული სტრატეგიის შესარჩევად გასააზრებელ საკითხებს და კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომლებიც იძლევა დასახული მიზნების მიღწევის ეფექტიან საშუალებას.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, ღვინის ტურიზმი, მარკეტინგული სტრატეგია, გამოწვევები, რეკომენდაციები.

# Marketing strategy of wine tourism in Georgia

**Maka Phiranashvili**
Grigol Robakidze University
School of Business and Management, Associate Professor
Head of Tourism Program
E-mail: makapiranashvili@yahoo.com

**Lamara Kadagidze**
Grigol Robakidze University
School of Humanities and Social Sciences, Professor
E-mail: Lamara_kad@yahoo.com

**Erekle Ugrelidze**
Grigol Robakidze University
School of Business and Management, Associate Professor
E-mail: erekle.ugrelidze@gruni.edu.ge

## Abstract

Georgian wine counts centuries under its productivity, culture and history, which should be at least directly proportional to the authority and economic benefits gained through, as well as to the placement by Georgian wine of the appropriate niche on the world wine market. The presented article reviews the brief history of wine tourism in Georgia; presents the problems that hinder its success on the world stage; informs us of the marketing measures implemented by the industry to overcome the challenges (Covid-19 virus, reduced exports, failure of the tourist season in the domestic market). The work also suggests the implications to consider for selecting the corresponding marketing strategy and specific recommendations that provide an effective way to achieve the set objectives.

**Key words:** Georgia, wine tourism, marketing strategy, challenges, recommendations.

# სხალთა-ხიხანის ხეობის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები

**ჯუმბერ შაინიძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობა
ბიზნესი და მართვის სკოლა, მოწვეული პერსონალი
E-mail: jumber.shainidze02@gruni.edu.ge

## აბსტრაქტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა თავისი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებით საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული მხარეა.გამონაკლისს არც სხალთა-ხიხანის ხეობა წარმოადგენს. ხეობა, სხალთისწყლისა და ხულოს წყლის შენაერთიდან იწყება და გრძელდება არსიანის ქედის-ურემისა და ხიხანის მთებამდე. ზღვის დონიდან 600 მეტრიდან 2800-მდეა. ხეობის საერთო საერთო ფართობი დაახლოებით 246 000 კვ.კმ-ია.მ ისი კოორდინატებია: ჩ.გ.41°28'-41°35';ა.გ42°15-42°35'.

სხალთა-ხიხანის ხეობა ვიზიტორებისთვის საინტერესოა ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებით. იმისთვის რომ, დაგვედგინა მისი მრავალფეროვნება შევისწავლეთ აქ არსებული ფლორისა და ფაუნის სახეობები. შეგროვილ იქნა ისტორიული ცნობები მისი მატერიალური და ისტორიული კულტურის ძეგლების, ბუნების ღირსშესანიშნაობების, მოსახლეობის სუბკულტურული ელემენტების შესახებ. მათი ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია რეკომენდაცია გავუწიოთ შესაბამის უწყებებს, ცალკე შევიდეს ტურიზმის ნუსხაში. *ფლორისა და ფაუნის თვალსაზრისით*, ხეობა საკმაოდ მდიდარია. *ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა* 7,8°C შეადგენს, აბსოლიტური მაქსიმუმი +35°-ია. მინიმუმი -21°.ჰაერის აბსოლიტური ტენიანობა 73%. ზაფხული ძირითადად გვალვიანია, მაისი-სექტემრის მონაკვეთში, მზიანი ამინდი 60 დღეზე მეტია. წვიმიანი დღეები კი ხშირია შემოდგომით. ზამთარი ჭარბთოვლიანია, 5-6 მეტრამდე, ხეობებში კი 10-12 მერამდე. თოვლიანი დღეები 100 დღეზე მეტია, სადაც თავისუფლად შეიძლება სთხილამურო, როგორც მოკლე, ასევე გრძელი მკვეთრად დაქანებული ტრასების მოწყობა.
ხეობა მდიდარია როგორც მტკნარი, ასევე *მინერალური წყლებით და ტბებით.* ტბები გვხვდება როგორც შუამთაში, ასევე სარიჩაირში. ტბა ,,ყარაგოლი"-ის ფართობია 6500 მ².
მინერალური წყლები სხვადასხვა სამკურნალო თვისებებით ხასიათდება, მათგან გამოვყოფთ მინერალურ წყალს ,,ხიხანი", რომელშიც გვხვდება ორი სახის რკინას,რომლის საერთო დებეტი დღე-ღამეში შეადგენს 7000 ლიტრს. დანარჩენი წყლების დებეტის ნაკლებობის გამო მათი წარმოება არ ხდება.
ხეობაში გვხდება ადრეული შუასაუკუნეების ეკლესია-მონასტერები. სხალთის ტაძარი, ვერნების, კალოთის, თიკანაურის, თხილვანის და ხიხანის ნაეკლესიარები.
აქ არსებული მეჩეთები, ჭერის, ვერნების, ფუშრუკაულის, ხიხაძირის და თხილვანის მეჩეთები ხეზე კვეთის განსაკუთრებულ ნიმუშებს წარმოადგენს.
ასევე ციხე-ყელი, იგივე ,,ვარდციხე" რომლის სამხრეთისა და დასავლეთის კედლის ფრაგმენტები დღემდის დგას. ხიხანის ციხე-ერთ-ერთი მშვენებაა ამ ხეობის.
ქოჩაღში არსებული ბუნებრივი მაცივარი, რომლის ტემპერატურა წლის ნებისმიერ დროს 0°-ზე დაბალია. დღეს არსებული სახით მყოფი ისტორიული და კულტურული ძეგლები აღდგენას ექვემდებარება... ხეობაში არის ორი მუზეუმი, სხალთის-შერიფ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმი, ხოლო თხილვანის ეთნოგრაფიულ მუზეუმში, სადაც ამ ხეობის მოსახლეობის განსხვავებული სუბკულტურის ელემენტები მნახველის გაოცებას იწვევს.
ხოლო სოფლებში არსებული ხის საცხოვრებელი სახლები და სუბკულტურის ელემენტები შეუდარებელ სანახაობას ჰქმნის. ხეობა მდიდარია ხეხილოვანი, კურკოვანი და კენკროვანი მცენარეებით, რომლის გემო და სურნელი შეუდარებელია. ამ ხეობის სამზარეულო მდიდარი და მრავალფეროვანია, მათგან აღსანიშნავია რამდენიმე ,,მოხრაკული", ,,თავმაკარინა", ,,ბორეგი"და ,,ხავიწი.ხოლო მწნილებიდან ,,მოთრეული" ,,ჭარხალი" და ,,ჭარბადელო". ტკბილეულიდან კი ,,კაკლის ხალვას" და და ,,სემსერს" აქაური ,,ჩირი", ,,ტყლაპი", ,,ლეჩერი" და ,,ბეთმეზი" განსაკუთრებულია. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ალპური მცენარეულობის ,,თაფლი". მართალია, აქ ყველა ოჯახისთვის სტუმრის მიღება წარმოაჩენს ტრადიციული კულტურის ელემენტებს, თუმცა ხეობა განიცდის სასტუმროების და კვების ობიქტების ნაკლებობას. ამრიგად მიზანშეწოლილად მიმაჩნია რომ, შესაბამისმა უწყებებმა ამ მიმართულებით მეტად იმუშაონ.

საძიებო სიტყვები: რეკრეაციული რესურსები, ფლორა-ფაუნა, სუბკულტურა, ეკლესია-მონასტრები, მეჩეთი, სამზარეულო

The Tourizm Aand Recreational Resources of Skhalta-Khikhani Valley

**Jumber Shainidze, PhD,** Invited Staff
Grigol Robakidze University Batumi Reprezentation, Georgia
School of Business and Management
E-mail: jumber.shainidze02@gruni.edu.ge

## Abstract

With its tourism and recreational resources, the Autonomous Republic of Adjara is one of Georgia's standout regions. The Skhalta-Khikhani valley is no exception. The valley begins at the confluence of the Skhalta and Khulo rivers and extends to the Arsian Range's Uremi and Khikhani mountains. It ranges in elevation from 600 to 2800 meters above sea level. The valley's total area is approximately 246,000 square kilometres. Its coordinates are 41°28'-41°35' north latitude and 42°15'-42°35' east latitude. Visitors will enjoy the Skhalta-Khikhani Valley's natural and recreational resources. We studied the flora and fauna species found here to determine its diversity. I gathered historical data regarding its material and historical cultural monuments, natural sights, and subcultural components of the population. Based on their findings, we can recommend to the appropriate agencies that it be included individually in the tourism list. The valley has an abundance of flora and fauna.

The average annual air temperature is 7.8°C, with a maximum temperature of +35°. The minimum temperature is -21°. The absolute humidity of the air is 73%. Summer is mostly rainy, but from May to September, there are more than 60 days of sunshine. Autumn has a lot of rainy days. Winter brings up to 5-6 meters of snow and 10-12 meters in the valleys. There are more than 100 snowy days in a year. Where you can create both short and long ski tracks at your leisure. The valley is abundant in both fresh and mineral water, as well as lakes. Lakes can be found in both Shuamta and Sarichair; the "Karagol" lake has a surface area of 6500 square meters. Mineral waters have a variety of healing properties, one of which is "Khikhan" water, which contains two types of iron - $Fe^{2+}$, and $Fe^{3+}$ - and the total debit of which is 7000 litres per day. Due to a lack of debit, the remaining water is not produced. An early medieval church-monastery can be found in the valley: Skhalti Cathedral, Verni, Kaloti, Tikanauri, Tkhilvani, and Khikhani churches.

Special examples of woodcarving include the mosques of Cheri, Verni, Fushrukauli, Khikhadziri, and Tikhilvani. The well-known southern and western walls of "Vardtsikhe" are also still in place. Khikhani Castle is one of the valley's beauties, a natural refrigerator in Kochag with temperatures below 0° all year. Historical and cultural monuments must be restored in their current state. The valley has two museums, one of which is the Sheriff Khimshiashvili House-Museum in Skhalta, which has 500 exhibits. And in Tkilvana's Ethnographic Museum, where the visitor is surprised by the various subculture elements of the valley's population. In addition, the wooden houses and subculture elements in the villages make for an unforgettable sight. The valley is abundant in fruit trees, cranberry and berry plants, and their taste and aroma are unparalleled.

The culinary offerings in this valley are plentiful and varied, but I would specifically mention "Mokhrakuli," "Tavmakarina," "Boregi," and "Khavitsi." "Walnut Khalva" and "Semser" are sweets. The "honey" of the local alpine vegetation, "Chiri", "Tklapi," "Lecher," and Betmez, are exceptional. While it is true that every family visitor to this place is "God's gift," the valley lacks hotels and catering facilities, which I believe the appropriate agencies should address.

**Keywords:** Recreation Resurces, Flora-Fauna, Subculture, Castel-Catedral, Mosque, cooking;

# დასაქმების პრობლემები საქართველოს მასპინძლობის ინდუსტრიაში

**მაია მელაძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: m.meladze@gruni.edu.ge
**თამარ ქობლიანიძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: tamar.koblianidze@gtu.ge

**აბსტრაქტი**

მასპინძლობის სექტორი ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის მთავარი მამოძრავებელია. ინდუსტრიის ყველაზე მეტად გამორჩეული ასპექტია ბევრი განსხვავებული პროფესიის კომბინაცია, რომელიც კარიერული წინსვლის საუცხოო შესაძლებლობების შემოთავაზებას გააგრძელებს.

კვლევა მიზნად ისახავს გამოავლინოს დასაქმების პრობლემები და შესაძლებლობები საქართველოს მასპინძლობის სექტორში. კვლევა ჩატარდა ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებით. ჩატარდა ინტერვიუები ქართველ ექსპერტებთან. სამუშაოს კმაყოფილების დონის დასადგენად ჩატარდა ონლაინ გამოკითხვა. დაკვირვებებმა აჩვენა მოგზაურობისა და მასპინძლობის ინდუსტრიის ყველაზე რთული მდგომარეობა პანდემიის შემდეგ, გამოწვეული ინდუსტრიის პაუზებით და/ან გამორთვებით, როდესაც თანამშრომლებმა შეძლეს თავიანთი უნარების გამოყენება და სხვა ინდუსტრიებში გადასვლა. შედეგებმა აჩვენა მეტ-ნაკლები კმაყოფილება სამუშაო პირობებით და ურთიერთობით. მაგრამ ხანგრძლივი სამუშაო საათები და დაბალი ხელფასი იწვევს თანამშრომლების უკმაყოფილებას.

დამსაქმებელი პრობლემის გადაჭრას საგანმანათლებლო სივრცესთან კომუნიკაციაში და პროფესიული განათლების ხელშეწყობის აუცილებლობაში ხედავს, რაც იწვევს პრობლემის გადაჭრას, სულ მცირე, დაბალ თანამდებობებზე.

**საკვანძო სიტყვები:** დასაქმება, მასპინძლობის ინდუსტრია, სამუშაო ადგილების შექმნა

# Employment Issues in Georgian Hospitality Industry

**Maia Meladze**
Grigol Robakidze University, Georgia;
E-mail: m.meladze@gruni.edu.ge

**Tamar Koblianidze**
Grigol Robakidze University/ GTU, Georgia;
E-mail: tamar.koblianidze@gtu.ge

**Abstract**
The hospitality sector is a major driver of economic growth and job creation. The most distinctive aspect of the industry is the combination of many different professions, which will continue to offer excellent opportunities for career advancement.

This study aims at identifying employment problems and opportunities in Georgia's hospitality sector of business. The survey was performed using qualitative and quantitative research methods. Interviews were conducted with Georgian experts. Online questionnaires were conducted to determine the level of job satisfaction. Observations showed the most difficult situation of travel and hospitality industry since the pandemic, caused by industry pauses and/or shutdowns, when employees were able to use their skills and move to other industries. The results showed more or less satisfaction with working conditions and relationship. But long working hours and low salary lead to employee dissatisfaction.

The employer sees the solution to the problem in communication with the educational space and the need to promote professional education, which leads to the solution of the problem, at least in low-ranking positions.

Keywords: employment, hospitality industry, job creation.

# კინოკულტურა საქართველოში (XX საუკუნის 20-იან წლებამდე)

**გიორგი უღრელიძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (ბათუმი)
ჰუმანიტარული და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა, ასისტენტ-პროფესორი
აუდიო-ვიზუალური ხელოვნების აკადემიური დოქტორი
ელ-ფოსტა: giorgi.ughrelidze02@gruni.edu.ge

**აბსტრაქტი**

საქართველოში, საზოგადოების მხრიდან კინოს მიმართ ცნობადობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 19-ე საუკუნის ბოლოს, თბილისში უკვე იცნობდნენ ახალ სანახაობას, რომელსაც თავიდანვე საკმაოდ ბევრი მაყურებელი გაუჩნდა. კინოსადმი ინტერესი დღითიდღე იზრდებოდა. თბილისში ჩნდებიან კინოთეატრები, სადაც მაყურებელს შეეძლო მისვლა და სხვადასხვა კინოსეანსზე დასწრება. XIX-XX საუკუნის კინოკულტურის მიმოხილვისას, ცხადია, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ეს კინოსურათები უცხოეთში იქმნებოდა და შემდეგ ვრცელდებოდა სხვადასხვა ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ამ პერიოდში რუსეთის იმპერიის მიერ იყო დაპყრობილი და მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, თბილისი კულტურული თვალსაზრისით, მაინც მნიშვნელოვან ქალაქად რჩებოდა. შესაბამისად, მსოფლიოში მიმდინარე კულტურული პროცესები ქართველებისთვისაც არ იყო უცხო.

XX საუკუნის დასაწყისში ქართველი კინოპროფესიონალები იწყებენ საქმიანობას. მამა-შვილი დიღმელოვები (დიღმელაშვილები) იწყებენ კინოაპარატით საქართველოში საგასტროლო ტურის გამართვას. დავით დიღმელოვი პროფესიით ფოტოგრაფი იყო. ალექსანდრე დიღმელოვმა გადაღება დაიწყო 1910 წლიდან. 2011 წლიდან ქუთაისში იწყებას ფილმების გადაღებას ვასილ ამაშუკელი, რომელმაც პროფესიული გამოცდილება მიიღო ბაქოში. აქ მან 1908 წელს პირველი ნამუშევრები შექმნა. 2012 წელს ვასილ ამაშუკელმა გადაიღო სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.“ აღსანიშნავია, რომ ამ უმნიშვნელოვანესი კინოსურათის გადაღებიდან 110 წელი გავიდა. ფილმი ასახავს გამოჩენილი ქართველი მწერლის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი წერეთლის მოგზაურობას დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში-რაჭასა და ლეჩხუმში. ფილმი პირველად ქალაქ ქუთაისში აჩვენეს ამავე წელს. კინოსურათის წარმატებაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ჩვენება სავსე დარბაზში 15 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

„აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ საეტაპო მნიშვნელობისაა, ამ კინოსურათის შექმნით ამაშუკელმა ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართული დოკუმენტური კინო,

ქართველი კინემატოგრაფისტების პირველ თაობას მიეკუთვნება სიმონ ესაძე, რომელიც მრავალმხრივი მოღვაწეობით გამორჩეული ადამიანი იყო. იგი მუშაობდა კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო-ისტორიული განყოფილების რედაქტორად და სამხედრო მუზეუმის უფროსად, გერმანე გოგიტიძეს მან აღმოუჩინა მნიშვნელოვანი დახმარება ფილმ „ქრისტინეს“ გადაღების პროცესში. უშუალოდ მის მიერ განხორცილედა რამდენიმე ფილმის გადაღება.
განსაკუთრებით გამოირჩევა ალექსანდრე წუწუნავას კონოშემოქმედება. რომელმაც იმუშავა პირველ ქართულ მხატვრულ ფილმზე “ქრისტინე“. ფილმზე მუშაობა 1916 წელს დაიწყო და დასრულდა 1918 წელს.

**დასკვნა:** ამრიგად, XX საუკუნის 20-იან წლებამდე საქართველოში ვითარდებოდა კინოპროცესები. კულტურის განვითარებაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1918-1921 წლებში საქართველოს

დამოუკიდებლობის მოპოვებას რუსეთის იმპერიისგან. მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენმა ქვეყანამ თავისუფლება მალე დაკარგა. 1921 წელს საქართველო იძულებით, ისევ რუსეთის ორბიტაზე მოექცა, რასაც თან მოყვა კინოს მიმართ საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებული ინტერესი, საბჭოთა მესვეურები კინოს (როგორც დოკუმენტურს, ასევე მხატვრულ ფილმებს) განიხილავდნენ პოლიტიკურ იარაღად და ხალხში საკუთარი იდეოლოგიის ეფექტური გავრცელების საშუალებად.

**საძიებო სიტყვები:** კინოკულტურა, ფილმები, მსოფლიო, საქართველო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ამირეჯიბი, ნ. სინემატოგრაფიდან კინოხელოვნებამდე, გამ. „განათლება“, თბილისი, 1990 წ.
2. დოლიძე გ. ქართული კინო გუშინ და დღეს, გამ. „ხელოვნება“ 1985 წ.
3. კერესელიძე მ. ქართული კინო, ენციკლოპედიური ლექსიკონი , 2011 წ.
4. ცომაია ვ. ქართული კინო ცხოვრების კვალდაკვალ 1921-1934, გამ. „ ხელოვნება“ თბილისი, 1973 წ.
5. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა; www.nplg.gov.ge/
6. საქართველოს ეროვნული არქივი; www.archive.gov.ge
7. ქართული ჟურნალი კინო ინდუსტრიაზე; www.filmmaker.ge/

## Film Culture in Georgia (Until the 20s of the 20th Century)

**Giorgi Ugrelidze**
Grigol Robakidze University (Batumi)
School of Humanities and Social Sciences, assistant professor
Academic Doctor of Audio-Visual Arts
E-mail: giorgi.ughrelidze02@gruni.edu.ge

In Georgia, public awareness of cinema has a long history, even at the end of the 19th century. Even at the end of the 19th century, a new spectacle was already known in Tbilisi, which attracted quite a few spectators from the beginning. Interest in cinema grew day by day.

Cinemas appeared in Tbilisi, where the audience could come and attend various movie screenings. When reviewing the film culture of the 19th and 20th centuries, it is clear that we should pay attention to the fact that these films were created abroad and then distributed in different countries. Although Georgia during this period was conquered by the Russian Empire and was a part of it, Tbilisi remained an important city from the cultural point of view. Consequently, the cultural processes taking place in the world were not alien to Georgians either.
At the beginning of the 20th century, Georgian film professionals started their activities.
Father and son Digmelashvili (Digmelashvili) would start a tour in Georgia with a film camera. Davit Digmelov was a photographer by profession, Alexander Digmelov started photographing in 1910.
Since 2011, Vasil Amashukeli has been making films in Kutaisi, having gained professional experience in Baku, where he created his first work in 1908. In 2012, Vasil Amashukeli filmed a full-length documentary film "Akaki Tsereteli's Journey to Racha-Lechkhumi", it is worth noting that 110 years have passed since the filming of this most important film, the film depicts the journey of the prominent Georgian writer,

poet and public figure Akaki Tsereteli in the mountainous regions of Western Georgia - Racha and Lechkhumi, The film was shown for the first time in the city of Kutaisi in the same year, the success of the film is indicated by the fact that the screening was held in a full hall for 15 days.

"Akak's Journey to Racha-Lechkhumi" is of landmark importance, by creating this film, Amashukeli took Georgian documentary cinema to a new height.
Simon Esadze belongs to the first generation of Georgian cinematographers.
He worked as the editor of the military-historical department of the Caucasus Military District and as the head of the military museum. He provided Germane Gogitidze with important help in the process of shooting the film "Christine".

Several films were shot by him. The work of Aleksandre Tsutsunava stands out in particular. who worked on the first Georgian feature film "Kristine". Work on the film began in 1916 and ended in 1918.

**Conclusion:** Thus, until the 20s of the 20th century film processes were developing in Georgia, the independence of Georgia from the Russian Empire in 1918-1921 was of great importance for the development of culture. But unfortunately, our country lost its freedom soon. In 1921, Georgia was forced back into Russia's orbit, which brought with it the special interest of the Soviet government towards cinema, the Soviet masters considered cinema (both documentaries and feature films) as a political tool and a means of effectively spreading their ideology among the people.

**Keywords:** Film culture, Films, World, Georgia.

**References**


1. Amirejibi N. From cinematography to film art, publishing house "Ganatleba", Tbilisi, 1990.
2. Dolidze G. Georgian cinema yesterday and today, publishing house „Art", Tbilisi 1985
3. Kereselidze M. Georgian cinema, encyclopedic dictionary, 2011
4. Tsomaia V. Georgian cinema in the footsteps of life 1921-1934, publishing house "Art" Tbilisi, 1973.
5. National Library of the Parliament of Georgia; www.nplg.gov.ge/
6. National Archive of Georgia; www.archive.gov.ge
7. Georgian magazine on film industry; www.filmmaker.ge/

# მესამე პირების მონაწილეობა ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეცვლის პროცესში

**დავით გაბაიძე**
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (ბათუმი)
სამართლის სკოლა, პროფესორი
ელ-ფოსტა: davitgabaidze@gmail.com

**აბსტრაქტი**

ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს შორის ადმინისტრაციული ხელშეკრულება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს იჭერს თანამედროვე საჯარო მართველობის პროცესში. თუმცა, იგი ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის სხვა ფორმებთან შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი. ყველაზე მეტად კი აღნიშნული ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილობის, შეცვლისა და გაუქმების საკითხებზე შეიძლება ითქვას. აღნიშნული ბევრ სხვა მიზეზთან ერთად იმითაც არის გამოწვეული, რომ ბევრი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობითაც ადმინისტრაციული ხელშეკრულება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას წარმოადგენს და მასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებაც ძირითადად სამოქალაქო კანონდებლობით ხდება. აღნიშული გარემოება კი ხშირად ადმინისტრაციული ხელშეკრულების, როგორც საჯარო-სამართლებრივი ინსტრუმენტისა და ინსტიტუტის სპეციფიკის გაუფერულებას და მასთან დაკავშრებული მოწესრიგების საჯარო-სამართლებრივი მეთოდების უგულებელყოფას იწვევს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე სტატიის მიზანია, საქართველოს კანონმდებლობასა და ადმინისტრაციულ ორგანოთა პრაქტიკაზე დაყრდნობით გამოვკვეთოთ პრობლემები და დავსახოთ მათი გადაჭრის გზები, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც არის მესამე პირების მონაწილეობა და მათი როლი ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეცვლის პროცესში.

**საძიებო სიტყვები:** ადმინისტრაციული ხელშეკრულება, მესამე პირები, ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეცვლა

# Participation of Third Parties in The Process of Changing the Administrative Contract

**Davit Gabaidze**
Chairman of the Supreme Council of
Ajara Autonomous Republic
Grigol Robakidze University (Batumi)
School of Law, Professor
E-mail: davitgabaidze@gmail.com

**Abstract**

In the modern public governance process administrative contract holds one of the most significant places amongst the forms of administrative body activities. However, it is less explored than other forms of administrative body activities. This at the most applies to the issues of invalidity, amendment and annulment of administrative contracts. The reason for this, among other things, is the fact that pursuant to Georgian law, much like many other countries, administrative contract is a civil agreement undertaken by the administrative body for the purposes of implementing public authorities, thus, the issues associated with such a contract are entrusted to the civil law. Frequently, this causes the depreciation of administrative contracts, as an instrument and an institute of public law, ignoring the public-law methods of regulating issues related to it. Therefore, the goal of the foregoing article is to outline problems and the resolutions thereof, based on Georgian law and the practice of administrative bodies, on such relevant issues on administrative contracts, as are the participation of third parties in it and their role in amending the administrative contract.

***Key words:*** *Administrative contract, third parties, amendment of administrative contract*

# ნარკოტიკული დანაშაულის თანამედროვე გამოწვევები საქართველოში

**ამირან მოსულიშვილი**
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
სამართლის სკოლის დეკანის მოადგილე
ელ-ფოსტა: a.mosulishvili@gruni.edu.ge

**აბსტრაქტი**

მსოფლიო და მათ შორის საქართველო ნარკოტიკული დანაშაულის უახლესი გამოწვევების წინაშე დგას. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ და საქართველოში ეკონომიკური კუთხით ტვირთბრუნვის ზრდამ, მეტად წარმოაჩინა ნარკოტიკული დანაშაულის თანამედროვე საფრთხეები. ნარკოტიკული დანაშაულის საფრთხის ქვეშ ექცევიან სხვადასხვა სოციალური ჯგუფები, მათ შორის ახალგაზრდები, რომლებიც აქტიურად მოიხმარენ: ბიო, თანამედროვე კლუბურ და სინთეტიკურ ნარკოტიკულ ნივთიერებებს.

მნიშვნელოვნად რთულდება საქართველოში ნარკოდანაშაულთან ბრძოლა, რადგან ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაში ჩართული პირები, აქტიურად ახორციელებენ ნარკოტიკების ე.წ. „უკონტაქტო გაყიდვებს“ სოციალური ქსელების და თანხების ელექტრონულად გადარიცხვების საშუალებით.

უახლესი გამოწვევაა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრებზე, ნარკოტიკების ტრანსპორტირება ე.წ. მფრინავი „დრონების“ გამოყენებით, რა დროსაც მეტად რთულდება საქართველოს სახელმწიფო საზღვრების გარეთ „დრონის ოპერატორის“ გამოვლენა და საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსული დრონის მეშვეობით ნარკოტიკების „მიმღები პირის“ სწრაფი გამოვლენა/დადგენა. გახშირდა იგივე “დრონის“ გამოყენებით საქართველოს სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების ტერიტორიების თავზე, დიდი სიმაღლიდან მსჯავრდებულებისთვის ნარკოტიკების მიწოდების/ჩაწოდების შემთხვევები.

ზემოაღნიშნული და კიდევ სხვა ნარკოტიკული გამოწვევებიდან გამომდინარე, აუცილებელი ხდება, რომ საქართველოს სამართალდამცავი სამსახურების მიერ, მეტად განხორციელდეს ნარკოდანაშაულის სიღრმისეული ანალიტიკა, სპეციალური პრევენციული და ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მათი რეალიზება.

**საძიებო სიტყვები:** მსჯავრდებული, ნარკოტიკული დანაშაული, ელექტრონული გადარიცხვა, სასჯელაღსრულებითი დანაშაული;

## საქართველოში კრემლის ანტიდასავლური პროპაგანდის ძირითადი მახასიათებლები და დეზინფორმაციული ხასიათის მითები

**ლაშა ხოზრევანიძე**
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (ბათუმი)
საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლა, მოწვეული პროფესორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასისტენტ-პროფესორი
ელ-ფოსტა: khozrevanidze_lasha@yahoo.com

**აბსტრაქტი**

საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ფორმირების დღიდან დღემდე აქტუალურია რუსული პროპაგანდა და საინფორმაციო ომი როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო ურთიერთობებში.
ეს საკითხი დღემდე მნიშვნელოვან კვლევის საგანს წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ეროვნული უსაფრთხოების თემით დაინტერესებული სპეციალისტებისთვის, მეცნიერ-თანამშრომლების და ექსპერტთათვის.

საქართველოში რუსული რბილი ძალისა და საინფორმაციო პროპაგანდის მთავარ სამიზნეს წარმოადგენს ანტი-დასავლური დეზინფორმაციული ხასიათის მითების გაღვივება საქართველოში წინასწარ შერჩეულ სამიზნე ჯგუფებში.

კვლევა მიმოიხილავს საქართველოში კრემლის და რუსეთის სადაზვერვო სამსახურებთან სავარაუდო კავშირში მყოფი არასამთავრობო ორგანიზაციების, გავლენის ჯგუფების პროპაგანდის მახასიათებლებს, ძირითადად გზავნილებს და მათ გავლენას ქართულ საზოგადოებაზე, ასევე რუსული სადეზინფორმაციო პროპაგანდის გამავრცელებლებს ქვეყანაში და სახელმწიფოდან შემხვედრ ნაბიჯებს.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ფედერაციის გავლენა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებზე შედარებით შესუსტდა, თუმცა რუსული ე.წ. ,,რბილი ძალა“ აქტიურად მუშაობს რუსეთის ახალი პოლიტიკური დოქტრინის - ,,რუსეთის ახლო სამეზობლოს“ (რომელშიც იგულისხმება საქართველო, უკრაინა და მოლდოვა) ქვეყნების ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისკენ სწრაფვის მაქსიმალურად შემცირების ან სრულიად შეჩერებისთვის. რუსეთის ფედერაცია საქართველოში პოლიტიკური პოზიციების გასამყარებლად ეწევა ჰიბრიდულ ომს, რაც იმას ნიშნავს, რომ სამხედრო რესურსების გარდა, კრემლი აქტიურად იყენებს მის ხელთ არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ფინანსურ, ენერგეტიკულ თუ საინფორმაციო ბერკეტებს როგორც იარაღს მისი გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ზემოხსენებულ ბერკეტებს შორის, ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში კრემლი და მასთან დაკავშირებული სპეც.სამსახურები სულ უფრო ეფექტიანად იყენებენ ანტი-დასავლურ პროპაგანდას იმ ქვეყნებში, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ მიისწრაფოდნენ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისკენ.

**კვლევის მიზანია** წარმოაჩინოს და მოახდინოს კლასიფიკაცია რუსეთის სპეც. სამსახურების მიერ საქართველოში გავრცელებული სტრატეგიულად შემუშავებული ანტი-დასავლური მითები, რომლითაც სპეციალურად შერჩეული სამიზნე ჯგუფების მეშვეობით ქვეყანაში აღვივებენ ანტი-დასავლურ განწყობებს.

- სამეცნიერო სტატიაში შევეხებით საქართველოში კრემლის ანტიდასავლური პროპაგანდის ძირითად მახასიათებლებს და საზოგადოების მოწყვლად ჯგუფებში გავრცელებულ იმ დეზინფორმაციული ხასიათის ანტიდასავლურ მითებს, რითიც რუსული რბილი ძალა ცდილობს საქართველოში ანტიდასავლური განწყობების გაღვივებას, კერძოდ:
- მითი, რომ - ,,საქართველო ნატო-ს წევრი ვერასოდეს გახდება, რადგან რუსეთი ამას არ დაუშვებს“;
- მითი, რომ - ,,საქართველო ნატო-ს წევრი ვერასოდეს გახდება ვიდრე ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემას არ მოაგვარებს“;
- მითი, რომ - ,,საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების სანაცვლოდ მოუწევს უარის თქმა ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებაზე“
- მითი, რომ - ,,ნატო-ში გაწევრიანების შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე ნატო-ს სამხედრო ბაზები ავტომატურად განთავსდება“;
- მითი, რომ - ,,სამშვიდობო მისიებში მონაწილეობით საქართველოს თავდაცვის ძალები სხვის ომში იბრძვიან“;
- მითი, რომ - ,,საქართველოს გამო ნატო რუსეთთან ომს არ დაიწყებს“;
- მითი, რომ - ,,საქართველოსთვის საუკეთესო ვარიანტი ნეიტრალიტეტია“;
- მითი, რომ - ,,ნატო აგრესიული და დესტაბილიზაციის მომტანი ორგანიზაციაა“;
- მითი, რომ -,,ნატო-ს კარზე კაკუნი საქართველოს ინტერესებში არ შედის და არც ნატო-ში გველოდებიან“;
- მითი, რომ - ,,ალიანსს არსებობის მანძილზე არასდროს მოუგვარებია კონფლიქტი“;

- მითი, რომ -,,ნატო არ არის ქართველი ხალხის არჩევანი, ის თავს მოხვეულია უცხოური ძალების მიერ“;
- მითი, რომ -,,1992 წლიდან ნატო-საქართველოს თანამშრომლობის პროცესში პროგრესი არ აღინიშნება“;

კვლევაში დეტალურად შევეხებით საქართველოში კრემლის ანტიდასავლური პროპაგანდის ზემოხსენებულ ძირითად მახასიათებლებს და მითებს, მოყვანილი დეზინფორმაციული ხასიათის მითების გასაქარწყელებელ არგუმენტებს, რომლებიც ამხელენ რუსული პროპაგანდის მანქანას.
ზემოხსენებული არგუმენტების ლუსტრირება და ტირაჟირება, საზოგადოების ინფორმირება მნიშვნელოვანია ქვეყანაში ანტიდასავლური განწყობების აღმოსაფხვრელად.

**საძიებო სიტყვები:** პროპაგანდა, კრემლის პოლიტიკა, დეზინფორმაცია, ანტიდასავლური განწყობები, სპეც.სამსახურები;

# The main features of the Kremlin's anti-Western propaganda in Georgia and disinformation myths

**Lasha Khozrevanidze**
Doctor of International Relations
Government of the Autonomous Republic of Adjara, Advisor to the Chairman of the Government
Grigol Robakidze University (Batumi)
School of Public Administration and Politics, Invited Profesor
Batumi Shota Rustaveli State University
Faculty of Social Sciences, Assistant professor
E-mail: khozrevanidze_lasha@yahoo.com

**Abstract**
Since the formation of Georgia as an independent state, Russian propaganda and information war have been relevant both in Georgia and in international relations.
This issue is still an important research subject for specialists, scientists and experts interested in the topic of international relations and national security.
The main target of the Russian soft power and information propaganda in Georgia is the promotion of anti-Western disinformation myths in pre-selected target groups in Georgia.
The study reviews the characteristics of the propaganda of non-governmental organizations and influence groups in Georgia allegedly connected with the Kremlin and Russian intelligence services, mainly the messages and their impact on the Georgian society. Also, the steps taken by the Russian disinformation propaganda spreaders in the country and from the state.
As it is known, after the collapse of the Soviet Union, the influence of the Russian Federation on the post-Soviet countries weakened relatively, although the so-called Russian "Soft power" is actively working to reduce as much as possible or completely stop the pursuit of the North Atlantic Alliance of the countries of "Russia's immediate neighborhood" (which means Georgia, Ukraine and Moldova) of the new political doctrine of Russia.

The Russian Federation is engaged in a hybrid war to strengthen its political positions in Georgia, which means that in addition to military resources, the Kremlin is actively using its political, economic, financial, energy, and informational leverage as a weapon to achieve its geopolitical goals.
Among the aforementioned levers, over the past three decades, the Kremlin and its related special services have been increasingly effective in using anti-Western propaganda in countries that have moved towards the North Atlantic Alliance after the collapse of the Soviet Union.
The purpose of the study is to present and classify the strategically developed anti-Western myths spread by the Russian special services in Georgia, with which they stir up anti-Western sentiments in the country through specially selected target groups.

In the scientific article, we will touch on the main features of the Kremlin's anti-Western propaganda in Georgia and the disinformation anti-Western myths spread among the vulnerable groups of society, with which the Russian soft power tries to stir up anti-Western sentiments in Georgia, namely:

- The myth that - "Georgia will never become a member of NATO, because Russia will not allow it";
- The myth that - "Georgia will never become a member of NATO until it solves the problem of the occupied territories";
- The myth that - "in exchange for joining NATO, Georgia will have to refuse to return the occupied territories"
- The myth that - "after joining NATO, NATO military bases will be automatically located on the territory of Georgia";
- The myth that - "by participating in peacekeeping missions, the Georgian Defense Forces are fighting someone else's war";
- The myth that - "NATO will not start a war with Russia because of Georgia";
- Myth that - "the best option for Georgia is neutrality";
- The myth that - "NATO is an aggressive and destabilizing organization";
- The myth that - "knocking on NATO's door is not in Georgia's interests, nor are they waiting for us in NATO";
- The myth that - "the alliance has never resolved a conflict during its existence";
- The myth that - "NATO is not the choice of the Georgian people, it was forced upon itself by foreign powers";
- The myth that - "Since 1992, there has been no progress in the NATO-Georgia cooperation process";

In the study, we will deal in detail with the above-mentioned main characteristics and myths of the Kremlin's anti-Western propaganda in Georgia, the disproving arguments of the disinformation myths that expose the Russian propaganda machine.

Lustering and circulating the above-mentioned arguments, informing the public is important to eliminate anti-Western sentiments in the country.

Search words: propaganda, Kremlin policy, disinformation, anti-Western attitudes, special services;

# შრომის უსაფრთხოების სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში - ღირსეული სამუშაო, როგორც მდგრადი განვითარების მიზანი

**გუგული თურმანიძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (ბათუმი)
ბათუმის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე
ხარისხის უზრუნველყოფისა და სტუდენტური მხარდაჭერის საკითხებში
ბიზნესის და მართვის სკოლა, დოქტორანტი
ელ-ფოსტა: g.turmanidze@gruni.edu.ge

**ლევანი მესხიშვილი**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (ბათუმი)
საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლა, ასისტენტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი
ელ-ფოსტა: mesxishvililevani@gmail.com

**აბსტრაქტი**

**კვლევის აქტუალობა -** განსახილველი საკითხი ეხება დღესდღეობით ერთ-ერთ მეტად აქტუალურ თემას - შრომის უსაფრთხოების იმ მწვავე პოლიტიკურ პრობლემებს, რაც არსებობს საქართველოში დამსაქმებელთა და დასაქმებულთა შორის. ამასთანავე ყურადღება გამახვილებულია 2006-2015 წლებში შრომის ინსპექტირების გაუქმებისას გამოვლენილ ხარვეზებზე, რომლებსაც შრომის ინსპექტირების არარსებობის ფონზე ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები თავაშვებულობად ოპერირებდნენ ქართულ შრომით ბაზარზე და ამიტომ, სამწუხაროდ უამრავი ადამიანის დაშავება და დაღუპვა გამოიწვია.

**კვლევის მიზნები -** ნაშრომში ძირითადად განხილულია საქართველოში არსებული რეალობა შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები, რომლებიც საქართველოს აქვს რატიფიცირებული. აგრეთვე, საქართველო-ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულების გათვალისწინებით ნაკისრი ვალდებულებები თუ რა კუთხით უნდა დაუახლოოს საქართველომ შრომის კოდექსი ევროპულ შრომით ნორმებს.

**კვლევის საგანი და ობიექტი -** შრომითი ურთიერთობების წარმოშობა და განვითარების ეტაპები. ასევე 2015 წლიდან დღემდე გამოვლენილი ის მნიშვნელოვანი ხარვეზები, რაც შრომის ინსპექტირების სამსახური შეიქმნა და წარმოდგენილია შედარებები ქართული შრომის ინსპექტირებისა და რამდენიმე განვითარებულ ქვეყანაში არსებული შრომის ინსპექტირების უფლებამოსილებებს შორის.

**კვლევის მეთოდოლოგია -** სტატია ეფუძნება როგორც თეორიულ, ასევე თვისებრივ და რაოდენობრივ კვლევას. თეორიული კვლევის მეთოდი აანალიზებს მსოფლიო და ქართულ პრაქტიკას. მოიცავს სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას, სტატიებს, ინტერნეტ გამოცემებისა და ვებ გვერდებზე წარმოებული მასალების დამუშავებას. გამოყენებულია სტატისტიკური კვლევების ანალიზი, რომლის გაანალიზების შემდეგ, პრობლემატიკიდან გამომდინარე გამოიკვეთა, თუ რამდენად მტკივნეული საკითხია, როდესაც გვაქვს კონსტიტუცია, შრომის კოდექსი, საერთაშორისო კონვენციების აღსრულების ვალდებულებები, შრომის ინსპექტირების სამსახური, მაგრამ სამწუხაროდ საქართველოში დასაქმებულების უფლებები მაინც ირღვევა.

**ჰიპოთეზა -** ჩვენი ვარაუდით, საქართველოში ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი აქვს დასაქმებულთა იძულებით შრომას სამუშაო ადგილზე; ასევე ადგილი აქვს დასაქმებულის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებას, რომელიც არ არის დასაქმებულის მიერ ანაზღაურებული.

სამწუხაროდ მოცემულ რეალობას არასაკმარისი ყურადღება ეთმობოდა და ხარვეზებიც ჭარბი იყო. ამიტომ ბოლო წლებში არ წყდებოდა კრიტიკული მესიჯების გზავნილები ხელისუფლების მიმართ ქვეყანაში არსებული შრომითი პირობების დარღვევების გამო, (მაგ: ამერიკიდან გზავნილები, დასავლეთის მხარე, არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ) რაც დამატებით შესწავლას საჭიროებს.

**საძიებო სიტყვები:** დასაქმებული, ბიზნეს სექტორი, შრომის უსაფრთხოება, პრობლემა, დამსაქმებელი, უფლებამოსილება

# State Policy of Labor Safety in Georgia - Decent Job The Goal of Sustainable Development

**Guguli Turmanidze**
Grigol Robakidze University (Batumi Reprezentation)
Deputy Head of Batumi Representation in Quality Assurance and Student Affairs
School of Business and Management, Phd student
School of Public Administration and Politics
E-mail: g.turmanidze@gruni.edu.ge

**Levan Meskhishvili**
Grigol Robakidze University (Batumi Reprezentation)
School of Public Administration and Politics, Asistant
Georgian Technical University, Phd student
E-mail: mesxishvililevani@gmail.com

**Abstract**

**Topicality of research** - The issue we addressing today addresses one of the most pressing issues - the acute political security problems that exist among employers and employees in Georgia. At the same time, the focus is on the shortcomings identified in the abolition of labor inspections in 2006-2015, which, in the absence of labor inspections, were used by businesses in the Georgian labor market, and unfortunately many people were injured and killed.

**Research Aims/Tasks** -The paper mainly discusses the reality in Georgia regarding labor safety and the conventions of the International Labor Organization, which Georgia has ratified, as well as Georgia's obligations under the Association Agreement between the European Union and how Georgia should bring the Labor Code closer to European labor norms.

**Subject and Object of the Study** -The paper also discusses the gradual stages of the origin and development of labor relations. Here, the shortcomings identified by the Department of Labor Inspection, which have been identified since 2015, and comparisons are made between the rights of Georgian labor inspections and the powers of labor inspections in several developing countries.

**Research Methods** - The article is based on theoretical as well as qualitative and quantitative research. Theoretical research method analyzes the world and Georgian practice. Review of scientific literature, articles, processing of materials produced on Internet publications and web pages. The thesis uses the analysis of statistical studies, the analysis of which, after analyzing the problems of the thesis.

How painful is the issue when you have a constitution, a labor code, obligations to enforce international conventions, the Labor Inspection Service, but unfortunately the rights of employees in Georgia are still violated.

**Hypothesis** - In our opinion, in some cases in Georgia there is forced labor of employees at the workplace; There is also the possibility of overtime work performed by the employee, which is not paid by the employee. Unfortunately, insufficient attention was paid to the given reality and there were too many gaps. Therefore, in recent years, the critical messages sent to the government due to violations of the working conditions in the country (for example: American messages, the West, non-governmental organizations) did not stop, which requires additional study.

**Key words:** Employee, Business sector, Labor safety, Problem, Employer, Authority

**References**

- European Union Association Agrement; *Appendix №30;* www.Europen.ge;
- Government of Georgia; *Resolution N 682* of the Government of Georgia;
- Government of Georgia; *Resolution No. 112* of the Government of Georgia;
- Constitutional Court of Georgia*; Decision N389* of the Constitutional Court of Georgia;
- Constitutional Court of Georgia; decision of the Constitutional Court of Georgia No. 02/04/24 – 1997;
- Commentaries on the Constitution of Georgia. Chapter II. basic human rights and freedoms; Tb, 2013;
- Labor safety standards; www.siaa.ge ;
- Labor Conditions Inspection Department; *Report of 2019 Activity;* www.moh.gov.ge
- Norms regulating labor safety in developed countries; www.moh.gov.ge
- Labor Code of Georgia; www.matsne.ge
- Professional Union of Georgia, www.gtuc.ge
- Rules of the game: Conventions of the International Labor Organization ILO, revised edition; Tb. 2009;

*Internet resourses: www.Europen.ge / www.parliamenti.ge / www.Emc.org.ge / www.safco.ge / www.Hom.gov.ge*

# საქართველოს პოლიტიკური სტრატეგიის ფორმირება საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით

**ხათუნა მურადიშვილი**
საჯარო მმართველობის დოქტორი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობა
საჯარო მმართველობისა და პოლიტის სკოლა, ასოცირებული პროფესორი
ელ.ფოსტა: Khatuna.muradishvili02@gruni.edu.ge

**ეკატერინა ზაქარაძე**
საჯარო მმართველობის დოქტორი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობა
საჯარო მმართველობისა და პოლიტის სკოლა, ასისტენტ პროფესორი
ელ.ფოსტა: Ekaterine.zakaradze02@gruni.edu.ge

**აბსტრაქტი**

თანამედროვე მსოფლიო, მეოცე საუკუნის მოვლენებმა, განვითარების განსხვავებულ ეტაპზე გადაიყვანა. მეორე მსოფლიო ომმა და მისმა შედეგებმა კაცობრიობა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა, კერძოდ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, სახელმწიფო უსაფრთხოების გაძლიერება და საერთაშორისო სივრცეში სწორი ინტეგრაცია, თვითეული სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის პრიორიტეტული მიმართულება გახდა.
ეკონომიკურად და დემოგრაფიულად დასუსტებულ ევრაზიის კონტინენტის უდიდესს ნაწილს ესაჭიროებოდა ძალების მობილიზება და დანაკარგების აღდგენა. ცხადია მხოლოდ საკუთარი რესურსებით ვერცერთი სახელმწიფო ვერ მოახერხებდა ამ მიზნის მიღწევას, საჭირო იყო მსხვილი გაერთიანებების ჩამოყალიბება, რომელიც შეასრულებდა ორ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას: ერთის მხრივ დაეხმარებოდა ევროპას აღდგენაში და მეორეს მხრივ შეაჩერებდა საბჭოთა კავშირის ექსპანსიას.
ამგვარად, მეოცე საუკუნის შუა წლებში ყალიბდება ისეთი მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი, ევროკავშირი და სხვა. 1990-იან წლებში, საქართველოს, როგორც ახალი დემოკრატიის პოსტსაბჭოთა ქვეყანას, უპირობოდ ესაჭიროებოდა საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაცია. ამ ეტაპზე სწორედ საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერამ უდიდესი მისია შეასრულა საქართველოს, როგორც დემოკრატიული და სუვერენული ქვეყნის, სამართლებრივი თუ სისტემური ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში.

ყოველივე აქედან გამომდინარე საკითხი აქტუალობას იძენს, რადგან თანამედროვე საქართველო ძალისხმევას არ იშურებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის კუთხით, რომელიც მრავალმხრივ ურთიერთობებს ეფუძნება.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია იმსჯელოს თუ რა დინამიკით მიმდინარეობს, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით საქართველოს პოლიტიკური სტრატეგიის ფორმირება, როგორია ამ საქმეში თვითეული ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის ხედვა და სტრატეგია. რაც მთავარია წარმოვაჩინოთ რომელი ნაბიჯი იყო ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული და სად იქნა დაშვებული შეცდომები. ჩვენი მიზანია შეფასდეს არაეფექტური გადაწყვეტილების გავლენის ხარისხი, რათა შემდგომში თავიდან იქნეს აცილებული მსგავსი წარუმატებელი სვლები.
ამრიგად, მრავალმხრივი კვლევის საფუძველზე, ავტორების მიერ, წარმოდგენილია დასკვნა - რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს პოლიტიკური სტრატეგიის ფორმირებაში

საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა და რა შედეგებზე გაიყვანს უახლოეს მომავალში ქართულ სახელმწიფოს აღნიშნული თანაშრომლობა.

**საძიებო სიტყვები:** საერთაშორი ორგანიზაციები, სახელმწიფო მართვა, პოლიტიკური ლიდერი, უსაფრთხოება და თავდაცვა.

# Formation of political strategy in Georgia with the involvement of international organizations

**Khatuna Muradishvili**
Doctor of Public Administration
Grigol Robakidze University Batumi Reprezentation
School of Public Administration and Policy, Associate Professor
E-mail: Khatuna.muradishvili02@gruni.edu.ge

**Ekaterina Zakaradze**
Doctor of Public Administration
Grigol Robakidze University Batumi Reprezentation
School of Public Administration and Policy, Assistant-Professor
E-mail: Ekaterine.zakaradze02@gruni.edu.ge

## Abstract

The events of the 20th century have moved the modern world to a different stage of development. World War II and its outcome put humanity in front of new challenges, for example, protection of human rights and freedom, strengthening of national security and correct integration in the international space became a priority of the political course of each country.

The largest part of the Eurasian continent, which was economically and demographically weakened, needed to mobilize forces and restore losses. Obviously, no nation could achieve this goal with its own resources, for this reason, it was necessary to form large unions that would fulfill two important functions: on one hand, a union that would help rebuild Europe, and on the other hand, would stop the expansion of the Soviet Union.

Thus, in the middle of the twentieth century, large international organizations such as the United Nations, the North Atlantic Alliance, the European Union, and others were formed.

In the 1990s, Georgia, as a new democratic post-Soviet country, absolutely needed integration in the international space. At this stage, it was the support of international organizations that fulfilled the greatest mission in the formation of legal and systemic institutions of Georgia as a democratic and sovereign country.

Therefore, the issue becomes relevant, because modern Georgia does not make any efforts in terms of cooperation with international organizations, which is based on multilateral relations.

The purpose of this research paper is to discuss the dynamics of the formation of the political strategy of Georgia with the involvement of international organizations, and in this case the vision and strategy of the political leader of our country. More importantly, to show which steps were effective and result-oriented and where mistakes were made. Our goal is to measure the degree of impact of ineffective decisions in order to avoid similar unsuccessful moves in the future.

Thus, on the basis of multi-sided research, the authors present a conclusion of how important the involvement of international organizations is in the formation of the political strategy of Georgia and what results will the aforementioned cooperation of Georgia lead to in the near future.

Key words: International organizations, state management, political leader, security and defense

# საქართველოს განათლების სისტემა, როგორც დემოკრატიის დაცვის გარანტი

**ამირან მესხიშვილი**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბათუმის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი
ელ-ფოსტა: batumirobaqidze@gmail.com

**აბსტრაქტი**

**თემის აქტუალობა** - საქართველოს ისტორიის განმავლობაში საქართველოს მთლიანობის საკითხზე თუ ვსაუბრობთ, უნდა ვაღიაროთ რომ ერთიანად არასოდეს დაბრუნებია ის ტერიტორიები, რაც დღევანდელი გადასახედიდან, რომ ვთქვათ ,,მოკეთე“ მეზობლებმა მიისაკუთრეს. საქართველო დევს ეგრეთწოდებულ ,,ქირურგიულ საოპერაციო მაგიდაზე“, სადაც ყველას თვალწინ კვეთენ პაციენტს, რომელსაც ამპუტაციას უკეთებენ. ამ დროს კი საქართველოს ოკუპაცია მიმდინარეობს, რომლის მიწა-წყლის ამპუტაციაც ნაწილ-ნაწილ ხდება. ამ ოკუპაცია-ამპუტაციას ესწრება მთელი მსოფლიო. ჩვენ კი, ამ დროს ნაცვლად იმისა, რომ ვეძებდეთ დიალოგის ენას, ვკრძალავთ და ვზღუდავთ ოკუპანტის ენას. სამწუხაროა, რომ საქართველოს მოქალაქეთა ნაწილმა არ იცის სახელმწიფო ენა - ენა ქართული.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნაპოლეონის დამპყრობლური ომის გამო ევროპაში აკრძალულიყო ფრანგული ენა, არც ინგლისური ენა აკრძალულა ინგლისის დამპყრობლური ომების გამო, არც ჰიტლერის ფაშისტური გერმანიის გამო აუკრძალავს გერმანული ენა მსოფლიოს, მით უმეტეს იმ დროისათვის კომუნისტური იდეოლოგიით გაჟღენთილ საბჭოთა კავშირში, სადაც ხალხის სახელით დიქტატურა მძვინვარებდა.

**კვლევის მიზანი** - წარმოაჩინოს სამეტყველო ენის როლი და მნიშვნელობა; ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის ,,აფხაზეთისა“ და ,,სამხრეთ ოსეთის“ ახალგაზრდებთან დიალოგის გზით სხვადასხვა მეთოდების გამოყენება-გაუმჯობესება, ახალგაზრდებისთვის სათანადო განათლების მიღება, ეროვნული აზროვნების ჩამოყალიბება, რაც აუცილებლად იქნება შედეგის მომცემი, ერის თავისუფლებისა და დემოკრატიის გარანტი.

**კვლევის საგანი** - საქართველოს ზოგადი და უმაღლესი განათლების სისტემაში განათლების უზრუნველყოფის საკითხები. პოლიტიკური და სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება ეროვნული განათლების კონცეფციის ჩამოყალიბება და განმტკიცებაში.

**კვლევის მეთოდოლოგია** - ემყარება საქართველოში განათლების სისტემის პრაქტიკის შესწავლა-დაკვირვებას, საზოგადო მოღვაწეთა, მეცნიერთა და ექსპერტთა რეკომენდაციების დამუშავებას და მათზე დაყრდნობას.

საძიებო სიტყვები: ოკუპაცია-ამპუტაცია, სამეტყველო ენა, დემოკრატია, განათლების კონცეფცია;

# დასავლური ორიენტაციის გააზრება გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში „დიდი შუადღის“ მეტაფორის მიხედვით


**ჟუჟუნა შაინიძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობა,
მოწვეული პროფესორი
ელ. ფოსტა: zhuzhuna.shainidze02@gruni.edu.ge



**აბსტრაქტი**

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებამ თავისი ღრმა ფილოსოფიური გააზრებით არაერთხელ მიიქცია როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევრების ყურადღება. მისი პროზა, პოეზია, ესეები თუ წერილები ამოუწურავ მასალას იძლევა მწერლის მსოფლმხედველობრივი მრწამსის მრავალმხრივი ანალიზისათვის. ამ თვალსაზრისით, ჩვენი ესთეტიკური განსჯის ობიექტია „დიდი შუადღის“ მეტაფორა გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში, რომელიც გვხვდება გრ. რობაქიძის სონეტში „დიდი შუადღე“; რომანში „გველის პერანგი“; ასევე, დასავლელი მწერლებისადმი მიძღვნილ მისასალმებელ წერილში, რის საფუძველზე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მეტაფორა „დიდი შუადღის“ ინტერტექსტობრივი ველი მრავალგვარი ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა, თუმცა ყველა შემთხვევაში გაიაზრება როგორც ერთიანობის, დასავლური და აღმოსავლური აზროვნების შერწყმის სიმბოლოდ, რაც, მწერლის აზრით, აღადგენს დაკარგულ ჰარმონიას.

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში მეტაფორა „დიდი შუადღე“ სამმაგად დეკოდირდება და სამივე შემთხვევაში, თავისი სიმბოლური და შინაარსობრივი კონტექსტით, საფუძველს გვაძლევს პარალელი გავავლოთ როგორც ბიბლიურ–კოსმოგონიურ, ისე მწერლის თანამედროვე სოციალურ–პოლიტიკურ კონტექსტებთან. ამ მეტაფორის კულტურული კოდი სიმბოლურად უკავშირდება როგორც სამყაროს, ისე ადამიანური ცივილიზაციის თანამდევ კანონზომიერ მოვლენას, რომელიც ცნობილია კრიზისული პერიოდის სახელწოდებით.

რომანში „გველის პერანგი“ მწერალი „დიდი შუადღის“ სიმბოლიკაში განიხილავს მამისა და ძის ერთიანობის ბიბლიურ პრინციპს; ხოლო დასავლელი მწერლებისადმი მისასალმებელ წერილში მეტაფორიზებულ „დიდ შუადღეში“ გრ. რობაქიძე გულისხმობს საქართველოს გეოპოლიტიკურად და საზოგადოებრივად რთულ ვითარებას, დიდ შეყოვნებას, შუა გზაზე ყოფნას, გაურკვევლობას, დიდ კრიზისს და გამოხატავს ქართველი ხალხის სწრაფვას დასავლური ცივილიზაციისაკენ, რომ აღმოსავლური და დასავლური აზროვნების შერწყმით უნდა იქნეს მიღწეული სამყაროს დარღვეული ჰარმონიული მთლიანობის აღდგენა.



საძიებო სიტყვები: დიდი შუადღე, ჰარმონია, დასავლური, ბიბლიური, აღმოსავლური, კრიზისი.


# Comprehension of Western Orientation in Gr. Robakidze’s Creativity according to “Great Noon” Metaphor


**Zhuzhuna Shainidze**

Batumi Representation of Grigol Robakidze University
Invited Profesor
E-mail: zhuzhuna.shainidze02@gruni.edu.ge

**Abstract**

Grigol Robakidze's creativity, with its deep philosophical comprehension, not once has drawn the attention of Georgian, as well as foreign researchers. His prose, poetry, essays or letters give us inexaustable material for multi-faceted analysis of writer's world view. In this regard, object of our aesthetic judgement is "Great noon" metaphor in Gr. Robakidze's creative work, which we find in sonnet "Great noon"; In the novel "Snake skin"; Also in the greeting letter dedicated to western writers, on the basis of which, we may denote that intertextual field of the "Great noon" metaphor permits interpretating it in multiple ways, however, in all cases, it is understood as a symbol of unity, merging of western and eastern thought, which, in writer's opinion, restores the lost harmony.

In Grigol Robakidze's creativity, "Great noon" metaphor is decoded in three ways and in all three cases, with its symbolic and essential context, gives us basis to draw a paralel as to Biblical-cosmogonic, so to social-political contexts contemporary to the writer. Cultural code of this metaphor is symbolically related to world, as well as to law-governed phenomenon accompanying to human civilisation, which is known by the name of crisis period.

In the novel "Snake's skin", writer represents biblical principle of father-son unity in the symbolism of "Great noon"; and in the "Great noon" metaphor of greeting letter dedicated to western writers, Gr. Robakidze implies Georgia's geopolitically and socially complex situation, great delay, being in half way, uncertainty, great crisis and expresses Georgian people's strive towards western civilisation, that by merging eastern and western thoughts, restoration of world's violated harmony must be achieved.

**Key Words:** Great noon, Harmony, Western, Biblical, Eastern, Crisis.

## აბსოლუტიზმისა და კულტურის ურთიერთმიმართების ნიცშეანური კონცეფცია გრიგოლ რობაქიძის ესეში „ქართული რენესანსი“

**მინდია ცეცხლაძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობა

მოწვეული პროფესორი
ელ-ფოსტა: mindia.tsetskhladze02@gruni.edu.ge

**აბსტრაქტი**
გრიგოლ რობაქიძე ქართველი ერის და ზოგადად, ერის ერთიანი კულტურული სხეულის ჩამოყალიბების საშუალებად მიიჩნევს აბსოლუტიზმს და მონობას, როგორც აუცილებელ ისტორიულ საფეხურს. იქედან გამომდინარე, რომ გრიგოლ რობაქიძე იცნობდა ნიცშეს ფილოსოფიას და ხშირად საუბრობდა მასზე, აუცილებელია კომპარატივისტული ანალიზი ამ მიმართულებით.

გრიგოლ რობაქიძის აზრით, საქართველოს არ გამოუვლია სასტიკი აბსოლუტიზმისა და მონობის ისტორიული საფეხური, რაც არის ჩვენი კულტურის ტრაგედია. ანალოგიურად, ნიცშე, მონობას და შესაბამისად, არისტოკრატიულ, კასტურ წყობას მიიჩნევს ადამიანის ტიპის ამაღლების საშუალებად. რობაქიძე მიიჩნევს, რომ ერის ერთიანი ფსიქიკის შესაქმნელად, საჭიროა სასტიკი ყალიბი. ასევე ყალიბზე საუბრობს ნიცშე, როცა ამბობს, რომ სახელმწიფოს სათავეები დაკავშირებულია შიშისმომგვრელ ტირანიასთან, მოსახლეობის ერთიან მასად ძალადობრივ ფორმირებასთან და არა მშვიდობიან კონტრაქტებთან. გრიგოლ რობაქიძე აკრიტიკებს ასევე ქართველი ერის ანარქიულ ბუნებას და რეგიონულ პარტიკულარიზმს. ამ შემთხვევაში, ნიცშე უფრო შორს მიდის და საუბრობს ევროპის გაერთიანებაზე, გმობს რა ვიწრო-ნაციონალისტურ „ნევროზს“.

გრიგოლ რობაქიძის აზრით, ბერძნების შემთხვევა გამონაკლისია, თუმცა ნიცშე ამას არ დაეთანხმებოდა. აბსოლუტიზმის ხსენებაზე, თითქოს მხოლოდ ლუი მე-14-ის საფრანგეთი გვახსენდება, მაგრამ ნიცშე სწორედ ბერძნების მაგალითზე აყალიბებს კულტურისა და პოლიტიკის თავის კონცეფციას. სწორედ ბერძნებთან ხდება სახელმწიფოს დაქვემდებარება კულტურაზე, რათა მოხდეს უფრო რთული, უფრო ძლიერი ადამიანის ტიპის შექმნა. ბერძნული სახელმწიფო უზრუნველყოფს კულტურის გენიოსის გათავისუფლებას შრომისგან, მონობის ხარჯზე, მასების იძულების ან მოტყუების გზით. ეს ასევე გულისხმობს ომების წარმოებას, რათა მოხდეს დამარცხებულთა დამონება. ამრიგად, კულტურის გენიოსის დაბადებამდე სამხედრო გენიოსი უნდა იშვას.

რობაქიძე ნიცშეს მიაწერს უკიდურეს ინდივიდუალიზმს, თუმცა ნიცშესთვის, მიუღებელია ინდივიდუალიზმი, რადგან ის დაკავშირებულია სოციალიზმსა და ანარქიზმთან. თანასწორობა არის თავის მოტყუება, რადგან ძალაუფლების ნების საფუძველმდებარე ინსტინქტის გამო, მაინც დაითრგუნება თანასწორობაც და თავისუფლებაც. ნიცშესთვის, ღირებულება არის არა თავისუფლება, არამედ ძალაუფლება და ადამიანის ტიპის ამაღლება, რასაც მრავალი ადამიანის თავისუფლება შეიძლება შევწიროთ მსხვერპლად. ეგოიზმიც მხოლოდ იმ ტიპში არის ღირებული, რომელიც ადამიანის და შედეგად, კაცობრიობის ამაღლებას, თვითგადალახვას უწყობს ხელს. ნიცშეს იერარქიული პლურალიზმი გულისხმობს სხვადასხვა ამოცანებს სხვადასხვა ტიპებისათვის. ნიცშეს აზრით, ადამიანებს თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლა უნდა სჭირდებოდეთ. თავისუფლების გარანტორი ლიბერალური ინსტიტუტები თავად აზიანებენ თავისუფლებას.

თუმცა ნიცშესეული მონობა არ უნდა გავაიგივოთ კაპიტალისტურ ექსპლუატაციასთან. მაღალი კასტა არ ესწრაფვის გამდიდრებას. ეს არ არის არც ტოტალიტარისტული რეჟიმი: მოწინააღმდეგე არ უნდა განადგურდეს ან დაითრგუნოს იმდენად, რომ ბრძოლის უნარი წაერთვას. ნიცშეს ციკლების კონცეფციის თანახმად, აბსოლუტიზმის ეპოქა, ვერ იქნება და არც უნდა იყოს მუდმივი, რადგან ადამიანის ძლიერი ტიპისთვის დამახასიათებელი მუდმივი ბრძოლა და ენერგიის მფლანგველობა, გამოფიტვას და განადგურებას მოიტანს. ამრიგად, როგორც ამას რობაქიძეც აღნიშნავს, აბსოლუტიზმი არის ისტორიის აუცილებელი ეტაპი, საფეხური.

საძიებო სიტყვები: აბსოლუტიზმი, კულტურა, მონობა, თავისუფლება, ძალაუფლება.

# Nietzschean Conception of Interrelation between Absolutism and Culture in Grigol Robakidze's Essay "Georgian Renaissance"

**Mindia Tsetskhladze**
Batumi Representation of Grigol Robakidze University
Invited Profesor
E-mail: mindia.tsetskhladze02@gruni.edu.ge

**Abstract**
For Grigol Robakidze, means of forming unified cultural body of Georgian nation and a nation, in general, is absolutism and slavery, as necessary historical stage. As far as Grigol Robakidze was aware of Nietzsche's philosophy and frequently talked about it, comparativistic analysis is necessary in this direction.

In Grigol Robakidze's opinion, Georgia has not passed through a historical stage of harsh absolutism and slavery, which is our cultural tragedy. Likewise, Nietzsche sees slavery, and consequently, aristocratic, caste formation, as a means of elevating the type of man. For Robakidze, in order to create unified psyche of nation, harsh mould is needed. Nietzsche also talks about mould, when he says, that origins of the state is related to terrible tyranny, to violent formation of population in an unified mass, rather than to peaceful contracts. Grigol robakidze also criticizes anarchical nature and regional particularism of Georgian nation. In this case, Likewise, Nietzsche goes even further and talks about unification of Europe, condemning narrow-nationalistic "neurosis".

In Grigol Robakidze's opinion, Greek's case is an exception, however, Nietzsche would not agree on that. Speaking of absolutism, it seems, we are reminded only of Louis XIV's France, but Nietzsche establishes his conception of culture and politics precisely on the example of Greeks. Precisely with Greeks, state is subordinated to culture, in order to make possible the creation of stronger, more complex type of man. Greek state guarantees Genius of culture to be free from labor, at the cost of slavery, by way of compulsion or deceit of masses. This, also, means conducting wars, in order to make slaves out of the defeated. Thus, before the birth of Genius of culture, military genius should be born.

Robakidze ascribes to Nietzsche extreme individualism, however, for Nietzsche, individualism is not acceptable, because it is related to socialism and anarchism. Equality is self-deception, because, due to underlying instinct of will to power, equality, as well as freedom, will be suppressed in any case. For Nietzsche, the value is not freedom, but power and elevation of the type of man, to which, freedom of many people may be sacrificed. Egoism, too, is valuable only in that type, which maintains elevation, self-overcoming of man, and consequently, of humanity. NNietzsche's hierarchical pluralism implies different tasks for different types of man. In Nietzsche's opinion, people need to have to fight for their freedom. Liberal institutions, who are guarantors of freedom, themselves are damaging the freedom.

However, Nietzschean slavery should not be confused with capitalist exploitation. Higher caste do not strive for richness. This is not totalitarian regime, either: opponent shouldn't be destroyed or suppressed in such a way, that it loses the ability for fighting. According to Nietzschean conception of cycles, the epoch of absolutism, can and should not be permanent, because constant fighting and energy squandering

characteristic to strong type, will bring exhaustion and destruction. Thus, as it is denoted by Robakidze as well, absolutism is a necessary stage, phase of history.

**Key Words:** Absolutism, Culture, Slavery, Freedom, Power.

## Philosophical Texts from Muslim Philosophers: Ghazali's Encounter with the Bandits

**Prof. Dr. (PhD) Aytekin Demircioglu**
Vice-Dean of Kastamonu University, Turkey
Faculty of Humanities and Social Science
Department of Philosophy and Religious Sciences
Associate Professor in Philosophy (Fenerbarche University)
E-mail: demircioglu.aytekin@gmail.com

### Abstract

When Ghazali was only 15 years old, he started to take fiqh lessons (Islamic law, Islamic rules) from Ahmet bin Muhammed er-Rezakani, one of the famous scholars of that period, in the city of Tus. Later, he went to the city of Curcan and continued to take fiqh lessons from Abu Nasr al-Ismaili. While returning from Curcan, an incident happened to Ghazali and this event affected his entire scientific life. The common means of transportation of that period were caravans. Ghazali also joined a caravan for the return journey. However, on the way back, this caravan was attacked by bandits. The bandits took the personal bags of the caravan without examining the contents too much. Because people carried their valuable things such as gold and money with them. In the meantime, they thought that there was something valuable in his bag, and they took the bag containing Gazali's lecture notes. Although Ghazali said that there was nothing valuable in his bag, the robbers did not listen to him and took his bag.

In this study, it is discussed how this event experienced by Ghazali affected his life and understanding of science. Document analysis method was used in the study.

**Keywords**: Epistemology, Philosophical Texts Muslim Philosophers Ghazali;

## ფუნდამენტალური ცნებებისა და კანონზომიერებების როლი სამედიცინო აზროვნების ჩამოყალიბებაში

**ლევან გორგილაძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ბათუმის წარმომადგენლობის ბიზნესისა და მართვის სკოლის ასოცირებული პროფესორი
ელ-ფოსტა: levan.gorgiladze02@gruni.edu.ge

ოთარ გერზმავა
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
მედიცინის სკოლის სრული პროფესორი
ელ-ფოსტა: otar@nilc.org.ge

ნინო გორგილაძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საჯარო მმართველობის და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი
ელ-ფოსტა: nino.gorgiladze19@gruni.edu.ge

აბსტრაქტი

**ნაშრომის აქტუალობა:** სტანდარტები, პროტოკოლები, ალგორითმები კარგია პრაქტიკოსი პროფესიონალებისთვის, შეცდომებისა და სამართლებრივი პასუხისმგებლობის რისკის შემცირებისათვის. მათი გამოყენება ითვალისწინებს ტექნიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას და პრაქტიკით გამყარებას. განვითარებისთვის აუცილებელია არსებული სტანდარტების დახვეწა და გაუმჯობესება, მტკიცებულებაზე დაყრდნობილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვა, ასევე, კარგი პრაქტიკის განზოგადება და თეორიულ ცოდნაში გადატანა. ამისთვის საჭიროა, გარკვეული ფუნდამენტალური ცნებებისა და კანონზომიერებების ცოდნის საფუძველზე, მოვლენების არსში გაცნობიერებული წვდომა და პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომა.

**ნაშრომის მიზნებია:**

- დაინტერესებული პირები აღჭურვოს ისეთი ცოდნით, რომელიც მისცემს შესაძლებლობას, გაცნობიერებულად აღიქვან ორგანიზმში მიმდინარე დამცველობით-პათოლოგიური პროცესები, გამოავლინონ ამ პროცესებზე მოქმედი ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები, პროცესის ზოგად კანონზომიერებებზე დაყრდნობით, ჩაატარონ სწორი ანალიზი და მიიღონ მტკიცებულებაზე დაყრდნობილი, მართებული და ოპტიმალური გადაწყვეტილებები;
- ფუნდამენტური ცნებებისა და კანონზომიერებების შესახებ ცნობიერების დონის შესწავლა და ამ ცოდნის მიღების საჭიროების განსაზღვრა;

**შინაარსი:** ნაშრომში განხილულია, პროცესების გაცნობიერებულ აღქმის, ანალიზის და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო, ფუნდამენტალური ცნებები და კანონზომიერებები:

- ფილოსოფიის (დიალექტიკის) 3 ძირითადი კანონი;
- სტრუქტურა და ფუნქცია, მათი დიალექტიკური ერთიანობა;
- სისტემიც ცნება და შინაარსი, სისტემის ელემენტები და პარამეტრები;
- პროცესის ცნება და შინაარსი;
- წონასწორობის ცნება და კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპები;
- ლე შატელიეს პრინციპი დინამიური წონასწორობისათვის, მისი საყოველთაო ხასიათი;
- სისტემა და გარემო;

**კვლევის მეთოდოლოგია:** ნაშრომი ძირითადად თეორიული ხასიათისაა და გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: ანალიზისა და სინთეზის, დედუქციისა და ინდუქციის, სისტემური, სტრუქტურულ-ფუნქციური, შედარებითი და სოციოლოგიური.

**კვლევის შედეგები:** ნაშრომის ფარგლებში ჩატარდა სოციოლოგიური კვლევა, რომლის მიზანია ფუნდამენტური ცნებებისა და კანონზომიერებების შესახებ ცნობიერების დონის შესწავლა და ამ ცოდნის მიღების საჭიროების განსაზღვრა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 144-მა რესპონდენტმა,

სოციოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლინდა:

- საკვლევ ჯგუფს აქვს გარკვეული ცოდნა დიალექტიკის ძირითადი კანონების, სისტემისა და დინამიკური წონასწორობის შესახებ;
- საკვლევ ჯგუფში შედარებით დაბალია ცოდნა ლე შატელიეს პრინციპის შესახებ;
- საკვლევი ჯგუფის დიდი უმრავლესობა (80%-ზე მეტი) დაინტერესებულია, გაიღრმავოს ცოდნა ფუნდამენტური ცნებებისა და კანონზომიერებების შესახებ და თვლის, რომ საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილი იყოს შესაბამისი სწავლების კურსი.

**დასკვნა:** ნაშრომში წარმოდგენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვა შეამცირებს მცდარი გადაწყვეტილებების მიღების რისკს, რაც დადებით გავლენას მოახდენს ორგანიზმში მიმდინარე კომპენსაციურ-პათოლოგიური პროცესების ოპტიმალურად მართვაზე.

ნაშრომის აკადემიურ წრეებში განხილვა ხელს შეუწყობს კრიტიკული აზროვნების საფუძვლების სასწავლო კურსის დანერგვას საგანმანათლებლო პროგრამებში.

**საძიებო სიტყვები:** სტრუქტურა და ფუნქცია, პროცესი, სისტემა, დინამიკური წონასწორობა.

# Role of Fundamental Concepts and Regularities in the Formation of Medical Thinking

**Gorgiladze Levan**
Grigol Robakidze University
PhD in Business Administration
Associated Professor, School of Business and Management
E-mail: levan.gorgiladze02@gruni.edu.ge
**Gerzmava Otar**
Grigol Robakidze University, PhD, Full Professor of Public Health and Health Management, School of Medicine
E-mail: otar@nilc.org.ge
**Gorgiladze Nino**
Grigol Robakidze University, PhD Student, School of Public Administration and Politics
E-mail: nino.gorgiladze19@gruni.edu.ge

## Abstract

**Relevance of the work:** Standards, protocols, and algorithms are suitable for practising professionals to reduce the risk of errors and legal liability. Their use leads to the development of technical skills and strengthens the practice. For professional development, it is essential to refine and improve existing standards, implement evidence-based theoretical knowledge into practice, generalise good practice, and transfer it to theoretical knowledge. All of these require conscious access to the essence of events and a creative approach to the problem based on the knowledge of certain fundamental concepts and regularities.

**The purpose of the study:**

- To equip stakeholders with such knowledge that enables them to consciously perceive the protective-pathological processes of the human organism, to identify the contributing and hindering factors acting on these processes based on the general regularities of the process, to conduct the correct analysis and make evidence-based, valid and optimal decisions;
- To study the level of awareness of fundamental concepts and regularities and determine the need to obtain this knowledge.

**Content:** The paper discusses the fundamental concepts and regularities necessary for conscious perception, analysis and optimal decision-making of processes:

- Three basic laws of philosophy (dialectic);
- The structure and Function, their Dialectic Unity;
- The concept and the content of the system, elements and parameters of the system;
- The concept and scope of the process;
- The concept of balance and basic principles of classification;
- Le Chatelier's principle for dynamic equilibrium, its universal character;
- System and environment;

**Research methodology:** The paper uses the following research methods: analysis and synthesis, deduction and induction, systemic, structural-functional, comparative and sociological study.
The purpose of sociological research was to study the level of awareness of fundamental concepts and regularities and to determine the need to acquire this knowledge. ----- respondents took part in the research.

**Results of sociological research:**

- The research group has some knowledge about the fundamental laws of dialectics, systems and dynamic equilibrium;
- Knowledge of Le Chatelier's principle is relatively low in the research group;
- The vast majority of the research group (> 80%) is interested in extending knowledge about fundamental concepts and regularities and believes that the implementation of relevant teaching courses in educational programs is required.

**Conclusion:** Implementation of the theoretical knowledge presented in the paper will reduce the risk of wrong decisions, which will positively affect to the optimal management of compensatory-pathological processes in the human organism.
Discussion of the paper in academic circles will assist in the implementation of the teaching course - the basics of critical thinking - in educational programs.

**Keywords:** Structure and Function, Process, System, Dynamic Equilibrium.

## საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის რეფორმების განხორციელების ეფექტურობის შეფასების შედეგები

**ნინო გორგილაძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საჯარო მმართველობის და პოლიტიკის სკოლა, დოქტორანტი
ელ-ფოსტა: nino.gorgiladze19@gruni.edu.ge

**ოთარ გერზმავა**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მედიცინის სკოლის პროფესორი
ელ-ფოსტა: otar@nilc.org.ge

**ლევან გორგილაძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ბათუმის წარმომადგენლობის ბიზნესისა და მართვის სკოლის ასოცირებული პროფესორი
ელ-ფოსტა: levan.gorgiladze02@gruni.edu.ge

**აბსტრაქტი**

საქართველოს და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე ოფიციალური მოლაპარაკებები 2010 წლიდან დაიწყო და შეთანხმებას ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს. ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოსთვის ევროკავშირთან პოლიტიკური დაახლოების, ევროკავშირში სამომავლო ინტეგრაციისა და ქვეყნის სტრატეგიული განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი წინგადადგმული ნაბიჯია. შეთანხმების პირობა მრავალმხრივია, პოლიტიკური და თავისუფალი ვაჭრობის მიმართულებით ურთიერთობების გაღრმავების გარდა, ითვალისწინებს დარგობრივი თანამშრომლობასაც, მათ შორის მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან ელემენტად მიჩნეული, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უსაფრთხოების დონისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გაუმჯობესების მიმართულებით. ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები კომპლექსურია და სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს, მათ შორისაა: ჯანდაცვის რეფორმების გაძლიერება, ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა, ადამიანური რესურსების განვითარება, ჯანმრთელობის სფეროში მმართველობისა და ჯანდაცვის დაფინანსების სრულყოფა. ევროპულ სტანდარტებთან ჯანდაცვის სისტემის შესაბამისობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა ჩვენი ქვეყნისთვის, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ხელს შეუწყობს ჯანდაცვის სფეროს განვითარებას, ევროპული სტანდარტებისა და კარგი პრაქტიკის დანერგვას, რაც აუცილებელი პირობაა როგორც ქვეყნის სტრატეგიული, ასევე მედიცინის დარგის განვითარებისა და საზოგადოების ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის. ასოცირების შეთანხმების რატიფიცირების (18.08.2014) შემდეგ, საქართველოს სახელმწიფოს მიერ, ჯანდაცვის სისტემის განვითარების მიმართულებით, ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისკენ გადადგმული პირველი ქმედითი ნაბიჯები 2014-2020 წლების ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფციის დამტკიცებას და აღნიშნული კონცეფციის საფუძველზე განხორციელებულ ღონისძიებებს უკავშირდება, რომლის პირობების შესრულებაც დღემდე მიმდინარეობს და ამჟამად, 2022-2030 წლების ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში გრძელდება. წინამდებარე ნაშრომის მიზანია საქართველოს სახელმწიფოს მიერ ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში განხორციელებული ქმედებების შესწავლა და ანალიზი. ნაშრომში განხილულია ასოცირების შესახებ შეთანხმების მნიშვნელოვანი დებულებები, ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, ჯანდაცვის სისტემის რეფორმების ამსახველი სამართლებრივი და ნორმატიული აქტები, სხვადასხვა ავტორის ნაშრომები და სხვა. ნაშრომის მთავარი ამოცანაა ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შედეგების შესწავლა, დასკვნების გაკეთება და რეკომენდაციების შემუშავება. კვლევის პროცესში გამოყენებულია ანალიზის და სინთეზის, სისტემური,

შედარებით-სამართლებრივი და სხვა კვლევის მეთოდები. კვლევის შედეგებით დგინდება, რომ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესების და ჯანდაცვის სისტემის განვითარების მიმართულებით ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროცესი უწყვეტად მიმდინარეობს, გატარდა მრავალმხრივი ღონისძიება, ცვლილებები შევიდა ჯანდაცვის კანონმდებლობაში, დაიხვეწა სამედიცინო საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებით სალიცენზიო-სანებართვო პირობები, ამოქმედდა ელექტრონული ჯანდაცვის და ელექტრონული რეცეპტების სისტემა, რეფორმები გატარდა ჯანდაცვის დაფინანსების მიმართულებითაც, დღის წესრიგში დგას სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელება, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სისტემური ხარვეზებიდან გამომდინარე გატარებული ღონისძიებების ეფექტურობა ჯერჯერობით არ არის თვალსაჩინო.

**საძიებო სიტყვები:** საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, ასოცირების შესახებ შეთანხმება, ჯანდაცვის სისტემის რეფორმები

# Effectiveness evaluation of the implementation of reforms of the country's healthcare system within the framework of the Association Agreement between Georgia and the European Union

**Nino Gorgiladze**
Grigol Robakidze University
PhD Student, School of Public Administration and Politics
E-mail: nino.gorgiladze19@gruni.edu.ge
**Otar Gerzmava**
Grigol Robakidze University
PhD, Full Professor of Public Health and Health Management, School of Medicine
E-mail: otar@nilc.org.ge
**Levan Gorgiladze**
Grigol Robakidze University
PhD in Business Administration, Associated Professor, School of Business and Management
E-mail: levan.gorgiladze02@gruni.edu.ge

**Abstract**
Official negotiations on the Association Agreement between Georgia and the European Union began in 2010, and the agreement was signed on June 27, 2014. The association agreement is essential for Georgia's political rapprochement with the EU, future integration into the EU, and the country's strategic development. The condition of the agreement is many-sided; besides deepening relations in the direction of political and free trade, it also foresees sectoral cooperation, including improving public health safety and protecting human health as an essential element for sustainable development and economic growth. The obligations assumed by the association agreement are complex; they contain various directions, including strengthening health care reforms, provision of quality medical services, development of human resources, improvement of health governance and health financing. The compliance of the healthcare system with European standards is a significant challenge for our country. The fulfilment of the obligations will contribute to the development of the healthcare sector, which is a necessary condition for the strategic development of the country, as well as the development of medicine and the improvement of public health. After the ratification of the association agreement (18.08.2014), the first effective steps taken by the state of Georgia in the direction of the development of the health care system are related to the state concept of the health care system for the years 2014-2020 and the measures implemented based on that; the fulfilment of the conditions is ongoing, and Currently, it continues within the framework of the National Health Strategy for 2022-2030. The purpose of the paper is to study and analyze the actions taken by the state of Georgia within the framework of the obligations assumed by the association agreement. The paper discusses the essential requirements of the Association Agreement, the legislative changes implemented within the framework of the obligations, the legal and normative acts reflecting the healthcare system reforms, the works of various authors etc. The main task of the paper is to study the results of the fulfilment of obligations under the association agreement, reach conclusions and develop recommendations. Analysis, synthesis, systematic, comparative-legal and other research methods are used in the research process. According to the results, it is determined that the process of fulfilling the obligations assumed by the association agreement in the direction of improving public health and developing the healthcare system is ongoing. A multifaceted event was held, amendments were made to the healthcare legislation, license-permit conditions were improved in various areas of medical activity, the system of electronic healthcare and electronic prescriptions was launched, reforms were also carried out in the direction of healthcare financing, the implementation of other important measures is on the agenda. However, the effectiveness of the actions taken due to systemic deficiencies is not visible yet.
**Key words:** Public Health, Association Agreement, Health System Reforms

# უცხოელი სტუდენტების ჩართულობა საუნივერსიტეტო სივრცეში: შეფასება და გამოწვევები

**ზაზა ბერიშვილი**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, პროფესორი
მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
ელ-ფოსტა: zaza.berishvili@gruni.edu.ge

**ნინო გორდელაძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
მედიცინის სკოლის დეკანის მოადგილე, ECTS-ს კოორდინატორი
ელ-ფოსტა: nino.gordeladze@gruni.edu.ge

**აბსტრაქტი**
2005 წლის მაისში საქართველო ბოლონიის პროცესს მიუერთდა. ქვეყნის უმაღლესი განათლების დაწესებულებების Magna Charta Universitatum-ის სივრცეში მოქცევამ და ჩვენი უმაღლესი განათლების ქართული დიპლომის საერთაშორისო აღიარებამ მკვეთრად გაზარდა ინტერესი განათლების ჩვენს ქვეყანაში მიღების მიმართ, ამ აქტივობის უცილობელ ლიდერად კი სამედიცინო განათლების ინსტიტუციები მოგვევლინა.
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამა არსებობის სულ სამიოდე წელს ითვლის, თუმცა უცხოელ სტუდენტებთან მუშაობის ყველა ძირითადი თავისებურების გამოსავლენად ეს ხანმოკლე პერიოდიც კი აღმოჩნდა სავსებით საკმარისი. მართალია, პროგრამის განხორციელება სულ მალე დაემთხვა კორონას ეპიდემიას და აკადემიური პროცესი გარკვეულწილად კრიტიკულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მაგრამ მისი ყველა თავისებურებაც და სოციალური გამოწვევებიც თვალნათლივ გამოვლინდა.
უცხოელ სტუდენტთა უმრავლესობა ჩვენს უნივერსიტეტში მობილობით არის გადმოსული, რასაც რიგი გამოწვევები სდევს თან. იმ სიძნელეებს, რომლებიც სხვადასხვა სამედიცინო სკოლის რამდენადმე განსხვავებული კურიკულუმების ჩვენეულ სტანდარტზე პორტირებისას იჩენენ თავს, საუნივერსიტეტო ცხოვრების წინა, განსხვავებული ტრადიციებიც ემატება და ეს ყველაფერი უცხოელი სტუდენტების სამშობლოსგან მოშორებულ ყოფას ახალ შუქ-ჩრდილებს მატებს.
სამედიცინო პროგრამის განვითარების კვალდაკვალ უდავოდ დადგება უცხოელ სტუდენტთა სოციალურ-კულტურულ გარემოსთან შეგუების საკითხების მართვის აუცილებლობა, რაც გამოიწვევს ამ მიმართულებით გარკვეული კვლევების ჩატარების საჭიროებას.
კვლევითი აქტივობა, სავარაუდოდ, რამდენიმე მიმართულებით უნდა დაიგეგმოს:

- აკადემიური გარემოს კვლევა (სწავლის პროცესთან დაკავშირებული გამოწვევები, ამ მხრივ არსებული მოლოდინებისა და რეალობის შედარებითი კვლევა, სტუდენტთა აკადემიური საჭიროებების დადგენა, სასწავლო საკითხებისა და უნარ-ჩვევების განვითარების მეთოდოლოგიური პრობლემები და მათი შეცვლის გზები და ა.შ.);
- სოციალურ-კულტურული გარემოს ზემოქმედების კვლევა (სოციალურ ადაპტაციასთან დაკავშირებული გამოწვევები, უცხო კულტურასთან შეხვედრის შესაძლო პრობლემების ანალიზი და გადაჭრის გზები, უცხო გარემოსთან ადაპტაცია და ა.შ.);
- გარემოს მტრული ფაქტორების შეფასება (ჰომოფობიის საკითხები, უცხო ტრადიციებისადმი დამოკიდებულება / შეგუება და ა.შ.);
- საუნივერსიტეტო ცხოვრებაში სოციო-კულტურული ინტეგრაცია (დამოკიდებულებების და კავშირების შესწავლა ქართველ და უცხოელ სტუდენტებს შორის, ერთობლივი ღონისძიებების შესაძლებლობების კვლევა და განხორციელება, ინტერნაციონალიზაციის გამოწვევები და ა.შ.).

ვფიქრობთ, აღნიშნული კვლევები, უცხოელი სტუდენტების მზარდი რაოდენობის გათვალისწინებით, უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება საუნივერსიტეტო ცხოვრების შემდგომი ინტერნაცონალიზაციის პროცესების საერთაშორისო დონეზე წარმართვისათვის, ხოლო მისი შედეგები უდავოდ შეუწყობს ხელს სასწავლო პროცესის შემდგომ ოპტიმიზაციას და სტუდენტური ცხოვრების მაღალ დონეზე წარმართვას.

**საკვანძო სიტყვები:** სამედიცინო განათლება, ბოლონიის პროცესი, აკადემიური გარემო, ინტერნაციონალიზაცია.

## Foreign Students' Engagement of in the University Space: assessment and challenges

**Zaza Berishvili**
Professor, Head of the Grigol Robakidze Universty's English-language MD educational program
E-mail: zaza.berishvili@gruni.edu.ge

**Nino Gordeladze**
Deputy Dean of the Grigol Robakidze Universty's School of Medicine, ECTS coordinator
E-mail: nino.gordeladze@gruni.edu.ge

**Abstract**
In May 2005, Georgia joined the Bologna Process. Includng of the country's Higher Education institutions into the Magna Charta Universitatum and the International Recognition of the Georgian Higher Education Diploma sharply increased interest in education in our country, and Medical Educational institutions became the leaders of this activity.
The English-language program of medicine of Grigol Robakidze University is just three-years-old, but this short period was quite enough to reveal all the main features of working with foreign students. Unfortunately, implementation of the program soon coincided with the Corona epidemic and the academic process was somewhat critical, but all its peculiarities and social challenges were clearly revealed.
The majority of foreign students come to our university through mobility, which brings with it a number of challenges. To the difficulties that appear when porting somewhat different curricula of different medical schools to our standard, the previous, different traditions of university life are added, and all this adds new light and shadows to the foreign students' stay away from their homeland.
In the wake of the development of the medical program, there will undoubtedly be a need to manage the issues of adaptation of foreign students to the socio-cultural environment, which will lead to the need to conduct certain studies in this direction. Research activity should probably be planned in several directions:

- Study of the academic environment (challenges related to the learning process, comparative research of existing expectations and reality in this regard, determination of students' academic needs, methodological problems of learning issues and skills development and ways to change them, etc.);
- Research on the impact of the socio-cultural environment (challenges related to social adaptation, analysis of possible problems of encountering a foreign culture and ways to solve them, adaptation to a foreign environment, etc.);
- assessment of hostile factors of the environment (issues of homophobia, attitude towards foreign traditions / adaptation, etc.);
- Socio-cultural integration in university life (study of attitudes and connections between Georgian and foreign students, research and implementation of opportunities for joint events, challenges of internationalization, etc.).

We think that these studies, taking into account the growing number of foreign students, will be extremely important for the further internationalization of university life at the international level, and its results will undoubtedly contribute to the further optimization of the educational process and leading student life at a high level.

**Search words:** Medical education, Bologna process, Academic environment, Internationalization.

## OSCE გრუნის მედიცინის სკოლაში: გუშინ, დღეს, ხვალ

**ნინო წილოსანი**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, პროფესორი
სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
ელ-ფოსტა: n.tsilosani@gruni.edu.ge

**ნინო გორდელაძე**
მედიცინის სკოლის დეკანის მოადგილე, ECTS-ს კოორდინატორი
ელ-ფოსტა: nino.gordeladze@gruni.edu.ge

**ზაზა ბერიშვილი**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, პროფესორი
მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
ელ-ფოსტა: zaza.berishvili@gruni.edu.ge

**აბსტრაქტი**
OSCE, როგორც კლინიკური უნარებისა და აზროვნების შეფასების ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული და ეფექტური მეთოდი, საფუძვლიანადაა დამკვიდრებული გრუნის მედიცინის სკოლის პრაქტიკაში. სტომატოლოგიის პროგრამაში ობიექტურად სტანდარტიზებული კლინიკური გამოცდა 2017 წლიდან დაინერგა, ხოლო მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამის კლინკური დისციპლინების სილაბუსებში ცოდის შეფასების ეს მეთოდი პრგრამის აკრედიტაციისთანავე მოიაზრება.
როგორც ცნობილია, OSCE, როგორც კლინიკური უნარების შეფასების შედარებით ახალი მეთოდი, ეტაპობრივ განვითარებას განიცდის და მუდმივად იხვეწება. შესაბამისად, ჩვენი უნივერსიტეტის პრაქტიკაში დანერგილი მეთოდოლოგიაც არ დგას ერთ ადგილას და მის გამოყენებაში რამდენიმე ეტაპი შეგვიძლია განვასხვავოთ.
პირველი ეტაპი - უშუალოდ სტომატოლოგიისა თუ მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამის შექმნის პროცესში ჩამოყალიბებული წესები და მიდგომები, რომლებიც დარგის არსებულ მიღწევებსა და საერთაშორისო გამოცდილებას ეყრდნობოდა. შედეგები დადებითად იქნა შეფასებული საავრედიტაციო კომისიის მიერ და პროგრამის წარმატებული დაწყების საფუძველიც გახდა.
მეორე ეტაპი - სწავლა-სწავლების პროცესში გამოვლენილი გამოწვევებისა თუ საჭიროებების შესაბამისად და კომპეტენტური ორგანოების მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე OSCE-ს სისტემაში გარკვეული კორექტივები იქნა შეტანილი - შემუშავდა ცვლილებები რიგი სილაბუსების შეფასებით ნაწილში, პროგრამას დაემატა შემაჯამებელი OSCE-ს ეტაპი. აღნიშნული ცვლილებები უკვე დანერგილია და სასწავლო პროგრამის მიმდინარე წლის შემოდგომის სემესტრში უკვე ორჯერ იქნა გამოყენებული.
მასამე ეტაპი (პერსპექტივა) - სამედიცინო განათლების ევროპული სისტემა, რომლის პრინციპებსა და მეთოდოლოგიას დიდწილად ეფუძნება გრუნის მედიცინის სკოლის პროგრამები, მუდმივ განვითარებასა და მოდერნიზაციას განიცდის. ამ მიმართულებით არც OSCE-ის სისტემაა

გამონაკლისი. საკითხის მომავალი ცვლილებების დაგეგმვის გზაზე უმნიშვნელოვანეს აქტივობად საყოველთაო, ეროვნული OSCE-ს შემუშავების პროცესში ჩართვა და აქტიური მონაწილეობა უნდა ჩაითვალოს.

# OSCE at GRUNI Medical School: Past, Present, Future

**Nino Tsilosani**
Professor, Head of the Grigol Robakidze Universty's Stomatology Education Program
E-mail: n.tsilosani@gruni.edu.ge

**Zaza Berishvili**
Professor, Head of the Grigol Robakidze Universty's English-language MD educational program
E-mail: zaza.berishvili@gruni.edu.ge

**Nino Gordeladze**
Deputy Dean of the Grigol Robakidze Universty's School of Medicine, ECTS coordinator
E-mail: nino.gordeladze@gruni.edu.ge

OSCE, one of the most progressive and effective methods of assessment of clinical skills and thinking, is thoroughly established in the practice of GRUNI School of Medicine. It has been ncluded in the dentistry program since 2017, and this method of assessment of sin will be included in the syllabi of the clinical disciplines of the English-language program of medicine immediately after the accreditation of the program.
OSCE, as a relatively new method of assessment of clinical skills, undergoes gradual development and is constantly improved. Therefore, the methodology implemented in the practice of our university does not stand in one place and we can distinguish several stages in its application.
The first stage - the rules and approaches formed directly in the process of creating an English-language program of dentistry or medicine, which were based on the existing achievements of the field and international experience. The results were positively evaluated by the accreditation commission and became the basis for the successful start of the program.
The second stage - in accordance with the challenges or needs identified in the teaching-learning process and on the basis of the recommendations obtained as a result of the monitoring carried out by the competent bodies, some corrections were made in the OSCE system - changes were made in the evaluation part of a number of syllabuses, a summary OSCE stage was added to the program. The mentioned changes have already been implemented and have been used twice in the fall semester of the current academic year.
Third stage (perspective) - the European system of medical education, the principles and methodology of which are largely based on the programs of the Grune School of Medicine, is undergoing constant development and modernization. In this direction, the OSCE system is no exception. In the way of planning the future changes of the issue, the inclusion and active participation in the development process of universal, national OSCE should be considered as the most important activity.

# Georgian Health Tourism of the Rehabilitation in Pediatric

**Liana Siradze MD. PhD.**
Grigol Robakidze University, Professor
E-mail: liana.siradze@gruni.edu.ge

The Tourism health and medical is a rapidly growth parts of business industry in Georgia.
Georgian resorts have multi recreational factors such as different mountain climates, which are widely used in rehabilitation of bronchiolitis, wheezing of asthma, immunocompromise condition in children. Today are recommended for rehabilitation of post covid 19 period.
The desert resorts of Georgia are used to improve recovery process in urinary system diseases in pediatric practices.
Black see's subtropic and tropic resort are used for fully rehabilitation after cute carditis period.
Meanwhile the city resort: Balneology center is a combination of microclimate and mineral water, that are indicate to use in rehabilitation muscular skeleton and neurological diseases.
The health tourism used other valuable health factor such as different type of mineral thermal or drink waters. Scientific studies show the recovery improvement affects in patients with arthritis, neuritis, skin diseases in convalescents period.
Currently are used cave therapy with fresh ear for improvement of asthma and bronchiolitis.
Short description of long list of health factors that scientifical are proved and used in health tourism are powerful tools in pediatric rehabilitation.

**Key words:** Tourism, Health, Rehabilitation.

**References:**

1. Georgian resort map. Scientific researcher institute of kurortology and physiotherapy of Georgia.
2. Georgian kurortograpy and health resort therapy . I Tarxan Mouraci, M. Tabidze; N. Qutateladze 2011

# გარემოს ბიომედიცინა და პათოგენური ორგანიზმების ვიბრაციული თვისებები


**პაატა კერვალიშვილი**
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის პროფესორი
ელ-ფოსტა: kervalpt@yahoo.com



**აბსტრაქტი**

პათოგენური ინფექციებით გამოწვეული დაავადებები გარემოს ბიომედიცინის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა და ამიტომაც პათოგენური ბიონანო ნაწილაკების დიაგნოსტიკისა და მათი გაუვნებელყოფის მეთოდების სწრაფი განვითარება გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

ინტერდისციპლინარული თანამშრომლობა (ბიომედიცინა და ბიოფიზიკა, ფიზიკური კვლევა, საინფორმაციო ტექნოლოგიები და სისტემები) არის მკვლევარების შესაძლებლობების გაძლიერების ამძრავი ახალი ბიოფიზიკური და ბიოსამედიცინო მეთოდებისა და ინსტრუმენტების შემუშავებაში. კვლევები, რომლებიც ეფუძნება ახალ მიღწევებს ოპტიკურ სპექტრომეტრიაში, ლაზერულ და მოლეკულურ ფიზიკაში, ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და სისტემებში, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ნანომასშტაბის პათოგენური, ვირუსული ნაწილაკების თვისებების შესასწავლად და ასევე მათი უნიკალური ვიბრაციული/რხევითი თვისებების შესაფასებლად. ისინი საშუალებას იძლევიან განისაზღვროს პათოგენური ორგანიზმების, განსაკუთრებით ვირუსების მახასიათებელი „თითის ანაბეჭდები“.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ვირუსების კვლევების თანამედროვე ნანო ბიოსპექტროსკოპიული მეთოდები და ინსტრუმენტები, რომლებიც ასევე მოიცავემ თეორიული და კომიუტერული მოდელირების უკანასკნელ მიღწევებს. ასეთი კომპლექსური მიდგომა უზრუნველყოფს შესაბამისი ინფექციური დაავადების დიაგნოსტირების გზებისა და მათი მექანიზმების უკეთ გააზრებას, ასევე კლინიკური კვლევის ახალი მიმართულებების განვითარებას ახალი თერაპიული მეთოდების დანერგვისა და დაავადებების ეფექტური მართვისთვის.



**საკვანძო სიტყვები:** გარემოს ბიომედიცინა, პათოგენური ორგანიზმები, ვიბრაციული სპექტროსკოპია, კომპიუტერული მოდელირება, სხივური რეზონანსული თერაპია.


**გამოყენებული ლიტერატურა:**


- Kervalishvili P., Gotsiridze I., Oscillation and optical properties of viruses and other pathogenic microorganisms, NATO Science series Physics and Biophysics, Springer, 2016, pp. 187-194.
- Kervalishvili, P.J., Bzhalava, T.N. Investigations of Spectroscopic Characteristics of Virus-Like Nano-bioparticles. Amer. Jour. Cond. Matt. Phys. vol. 6(1) 2016 pp.7-16.
- Paata J. Kervalishvili and Tamara M. Berberashvili. Quantum Effects Based Materials for Nanosensory Systems. Black Sea Energy Resource Development and Hydrogen Energy Problems. NATO Science for Peace and Security Series-C; Environmental Security. Springer. 2013, p.359-372.
- Mehran Mostafavi, Abderrahmane Tadjeddine, Christophe Humbert, Paata Kervalishvili, Tamar Bzhalava, Vakhtang Kvintradze, Tamar Berberashvili, Optical Spectroscopy of Nanobioobjects for Sensory Applications, "2015 NanoCon (NanoTech) ISTC- Korea Conference", Seoul 2-6 November, 2015.

- Kervalishvili P.J., Optical Spectroscopy Study of Oscillation of Pathogenic Bionanoobjects. (keynote lecture), NANOTEK – 2017 March 11th-13th, 2017, Hamburg.
- Kervalishvili P., Computer simulation study of bionanoparticles. 3rd International Computational Science and Engineering Conference, 21-22 October 2019. Doha, Qatar.
- P.J. Kervalishvili. Vibration and optical spectroscopy of viruses and other pathogenic biostructures, Bulletin of Russian Academy of Natural Sciences, N 4, 2020 p. 88-99.
- Paata Kervalishvili, "A Novel Approach to Methods and Tools of Optical Spectroscopy of Viruses", SIPS 2018 - Sustainable Industrial Processing Summit & Exhibition, Proceedings of Intl. Symp. on Advanced Manufacturing of Advanced Materials and Structures with Sustainable Industrial Applications 4-7 November 2018, Rio Othon Palace, Rio De Janeiro, Brazil. Pp.25-26.
- P.J. Kervalishvili, T.N. Bzhalava, Computer Simulation Study of Oscillation Mechanisms and Physical Properties of Nanosized Biostructures, Published in book: Innovative Smart Healthcare and Bio-Medical Systems, CRC Press – Taylor and Francis, New York, 2020, Chapter 6, 8 pages. DOIhttps://doi.org/10.1201/9781003044291


## Environmental Biomedicine and Vibrational Properties of Pathogenic Organisms


**Paata Kervalishvili**
Doctor of Phys.-Math Sciences, Professor
Professor at Grigol Robakidze University



**Abstract**

Diseases caused by pathogenic infections are one of the biggest problems for Environmental Biomedicine and as methods involved in diagnostics are getting faster and more efficient, methods of their therapy are still need to be stronger.

The interdisciplinary collaboration (Biomedicine and Biophysics, Physical Research, Information Technologies and Systems) is an engine of strengthen the abilities of researchers in development of new biophysical and biomedical methods and tools. Those works which are based on novel achievements in optical spectrometry, laser and molecular physics as well as information technologies and systems are critically important for study of common properties of nano-scale, pathogenic virus-like particles, and elaboration of basic concepts and new method for estimation unique vibration/oscillation properties, determine the unique "fingerprints" of pathogenic organisms, especially viruses.

The present paper discusses modern nano biospectroscopic methods and tools for virus studies, which also include the latest advances in theoretical and computer modeling. Such a complex approach provides a better understanding of the ways of diagnosing the relevant infectious disease and their mechanisms, as well as the development of new directions of clinical research for the introduction of new therapeutic methods and effective management of diseases.



**Keywords:** environmental biomedicine, pathogenic organisms, vibrational spectroscopy, computer modeling, radiation resonance therapy.


**Main References:**


- Kervalishvili P., Gotsiridze I., Oscillation and optical properties of viruses and other pathogenic microorganisms, NATO Science series Physics and Biophysics, Springer, 2016, pp. 187-194.

- Kervalishvili, P.J., Bzhalava, T.N. Investigations of Spectroscopic Characteristics of Virus-Like Nano-bioparticles. Amer. Jour. Cond. Matt. Phys. vol. 6(1) 2016 pp.7-16.
- Paata J. Kervalishvili and Tamara M. Berberashvili. Quantum Effects Based Materials for Nanosensory Systems. Black Sea Energy Resource Development and Hydrogen Energy Problems. NATO Science for Peace and Security Series-C; Environmental Security. Springer. 2013, p.359-372.
- Mehran Mostafavi, Abderrahmane Tadjeddine, Christophe Humbert, Paata Kervalishvili, Tamar Bzhalava, Vakhtang Kvintradze, Tamar Berberashvili, Optical Spectroscopy of Nanobioobjects for Sensory Applications, "2015 NanoCon (NanoTech) ISTC- Korea Conference", Seoul 2-6 November, 2015.
- Kervalishvili P.J., Optical Spectroscopy Study of Oscillation of Pathogenic Bionanoobjects. (keynote lecture), NANOTEK – 2017 March 11th-13th, 2017, Hamburg.
- Kervalishvili P., Computer simulation study of bionanoparticles. 3rd International Computational Science and Engineering Conference, 21-22 October 2019. Doha, Qatar.
- P.J. Kervalishvili. Vibration and optical spectroscopy of viruses and other pathogenic biostructures, Bulletin of Russian Academy of Natural Sciences, N 4, 2020 p. 88-99.
- Paata Kervalishvili, "A Novel Approach to Methods and Tools of Optical Spectroscopy of Viruses", SIPS 2018 - Sustainable Industrial Processing Summit & Exhibition, Proceedings of Intl. Symp. on Advanced Manufacturing of Advanced Materials and Structures with Sustainable Industrial Applications 4-7 November 2018, Rio Othon Palace, Rio De Janeiro, Brazil. Pp.25-26.
- P.J. Kervalishvili, T.N. Bzhalava, Computer Simulation Study of Oscillation Mechanisms and Physical Properties of Nanosized Biostructures, Published in book: Innovative Smart Healthcare and Bio-Medical Systems, CRC Press – Taylor and Francis, New York, 2020, Chapter 6, 8 pages. DOIhttps://doi.org/10.1201/9781003044291

# საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალის ცოდნისა და კვალიფიკაციის შეფასება, როგორც სამედიცინო მომსახურების ხარისხის ძირითადი კრიტერიუმი

**ანა თეგეთაშვილი**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
მედიცინის სკოლა, დოქტორანტი
Email: a.tegetashvili@gruni.edu.ge

**ილონა ბიტაროვა**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
მედიცინის სკოლა, მოწვეული პერსონალი
Email: ilona.bitarova@gruni.edu.ge

**აბსტრაქტი**

მედიცინა მეცნიერების ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი სფეროა და მოითხოვს განათლების უწყვეტ თვითამაღლებას. ახალი სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში რეალურ ფასეულობას წარმოადგენს ჯანდაცვის სფეროში დასაქმებული ის პერსონალი, რომელიც ახალი ტექნოლოგიებისა და ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით შეუძლია განავითაროს პროფესიული კომპეტენცია. ამისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ უნივერსიტეტში სწავლის დროს მიღებული სათანადო პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები. თანამედროვე მედიცინის სწრაფი ზრდისა და შესაბამისად სამედიცინო საქმიანობის სათანადო დონეზე წარმართვისათვის საჭიროა პროფესიული დონის ამაღლება და მუდმივი თვითგანვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში, უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამებში მონაწილეობა .

კვალიფიკაციის უწყვეტი ამაღლება ხელს უწყობს სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, ამგვარად იგი განიხილება როგორც უწყვეტი პროცესი, მისი მიზანია თანამედროვე მედიცინის მიღწევებთან და ტექნოლოგიებთან დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესაბამისობის უზრუნველყოფა.

ამასთან, საქართველოში არ არსებობს რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ როგორ უნდა მოხდეს სამედიცინო პერსონალის განათლებისა და კვალიფიკაციის გადამოწმება.
ზემოაღნიშნული პრობლემის სიმწვავის გათვალისწინებით სპეციალური კითხვარის გამოყენებით ჩატარდა საავადმყოფო დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის გამოკითხვა, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღო 240-მა ექიმმა და ექთანმა.
გამოკითხულთა ექიმების უმრავლესობა თვლის, რომ უწყვეტი პროფესიული განათლების სისტემა არ უნდა იყოს დამოკიდებელი ექიმის კეთილ ნებაზე და ამ სისტემაში აუცილებლად უნდა ერეოდეს სახელმწიფო.

გამოკითხული ექიმების უმრავლესობას მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო სერთიფიკატები უნდა იყოს ვადიანი, იმ შემთხვევაში თუ უწყვეტი პროფესიული განათლება არ იქნება სავალდებულო, რაც ვთვლი რომ დღეს არსებულ სიტუაციას დადებითად წაადგება.

მოხსენებაში იქნება წარმოდგენილი ჩატარებული კვლევის შედეგები, დასკვნები და წინადადებები, მიმაღტული არსებული სიტუაციის ძირეულ გარდაქმნაზე.

# The Quality of Medical Services as a Basic Criterion for the Assessment of The Knowledge and Qualifications of Hospital Medical Staff

**Anna Tegetashvili**
PhD student at the Grigol Robakidze University,
School of medicine
Email: a.tegetashvili@gruni.edu.ge

**Ilona Bitarova**
Guest teacher at the Grigol Robakidze University
School of medicine
Email: ilona.bitarova@gruni.edu.ge

**Abstract**
Medicine is one of the fastest developing fields in Science, and thus requires life-long continuous professional development by medical professionals. In the new socio- economic climate, the real value lies in the staff who are employed within the healthcare sector and who develop professional competencies along with new technologies and modern market requirements. It is therefore simply not enough to just have the skills and professional knowledge acquired during university studies. Due to the rapid growth of modern medicine and, accordingly, in order to conduct medical activities at an appropriate level, it is necessary to improve one's professional level, to constantly self-develop throughout life and to participate in continuous medical education programs.

Continuously improving one's abilities, skills and knowledgebase contributes to the betterment of the quality of medical services, and is thus considered a continuous process. Moreover, the purpose thereof is to ensure that the application of theory and practical skills by the practitioner is in line with the advancements and technologies of modern medicine.

However, there are no regulations in Georgia that determine how to verify the education level and/or qualifications of medical personnel.

Taking into account the severity of the above-mentioned problem, a survey was conducted of the staff working in hospital facilities using a special questionnaire in which 240 doctors and nurses participated. The majority of the doctors interviewed believes that the continuous professional education system should not be dependent on the good will of the doctor and that the state should intervene in the system and ensure the enforcement thereof.

The majority of the doctors interviewed further believe that state certificates should be temporary if continuous professional education is not mandatory, which I believe will have a positive effect on the current situation.

This report will present the results of the research that was conducted, as well as the conclusions and proposals thereof, which will lead to a fundamental transformation of the current situation.

# საექიმო შეცდომა. ეთიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტები

**ეკა ზოიძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლა, დოქტორანტი
ელ-ფოსტა: e.zoidze@gmcmedical.ge

**ნაზი მგელაძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
სამართლის სკოლა, დოქტორანტი
ელ-ფოსტა: nazimgeladze@gmail.com

**აბსტრაქტი**

ჯანმრთელობის დაცვის უფლება ადამიანის ფუნდამენტალური უფლებაა, რომელიც გარანტირებულია საერთაშორისო კონვენციებითა და ქვეყნის კანონმდებლობით. ამ უფლების რეალიზაციაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობის სუბიექტს - ექიმს. საექიმო საქმიანობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროფესიაა, რომელიც ექიმს აძლევს შესაძლებლობას იზრუნოს სხვა ადამიანის ჯანმრთელობაზე და სიცოცხლეზე. ექიმის პროფესიით მოქმედების არეალი ფართოა. იგი ყველგან თანაბრად მოქმედებს, არ აქვს საზღვრები და არ გააჩნია შეზღუდვები, თუმცა ეს საქმიანობა განსაკუთრებულ პასუხიმგებლობასაც მოითხოვს.

ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა პროფესიას, საექიმო საქმიანობასაც თან სდევს პროფესიული შეცდომები, შეცდომისაგან დაზღვეული არც ერთი პროფესიის წარმომადგენელი არ არის, მაგრამ სამედიცინო პერსონალისთვის შეცდომის საზღაური ხშირ შემთხვევაში იმაზე დიდი და ძვირფასია, ვიდრე სხვა პროფესიის წარმომადგენლისთვის.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებების დაცვა ბევრად არის დამოკიდებული სამედიცინო პერსონალის საქმიანობის ზნეობრივ საფუძველზე. პაციენტს, საზოგადოებას და სამედიცინო პერსონალს შორის ურთიერთობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის ეთიკური ნორმები, რომელთა გააზრებაშიც ტრადიციულად დიდი როლი ენიჭება ექიმის ფიცს და საერთაშორისო, თუ ეროვნულ საექიმო კოდექსებს.

სამედიცინო საქმიანობის მნიშვნელობისა და მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის დასტურია ჰიპოკრატეს ფიცი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იდებოდა სამედიცინო პერსონალის მიერ როგორც გარანტი იმისა, რომ ექიმი დაიცავდა პაციენტის უფლებებს, 1948 წელს ჟენევაში მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის გენერალურმა ასამბლეამ, შეიმუშავა ექიმის ახალი ფიცი, რომელიც ბევრი ქვეყნის შიდა სამართლებრივ აქტებში გადმოტანის საწინდარი გახდა. აღსანიშნავია, რომ ექიმის მიერ ფიცის დადება საქართველოს კანონმდებლობითაც არის განმტკიცებული.

საქართველოს კანონმდებლობა პროფესიულ შეცდომას პირდაპირ არ განმარტავს. პროფესიული შეცდომა ,,საექიმო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის 97-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება გავიგოთ როგორც, ქმედება რომლის შედეგადაც პაციენტს მიადგა ქონებრივი ან არაქონებრივი ზიანი. აღნიშნული მუხლი ექიმს უფლებას აძლევს დააზღვიოს პროფესიული შეცდომა, თუმცა ჩვენს პრაქტიკაში ნაკლებად აქტუალურია. აქედან გამომდინარე, მას უნდა ჰქონდეს ვალდებულებითი ხასიათი, რომელიც გავლენას მოახდენს როგორც სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ასევე ექიმიის მორალურ თუ მატერიალურ პასუხიმგებლობაზე.

მოქმედი კანონმდებლობა განსაზღვრავს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის პროფესიული პასუხისმგებლობას, რომელიც არის პაციენტის გამოკვლევასთან, მოვლასთან და მკურნალობასთან დაკავშირებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების დარღვევისათვის გათვალისწინებული პასუხისგებლობა. მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს პროფესიული პასუხისმგებლობის შემდეგ სახეებს: - წერილობითი გაფრთხილება; - სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება; - სახელმწიფო სერტიფიკატის გაუქმება; - ნარკოტიკული, ფსიქოტროპული და ალკოჰოლის შემცველი მედი-კამენტების გამოწერის შეზღუდვა; - საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროფესიული პასუხისმგებლობის სხვა ზომები. გარდა ზემოაღნიშნული პასუხიმგებლობის ზომებისა, საქართველოს კანონმდებლობა უკანონო საექიმო ან ფარმაცევტული საქმიანობის განხორციელებისათვის ადგენს სისხლის სამართლის პასუხიმგებლობის საკითხსაც.

,,ახალგაზრდა ადვოკატების" მონიტორინგის შედეგების მიხედვით: „მხოლოდ 2022 წელს, ექიმთა პროფესიული განვითარების საბჭომ, 121 ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა. მათგან, მძიმე გადაცდომების გამო, სერტიფიკატის მოქმედება უვადოდ შეუჩერდა 4 ექიმს. სხვადასხვა ვადით, სერტიფიკატის შეჩერება და დამატებითი ტრენინგის გავლა დაეკისრა 27 ექიმს, ხოლო წერილობითი გაფრთხილება მიეცა 62 ექიმს. ბოლო სამ წელიწადში, 543 ექიმის პასუხისმგებლობა დადგა, სამედიცინო დაწესებულებებმა კი 3,5 მილიონი ლარის ჯარიმა გადაიხადეს".

**საძიებო სიტყვები:** ექიმი, საექიმო შეცდომა, ექიმის ფიცი. პასუხისმგებლობა.

# ათეროსკლეროზული სისხლძარღვოვანი დაავადება: სქესის გავლენა დაავადების ზოგიერთ ასპექტზე

**თამარ ვახტანგაძე**

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მედიცინის სკოლა

Email: tamarvakh@yahoo.com

**აბსტრაქტი**

ათეროსკლეროზით გამოწვეული გულ-სისხლძარღვთა დაავადებები ზრდასრული მოსახლეობის სიკვდილობის მთავარი მიზეზია. როგორც ქალებს, ასევე მამაკაცებს აქვთ გულ-სისხლძარღვთა ავადობისა და სიკვდილობის მაღალი მაჩვენებლები, თუმცა განსხვავებები სქესთან დაკავშირებული სიკვდილიანობასა და ავადობის მაჩვენებლებში შეინიშნება მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში.

არაგადამდები დაავადებების ნუსხაში განსაკუთრებით ხშირია გულის იშემიური დაავადება (IHD) და გულის უკმარისობა (HF), რისი მთავარი ეტიოლოგიური ფაქტორი კორონარული არტერიების ათეროსკლეროზია. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტრატეგიისა და ძალისხმევის მთავარი მიზანია ათეროსკლეროზული მოვლენებისა და სისტემური ჰიპერტენზიის ( როგორც ათეროსკლეროზის მთავარი მსხვილი რისკ-ფაქტორის) გართულებების თავიდან აცილება, პრევენცია ლიპიდურ და სხვა მეტაბოლურ ცვლილებებზე ზემოქმედებასთან ერთად.

ათეროსკლეროზული პროცესების განვითარება და მიმდინარეობა ხასიათდება ხანგრძლივი ლატენტური პერიოდით, კლინიკური გამოვლინება ხშირად მწვავე სისხლძარღვოვანი კატასტროფაა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის უუნარობა და სიკვდილი. სქესთან დაკავშირებული განსხვავებები შეინიშნება კლინიკურ მიმდინარეობასა და გამოვლინებებში, რაც ბადებს ეჭვს, რომ სექსი გავლენას ახდენს ათეროსკლეროზულ პროცესებზე.

ათეროსკლეროზული სისხლძარღვთა დაავადების კლინიკური გამოვლინება - მიოკარდიუმის ინფარქტი და ცერებროვასკულური მოვლენა (ძირითადად იშემიური ინსულტი) ორივე სქესში თითქმის ერთნაირადაა წარმოდგენილი, მაგრამ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ვლინდება სქესთსანა ასოცირეებული გარკვეული განსხვავებები როგორც კლინიკურ სურათში, ისე პათოფიზიოლოგიისა და პროგნოზის თვალსაზრისით

ორსულობა ქალის ორგანიზმისთვის სტრესია, რაც მეტაბოლური პროცესების მნიშვნელოვან გააქტიურებას იწვევს. ორსულობის ჰიპერტენზიასა და მოგვიანებით ასაკში განვითარებულ სისხლძაღვოვან ეპიზოდებს შორის მკაფიო ასოციაცია გამოვლინდა, ამდენად პასუხი ორსულობაზე მიჩნეულია გამოკვეთილი პრედიქტიული ღირებულების მქონე ფაქტორად.

წინამდებარე მიმოხილვა განიხილავს სქესის და ასაკის გავლენას ათეროსკლეროზულ პროცესებზე, დაავადების განვითარებასა და კლინიკურ გამოვლინებებზე. ათეროსკლეროზის განვითარების მეტაბოლური საფუძველი, როგორც ჩანს, დაკავშირებულია სქესობრივ ჰორმონებთან. ათეროსკლეროზული პროცესის განვითარებაში სქესთან დაკავშირებული განსხვავებები ადასტურებს ათეროსკლეროზის სქესთან ასოცირებული რისკ-ფაქტორების არსებობის შესახებ შეხედულებას და ბადებს შესაბამისის პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის აუცილებლობას.

# Atherosclerotic Vascular Disease: influence of sex on some aspects of the disease

**Tamar Vakhtangadze MD, PhD. FESC**
Corresponding Author Tamar Vakhtangadze
Email: tamarvakh@yahoo.com

Abstract

Cardiovascular diseases caused by atherosclerosis are the major cause of death in the adult population. Both women and men have high rates of cardiovascular morbidity and mortality, although differences in sex-related mortality and morbidity rates are observed in different age groups of the population.

Ischemic heart disease (IHD), and heart failure (HF) due to coronary atherosclerosis, are particularly common in the list of non-communicable diseases affecting the adult population. The main goal of public health strategies and efforts is to prevent atherosclerotic events and complications of systemic hypertension (a major risk factor of atherosclerosis) along with the impact on lipid and other metabolic changes.

The development and course of atherosclerotic processes present with lipid and other metabolic changes and are characterized by a long latent period, the clinical manifestation is often an acute vascular catastrophe, which can lead to human disability and death. Sex-related differences are observed in the clinical course and manifestations, which raises the suspicion that sex has an influence on processes related to atherosclerotic.

The clinical manifestation of atherosclerotic vascular disease – myocardial infarction and cerebrovascular event (mainly ischemic stroke) is almost similar in both sexes, but in different age groups, there are certain sex-related differences in the clinical presentations, pathophysiology, and prognosis.

Pregnancy is a stress for a woman's body, which causes significant activation of metabolic processes. A clear association between gestational hypertension and later vascular events has been demonstrated, thus the response to pregnancy is considered to be a factor of marked predictive value.

The review evaluates the influence of sex and age on the development of atherosclerotic processes, disease progression, and clinical manifestations. The metabolic basis of the development of atherosclerosis appears to be related to sex hormones. Sex-related differences in the development of the atherosclerotic process confirm the view of the influence of sex-specific factors on later vascular events and raise the need to plan appropriate preventive measures.

# Somatoform and other Neurological Disorders with Clinical-Psychological Appearance in Children and Adolescents

**Mariam Khundadze**
Grigol Robakidze University
School of medicine, Doctor of psychology, Professor
Email: mariakhundadze09@gmail.com

**Abstract** - Somatoform disorders in children and adolescents are vastly expanded problem in neuropsychological field. They vary in nature and frequency. They should be classified as medically unexplained symptoms, and has psychological causes. The study showed the individuals that are mentally unstable often develop somatoform disorders. Disease development such as somatic disorders may cause psychological stressors. Contemporary, hectic lifestyle, rapid technological development, internet dependence, social interactions, general tense environment, family conflicts, cultural and economic factors are major stressors causing somatoform disorders in children and adolescents.

**Aim of the study:** The study aimed to asses somatoform and other neurological disorders in children and adolescents, in order to recognize the medically unexplained symptoms and find adequate treatment approach.

**Material and Methods:** The study investigated 200 patients aged from 2 to 18 with following symptoms: coercive disorders-39, tics-35, phobias-24, speech impairment -34, night enuresis -20, daily encopresis-11, confused day and night regime-36, non-epileptic seizures-23, internet gambling-3-5 hours a day -20, more than 5 hours a day with patients respectively. The control group presented with 30 healthy children and adolescents aged from 2-18 years. The patients were examined in Givi Zhvania Academic clinic of Pediatry at the department of neurology and psychology Tbilisi State Medical University and as well at the neuropsychology Institute. Neurologists and psychologists examined all patients participating in a study. In certain cases pediatricians, oculists, cardiologists, endocrinologists, psychiatrists, and genetics also examined these patients.

**Conclusions:** Somatoform disorders in children and adolescents are psychological problems. In the development of these disorders plays role multiple factors: genetics, epigenetics, and pathology during perinatal period, children's constitutional individuality and social environment.

Children and adolescents express differences in somatoform disorders. The way of expressing somatoform disorders depends on patient's age, sex, and their individual pshycho- emotional sphere. The findings showed with the age declines phobias, night enuresis, and daily encopresis. The gender differences in somatoform disorders are dissociative coercive disorders, speech impairment, and non-epileptic seizures. The first two are common for boys, whereas non-epileptic seizures are common for girls. Pathological Internet gambling caused disturbance of day and night regime for both girls and boys similarly, which are high risk factors for developing neurosis. There are distinguished multiple symptom somatoform disorders and mono symptom concerns are minor and stable, whereas multiple symptom somatoform disorders are unstable and acute. In children and adolescents somatoform and other neurotic disorders follow with mild impairment. The symptoms mainly are tic-hyperkinesia, speech impairment, non-epileptic seizures, disturbance of day and night regime.

# წყალტუბოს წყალში არსებული რადონის ჰორმეზისული გავლენა ეპილეფსიურ ვირთაგვებზე და სამედიცინო ტურიზმის განვითარებაზე

**მარინა ნიკოლაიშვილი**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრისა და რადიობიოლოგიის
ლაბორატორიის აფილირებული პროფესორი, ევროპის სპა ექსპერტი
ელ-ფოსტა: radio_mari@yahoo.com

**აბსტრაქტი**
ოქსიდაციური სტრესის პათოგენური როლი ეპილეფსიაში, დაკავშირებულია ჰემატოენცეფალიური ბარიერის მთლიანობის დარღვევასთან, მემბრანასთან დაკავშირებული ფერმენტების და რეცეპტორების დისფუნქციასთან, მიტოქონდრიული ცილების დაზიანებასთან, რასაც მივყავართ იონური გამტარიანობის დარღვევასთან. კვლევის მიზანია კრუშინსკი-მოლოდკინას ხაზის (კმ) ვირთაგვებში რადონის თერაპიის ჰორმეზისული ეფექტების შესწავლა ეპილეფსიურ კრუნჩხვებზე

**საკვანძო სიტყვები:** ვირთაგვები, რადონი, ეპილეფსია

**მეთოდი:** რადონის ინჰალაციის პროცედურა: წყალტუბოს მინერალური წყლის სპა საუნაში (ექსპერიმენტული ჯგუფი) მოვათავსეთ 10 ექსპერიმენტული და 10 საკონტროლო ვირთაგვები (კრუშინსკი-მოლოდკინას. კმ ვირთაგვა). მინერალური წყლის ტემპერატურა იყო $36^0$ C, ტენიანობა 90%. არცერთი ჯგუფის ვირთაგვას არ მიუღია აბაზანა, ისინი მხოლოდ ორ სხვადასხვა საუნაში იმყოფებოდნენ და ერთსა და იმავე პირობებში ცხოვრობდნენ. ინჰალაცია ხდებოდა ცხვირით, 10 წუთის განმავლობაში, დღეში ერთხელ, 10 დღის განმავლობაში. ყოველი ინჰალაციის პროცედურის შემდეგ, ვირთაგვებს ათავსებენ ვივარიუმში და აძლევენ საკვებს და წყალს.

**განსჯა:** ჩვენი კვლევის მიხედვით, რადონის ინჰალაციის გამოყენებამ ექსპერიმენტულ ცხოველებში, გენეტიკურად განსაზღვრულ ვირთაგვებში, რომლებსაც აქვთ ეპილეფსიური კრუნჩხვები, შეცვალა ეპილეფსიური კრუნჩხვების განვითარების სურათის ყველა პარამეტრი, კერძოდ, ფარული პერიოდი, პირველი და მეორე ველური სირბილის ხანგრძლივობა აუდიოგენური სიგნალის შემდეგ. რადონმა ხელი შეუწყო ეპილეფსიური კრუნჩხვით გამოწვეული ცვლილებების გარკვეულ რეგულირებას. ვირთაგვების ჯგუფში, რომლებსაც მკურნალობენ რადონის ინჰალაციებით, აღინიშნება გლუტამატისა და ასპარტატის დაქვეითება, რასაც თან ახლავს GABA და გლიცინის მატება, რაც ხელს უწყობს ოპტიმიზაციას.

**დასკვნა:** ექსპერიმენტულ ცხოველებზე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ წყალტუბოს წყლის ჩასუნთქვისას წარმოიქმნება ვითარდება ჰორმეზისული ეფექტი, რომელიც არეგულირებს თავის ტვინში ჟანგვის პროცესებში ანტიოქსიდანტების გააქტიურებას. ეს გამოიხატება არამარტო არსებული ეპილეფსიური კრუნჩხვების შემცირებით, ჰიპოთალამუსის "შეტევის ცენტრის", Na/K-ATP-აზას და სპეციფიკური გლუტამინერგული ნეირონების გააქტიურებით, არამედ მთელი ადაპტაციურ-კომპენსაციის სისტემის გააქტიურებით. წყალტუბოს წყლის მსგავსი სამეცნიერო კვლევები კიდევ უფრო გააფართოვებს საქართველოში და კერძოდ წყალტუბოში სამედიცინო ტურიზმს და მოიზიდავს ადამიანებს სხვადასხვა ქვეყნიდან, წყალტუბოს წყალი უნიკალურია თავისი მიკრო და მაკრო ელემენტებით და რადონის - 37 Bq ან 1 ნკ. ეს საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ წყალტუბოს წყალი სამეცნიერო კვლევებში.

# Hormetic effect of radon present in Tskaltubo water on seizures in epileptic rats and perspective of development of medical tourism in Tskaltubo

**Marina Nikolaishvili**
Professor of Grigol Robakidze University,
Beritashvili Experimental Biomedicine Center, Head of Radiobiology Laboratory
E-mail: radio_mari@yahoo.com

Abstract

The pathogenic role of oxidative stress in epilepsy is related to the dysfunction of the integrity of the blood-brain barrier, the dysfunction of membrane-bound enzymes and receptors, the damage of mitochondrial proteins, which leads to the violation of ion permeability. The aim of the study is to study the hormetic effects of radon therapy on epileptic seizures in Krushinsky-Molodkina line (KM) rats.

**Key words**: rats, radon, epilepsy to optimization.

**Conclusion** Studies conducted on experimental animals have shown that when

**Method:** Radon inhalation procedure: We placed 10 experimental and 10 control rats (Krushinsky-Molodkinas. KM Rat) in Tskaltubo mineral water spa sauna (experimental group). The temperature of mineral water was 360 C, humidity 90%. None of the rats in either group took a bath, they were only in two different saunas and lived under the same conditions. Inhalation was carried out through the nose for 10 minutes, once a day for 10 days. After each inhalation procedure, the rats were placed in a vivarium and provided with food and water.

**Conclusion**: according to our study, the use of radon inhalation in experimental animals, genetically determined rats with epileptic seizures, changed all parameters of the picture of the development of epileptic seizures, namely, the latent period, the duration of the first and second wild run after the audiogenic signal. Radon contributed to some regulation of the changes caused by epileptic seizures. In the group of rats treated with radon inhalation, there is a decrease in glutamate and aspartate, accompanied by an increase in GABA and glycine, which contributes inhaling water from the water tube, a hormesis effect develops, which regulates the activation of antioxidants in the oxidation processes in the brain. This is manifested not only by the reduction of existing epileptic seizures, activation of the hypothalamus, Na/K-ATP-ase and specific glutaminergic neurons, but also by the activation of the entire adaptive-compensation system. Similar scientific studies of Tskaltubo water will further expand medical tourism in Georgia and Tskaltubo in particular and attract people from different countries, Tskaltubo water is unique with its micro and macro elements and radon - 37 Bq or 1 nk This allows us to use Tskaltubo water in scientific research.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - *„საქართველოს მდგრადი განვითარება: გლობალური გამოწვევები და პერსპექტივები პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ ჭრილში“* წარმოდგენილი სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომები.

# ბიზნესისა და ტურიზმის სექცია:

## საინვესტიციო რისკების შეფასება თანამედროვე კომპანიებში

**რუსუდან ანთაძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (ბათუმი)
ბიზნესი და მართვის სკოლა, ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები)
ბაკალავრიატი, IV დონე
ელ-ფოსტა: ruska.antadze.02@mail.ru

ხელმძღვანელი: **თინათინ ჟორჟოლიანი**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: tinatin.zhorzholiani02@gruni.edu.ge

**აბსტრაქტი**

დღეს, ინვესტიციები ნებისმიერი ქვეყნისათვის უდიდეს მნიშვნელობას იძენს. საინვესტიციო საქმიანობები მოქმედებს ქვეყნის ისეთ მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, როგორებიცაა უმუშევრობა, ეკონომიკური ზრდა და განვითარება. საინვესტიციო საქმიანობების შედეგად იზრდება დასაქმება, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს ტექნოლოგიური სიახლეების დამკვიდრებას, მეტი გამოცდილების მიღების საშუალებასა და განვითარებას. სწორედ ამიტომ უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, მნიშვნელოვანია ხელსაყრელი და მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის შექმნა, რათა გაიზარდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი ქვეყანაში.

ინვესტიციების წარმატებას კი მრავალი ფაქტორი უძღვის წინ. სწორად განსაზღვრულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას, რა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუმცა უნდა აღვნიშნოთ რომ საინვესტიციო რისკების, ანუ საინვესტიციო შემოსავლების დაკარგვის რისკისა და შესაძლებლობების განსაზღვრა ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს ინვესტიციების წარმატებაში.

ყველა ინვესტიცია ატარებს გარკვეული სახის რისკს. აქციები, ობლიგაციები, ურთიერთდახმარების ფონდები და საბირჟო ვაჭრობის ფონდები, მათ შეიძლება დაკარგონ ღირებულება, თუ ბაზრის პირობები გაუარესდება. დაზღვეულ ინვესტიციებსაც კი, როგორიცაა ბანკის ან საკრედიტო კავშირის მიერ გაცემული სადეპოზიტო სერტიფიკატები, გააჩნია ინფლაციის რისკი.

ნაშრომში განვიხილავთ საინვესტიციო რისკების არსს, ტიპებს, მართვის მეთოდებს, ასევე საინვესტიციო რისკების გარემოს საქართველოსა და უცხოურ ქვეყანაში, რისკების მართვის სტრატეგიებს უცხოური კომპანიის მაგალითზე.

**საძიებო სიტყვები:** ინვესტიცია, რისკი, აქციები, მაკროეკონომიკური ფაქტორები, ინფლაცია, სტრატეგია

# რეფინანსირების განაკვეთის დამოკიდებულება ლარის გაცვლით კურსსა და ინფლაციაზე

ანა სარიშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი,
შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი,
საქართველო, ბათუმი
ელ-ფოსტა: anasarishvili789@gmail.com

ხელმძღვანელი: **რამინ ცინარიძე**
ბიზნესის მართვის დოქტორი, ასოც. პროფესორი,
შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
საქართველო, ბათუმი
ელ-ფოსტა: ramin.tsinaridze@bsu.edu.ge

**აბსტრაქტი**

საქართველოს ეკონომიკა ბოლო 15 წლის განმავლობაში მოექცა სამი დიდი კრიზისის ქვეშ, რომელთაგან პირველი - კლასიკური ტიპის კრიზისი და მეორე - ატიპიური კრიზისი, ნაწილობრივ გადავლახეთ, ხოლო მესამე, რუსეთ-უკრაინის ახალდაწყებული ომის შედეგად გამოწვეული, ჯერ კიდევ განუსაზღვრელი გამოწვევების წინაშე გვაყენებს.
საქართველოსთვის ძალიან აქტუალურია კრიზისულ სიტუაციებში ქცევის სწორი პოლიტიკის შედგენა და გამოყენება, რათა გახშირებული სახიფათო მდგომარეობის პირობებში ჩვენ შევძლოთ ეკონომიკის სტაბილურობის გარკვეულწილად შენარჩუნება. აღნიშნულ პროცესში ძალიან დიდი წვლილი აქვს მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტს - რეფინანსირების განაკვეთს, რომელიც ზემოქმედებს ეკონომიკური სტაბილურობის ორ უმთავრეს ინდიკატორზე, როგორც ინფლაციის მაჩვენებელზე, ასევე ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე.
ცნობილია, რომ საქართველოს ეკონომიკისთვის ერთ-ერთი მტკივნეული პრობლემა სწორედ ინფლაციაა, რომლის მზარდი ტემპი უშლის ხელს ეკონომიკური სტაბილურობის დამყარებას ქვეყანაში. აღნიშნული პრობლემის მართვასა და აღმოფხვრაში ეროვნული ბანკის როლი მონეტარული პოლიტიკისა და მისი ინსტრუმენტების ეფექტიანად გამოყენებაში გამოიხატება.
ეკონომიკური სტაბილურობის განსაზღვრისთვის მოცემული ნაშრომის ფარგლებში გამოვიყენებთ შემდეგ მაჩვენებლებს - მთლიან შიგა პროდუქტს (მშპ), ინფლაციისა და ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მაჩვენებლებს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება სწორედ ინფლაციასა და ლარის გაცვლით კურსზე. ისევე როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისთვის ეს მონაცემები მნიშვნელოვანია მათი მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი საქმიანობებისთვის - ფულადი რესურსების აკუმულაცია და ხარჯვა, შესყიდვები, გაყიდვები, მოთხოვნის დაკმაყოფილება და ა.შ.
მოცემული კვლევა ძირითადად ეყრდნობა ინფორმაციის შეგროვებას, შესწავლასა და ანალიზს. რაოდენობრივი მონაცემების შეგროვების საფუძველზე დაიგეგმა მათემატიკური ოპერაციების ჩატარება (კორელაციური კავშირი, მარტივი რეგრესიის განტოლება). კვლევისათვის გამოყენებულია სამეცნიერო ნაშრომები, სახელმძღვანელოები, ქართული და უცხოენოვანი სტატიები, საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მაჩვენებლები.
ნაშრომის მიზანია რეფინანსირების განაკვეთის ლარის გაცვლით კურსსა და ინფლაციაზე დამოკიდებულების შესწავლა ტიპიურ და ატიპიურ კრიზისულ სიტუაციებში. მიზნის მისაღწევად კორელაციური კავშირის მეშვეობით დავადგინოთ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს

ომის, 2020 წლის COVID-პანდემიის და 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გამოწვეული კრიზისების დროს რეფინანსირების განაკვეთის ზეგავლენა ეკონომიკურ პარამეტრებზე. რეგრესიული ანალიზის შედეგად კი განვსაზღვროთ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილების სცენარების შემთხვევაში ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსისა და ინფლაციის ახალი დამოკიდებულება.
ნაშრომის შედეგების ნაწილში შემუშავებულია დასკვნები მონეტარული პოლიტიკის რეჟიმისა და ინსტრუმენტების ცვლილების, თანამედროვე კრიზისულ სიტუაციებზე მაქსიმალურად ადაპტირების შესახებ. შემუშავებულია რეკომენდაციები ინფლაციის თარგეთირების რეჟიმისა და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის გადასინჯვის კუთხით, რათა უზრუნველყოფილი იყოს საქართველოს ეკონომიკის მაქსიმალური სტაბილურობა და იმ შედეგების განეიტრალება, რაც გამოწვეულია ბოლო კრიზისის თავისებურებითა და განუსაზღვრელობით.

**საკვანძო სიტყვები:** რეფინანსირების განაკვეთი, ინფლაცია, კორელაციური კავშირი, გაცვლითი კურსი

## The impact of the monetary policy rate on the national currency's exchange rate and inflation

Ana Sarishvili
BA in Business Administration,
Batumi Shota Rustaveli State University,
Faculty of Economics and Business,
Georgia, Batumi
E-Mail: anasarishvili789@gmail.com

Scientific Supervizor: **Ramin Tsinaridze**
PhD in Business Administration, Associate Professor,
Batumi Shota Rustaveli State University,
Faculty of Economics and Business,
Georgia, Batumi
E-Mail: ramin.tsinaridze@bsu.edu.ge

### Abstract

Over the past 15 years, the economy of Georgia has come under three significant crises. We have partially overcome the first, a classical type; the second, an atypical crisis; and the third, caused by the newly started war between Russia and Ukraine, will put us in front of still undefined challenges.
Georgia must draw up and use the proper policy of behavior in a crisis to maintain the economy's stability to a certain extent considering frequent dangerous situations. The monetary policy tool – the monetary policy rate, which affects the two leading economic stability indicators, the inflation rate and the exchange rate, massively contributes to the mentioned process.
One of the troublesome problems for Georgia's economy is inflation, the increasing rate of which prevents the establishment of economic stability in the country. The effective usage of the National Bank's monetary policy and its instruments is manifested in managing and eliminating mentioned problems.
To define economic stability, we will use the following indicators within the scope of this work – Gross Domestic Product (GDP), inflation and national currency exchange rate. We need to focus on the last two

indicators for the sake of this research. For individuals and legal entities, these data are essential for their short, medium and long-term activities – accumulation and spending of monetary resources, purchases, sales, demand allocations, etc.
This research mainly relies on the gathering, studying and analysis of information. Based on the quantitative data collection, it was planned to perform mathematical operations (correlation, linear regression). In the research, we use scientific papers, textbooks, Georgian and foreign language articles, and official indicators of the National Bank of Georgia, the Ministry of Finance of Georgia and the National Statistics Office of Georgia.
The work aims to study the monetary policy's dependence on the exchange rate and inflation in typical and atypical crises. To achieve this goal, we will determine the impact of the monetary policy rate on economic parameters during the crises caused by the 2008 Russia-Georgia war, the 2020 COVID pandemic and the 2022 Russia-Ukraine war. As a result of the regression analysis, we will determine the new dependence of the national currency exchange rate and inflation in the case of scenarios of changes in the monetary policy rate.
In the work's results, conclusions have been developed about the change of monetary policy regime and tools and maximum adaptation to modern crises. Recommendations have been developed in revising the inflation targeting regime and monetary policy rate to ensure the maximum stability of the Georgian economy and to neutralize the consequences caused by the peculiarity and uncertainty of the recent crisis.

**Keywords**: Monetary policy rate, Inflation, Correlation, Exchange rate.

# ლიდერობის მიდგომები და როლი კომპანიის მართვაში

**ანა კობალაძე**
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრანტი
შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
საქართველო, ბათუმი
ელ-ფოსტა: kobaladze.ana1999@gmail.com

ხელმძღვანელი: **რამინ ცინარიძე**
ბიზნესის მართვის დოქტორი, ასოც. პროფესორი,
შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
საქართველო, ბათუმი
ელ-ფოსტა: ramin.tsinaridze@bsu.edu.ge

**აბსტრაქტი**
ლიდერობის კომპლექსურობის აღსაწერად არაერთი სამეცნიერო კვლევაა ჩატარებული. ზოგიერთ კვლევაში ლიდერობა განმარტებულია, როგორც ხასიათის თვისება, ზოგიერთში კი - ინფორმაციის დამუშავებისა და ურთიერთობების პერსპექტივიდან განიხილება. ლიდერობის დეფინიციასთან სხვადასხვა სახის მიდგომა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა: კომპანიის პორტფოლიო, მიზანი, საქმის არსი, მომსახურე პერსონალის შესაძლებლობები, არსებული მდგომარეობა და პრობლემის გადაჭრის გზები. ლიდერი არის ის, ვინც შეიმუშავებს ხედვას, რომლითაც შთააგონებს სხვებს. ლიდერი აყალიბებს კონკრეტულ ბიზნეს გეგმას,

რომელსაც მიმდევრები მხარს აუბამენ და შემდეგ ერთობლივი ძალისხმევით აღწევენ საბოლოო მიზნებს.

აღსანიშნავია, რომ ლიდერი გავლენას ახდენს ჯგუფის წევრებზე, რომელთაც საერთო მიზანი ამოძრავებთ. ლიდერის უმთავრესი მიდგომა კომუნიკაციების უნარებზე უნდა იყოს დამოკიდებული, რადგან მიმდევრებთან მან უნდა დაამყაროს მყარი კომუნიკაცია, უნდა იგრძნობოდეს ნდობა, შრომისმოყვარეობა, მეგობრობა და ერთმანეთის პატივისცემა. ასევე, ლიდერებს აკისრიათ ეთიკური პასუხისმგებლობა იზრუნონ თავიანთი მიმდევრების საჭიროებებზე. ლიდერებისათვის, ძალაუფლება წარმოადგენს საშუალებას მიზნების მისაღწევად. ლიდერთა შერჩეული მიდგომები უნდა შეესაბამებოდეს იმ გარემოს და სიტუაციას, რომელშიც ისინი ფუნქციონირებენ.

ლიდერები ყველაზე ეფექტურები მაშინ არიან, როდესაც შეუძლიათ მოარგონ თავიანთი სტილი/მიდგომა კონკრეტულ მომენტში არსებულ სიტუაციას და ეძებონ ისეთი მითითებები, როგორებიცაა: ამოცანის ტიპის განსაზღვრა, გუნდის შექმნა, ფუნქციების სწორად გადანაწილება გუნდის წევრებზე. ლიდერობის სწორი სტილი დამოკიდებულია გუნდისა და მისი წევრების ცოდნის დონეზე. სტილის თეორია თვისების თეორიისგან განსხვავებით, ლიდერის ქცევაზეა დამოკიდებული, ეს უკანასკნელი კი აქცენტს აკეთებს ლიდერის პიროვნულ მახასიათებლებზე, ხოლო უნარ-ჩვევების თეორია ლიდერის შესაძლებლობებზე კონცენტრირდება.

ლიდერები შეგვიძლია გამოვყოთ ორი ტიპის ქცევის  მიხედვით - საქმესთან დაკავშირებული ქცევა, რომელიც გულისხმობს საქმის შესრულების პრიორიტეტს და ურთიერთობებთან დაკავშირებული ქცევა, რომელიც ურთიერთობებზეა ფოკუსირებული. სიტუაციური მიდგომა ფოკუსირდება ფაქტზე, რომ ლიდერობა დირექტიული და მხარდაჭერის განზომილებებს წარმოადგენს. იმისათვის, რომ მარტივად აღიქვას არსებული სიტუაცია, ლიდერმა უნდა შეისწავლოს თავისი გუნდის წევრების შესაძლებლობები და უნარები. სიტუაციური ლიდერობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიდგომაა, იმისათვის რომ ლიდერი იყოს ეფექტური და წარმატებული, რადგან ყოველ ეტაპზე იცვლება სიტუაცია და გარემო, ამიტომ კონკრეტულ სიტუაციაში არსებული პრობლემების გაანალიზების შედეგად, ლიდერმა უნდა შეარჩიოს შესაბამისი მეთოდი და მიდგომა.

მოცემული კვლევა ძირითადად ეყრდნობა ინფორმაციის შეგროვებას, შესწავლასა და ანალიზს. კვლევისათვის გამოყენებული იქნა სამეცნიერო ნაშრომები, სახელმძღვანელოები, ქართული და უცხოენოვანი სტატიები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მაჩვენებლები, კონკრეტული კომპანიების მიდგომები ლიდერობისა და გუნდური მმართველობის შესახებ.

ნაშრომის შედეგების ნაწილში, შემუშავებულია დასკვნები ლიდერის, როგორც კომპანიის მართვისას აუცილებელი ფიგურის თანამედროვე ხედვებსა და როლზე, რადგან არ არსებობს ბიზნეს გარემო, სადაც ლიდერის როლი არ ახდენს გავლენას ფირმის საქმიანობის განვითარებასა და მომსახურე პერსონალის კარიერულ წინსვლაზე. ლიდერი უნდა ეცადოს შექმნას ისეთი სამუშაო სივრცე, რომელშიც მოტივირებული ინდივიდები შეძლებენ კარიერულად განვითარებას, ექნებათ სტიმული და მოტივაცია აკეთონ მეტი და უყვარდეთ თავიანთი საქმე.

საძიებო სიტყვები: ლიდერობა, ლიდერი, სიტუაციური მიდგომა, გუნდი

GRUNI

# Leadership Styles and Role in Company Management

Ana kobaladze
MBA in Business Administration,
Batumi Shota Rustaveli State University
Faculty of Economics and Business
Georgia, Batumi
E-Mail: kobaladze.ana1999@gmail.com

Scientific Supervizor: **Ramin Tsinaridze**
PhD in Business Administration, Associate Professor
Batumi Shota Rustaveli State University
Faculty of Economics and Business
Georgia, Batumi
E-Mail: ramin.tsinaridze@bsu.edu.ge

## Abstract

A number of scientific research have been conducted to describe the complex nature of leadership. In some research, leadership is defined as a character trait, while in others, it is considered from the perspective of information processing and relationships. Different types of approaches to the definition of leadership depend on such factors as: the company portfolio, the goal, the main point of the work, the capabilities of the service personnel, the current situation and the ways of solving the problem. A leader is someone who develops a vision that inspires others. The leader creates a specific business plan that followers support and then work together to achieve ultimate goals.

It is worth noting that the leader influences the team, which has a common goal. The main approach of the leader must depend on communication skills because the leader should establish solid communication with the followers, they should trust each other, be hardworking, be friendly and they should respect each other. Leaders also have an ethical responsibility to care for the needs of their followers. For leaders, authority is an instrument to achieve goals. The selected approaches of leaders must be appropriate to the environment and situation in which they operate.

Leaders are most effective when they can adapt their style/approach to the current situation and can perform such actions as: defining the type of task, create a team, properly assigning functions to team members. The proper leadership style depends on the level of knowledge of the team and its members. Unlike the trait theory, the style theory focuses on the leader's behaviour, the leader focuses on the leader's personal characteristics, while the skills theory focuses on the leader's abilities.

Leaders can be distinguished according to two types of behaviour - task-related behaviour, which implies the priority of task performance, and relationship-related behaviour, which focuses on relationships. The situational approach focuses on the fact that the leadership has directive and supportive dimensions. In order to easily assess the current situation, the leader should study the abilities and skills of the team members. Situational leadership is one of the important approaches for a leader to be effective and successful, because the situation and environment change at every stage, therefore, as a result of analysing the problems in a specific situation, the leader must select the appropriate method and approach.

This research is mainly based on the collection, study and analysis of information. The above-mentioned research was based on the Scientific works, textbooks, articles in Georgian and foreign languages, official indicators of the National Statistical Service of Georgia, approaches to leadership and team management of the specific companies.

In the results part of my research, conclusions are developed concerning the modern views and role of the leader as a necessary figure in company management, because there is no business environment where the role of the leader does not influence the development of the company activities and the career progression

of the service personnel. The leader should create a workspace in which motivated individuals can develop their careers, have the incentive and motivation to do more and love their job.

**Search words:** Leadership, Leader, Situational approach, Team

# ინტერნეტ საკომუნიკაციო არხების როლი საქართველოს ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაში

**მარიამ კეკელიძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (ბათუმი)
ბიზნესი და მართვის სკოლა, ტურიზმი
ბაკალავრიატი
ელ-ფოსტა: mariam.kekelidze20@gruni.edu.ge
**ლიკა ბეჟანიძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (ბათუმი)
ბიზნესი და მართვის სკოლა, ტურიზმი
ბაკალავრიატი
ელ-ფოსტა: lika.bejanidze20@gruni.edu.ge
**ინგა თებიძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (ბათუმი)
ბიზნესი და მართვის სკოლა, ტურიზმი
ბაკალავრიატი
ელ-ფოსტა: inga.tebidze20@gruni.edu.ge

ხელმძღვანელი: **ირაკლი აბაშიძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (ბათუმი)
ბიზნესისა და მართვის სკოლა, ასისტენტ-პროფესორი
ელ-ფოსტა: irakli.abashidze02@gruni.edu.ge

## აბსტრაქტი

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში ტურიზმს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მასზე ბევრადაა დამოკიდებული სამუშაო ადგილების ზრდა და ეროვნული ვალუტის სტაბილურობა. შესაბამისად, აუცილებელია ტურისტული ინდუსტრიის განვითარების მხარდაჭერა სხვადასხვა მიმართულებით. განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა ქვეყანას გააჩნია უფრო მეტი პოტენციალი, რომ ჰქონდეს უკეთესი მაჩვენებლები ამ ინდუსტრიის განვითარებაში ვიდრე დღეს არსებული მდგომარეობაა. შესაძლებლობები კი მრავალფეროვანია: სამთო-სათხილამურო კურორტები, საზღვაო, გასტრონომია, კულტურა და ისეთი სპეციფიკური მიმართულებაც კი, როგორიცაა გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვება. ამ შესაძლებლობებს სჭირდება ხელშეწყობა, რაც გულისხმობს შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას, სფეროში დასაქმებული კადრების მომზადებას და მარკეტინგულ მხარდაჭერას. განსაკუთრებით მაშინ, როცა მსოფლიომ გადაიტანა პანდემიური პერიოდი, დაიწყო ტურიზმის ინდუსტრიის გააქტიურება და შესაბამისად, გაიზარდა კონკურენცია საერთაშორისო მოგზაურების მოსაზიდად. ასეთ პირობებში, მარკეტინგული მხარდაჭერისა და კონკურენტუნარიანობის მოპოვების პროცესში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი საშუალება არის ინტერნეტ საკომუნიკაციო

არხების გამოყენება. საერთაშორისო ტურისტები მოგზაურობის დაგეგმვისას აქტიურად იყენებენ ინტერნეტს გადაწყვეტილებების მიღების ყველა ეტაპზე: ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვებიდან დაწყებული, კონკრეტული სასტუმროს ნომრის დაჯავშნით დამთავრებული. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ტურისტული მიმართულებები წარმოდგენილი იყოს ინტერნეტ სივრცეში სხვადასხვა პლატფორმებზე: სოციალური ქსელები, საძიებო სისტემები, ონლაინ დაჯავშნის ვებ-საიტები, ბლოგები და ვიდეო პორტალები. თუმცა, მაღალი კონკურენციიდან გამომდინარე, ამ პროცესს სჭირდება მაღალკვალიფიციური მიდგომა. სამიზნე ქვეყნების აუდიტორიისთვის განკუთვნილი კონტენტი მაქსიმალურად უნდა შეესაბამებოდეს მის ინტერესებს, ქცევის თავისებურებებს, საჭიროებებს და სურვილებს. თავად ინტერნეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, თანამედროვე მომხმარებელს საშუალება აქვს მარტივად მოიძიოს ინფორმაცია სხვადასხვა ტურისტული მიმართულებების შესახებ და მიიღოს კარგად გაცნობიერებული გადაწყვეტილება. ამ დროს ხდება ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინება, როგორებიცაა ფასები, მიმართულების სპეციფიკა და შინაარსი, განთავსების ობიექტის კომფორტის დონე და ა.შ. შესაბამისად, აუცილებელია, რომ ინტერნეტ სივრცეში სხვადასხვა პლატფორმებზე განთავსებული კონტენტი საქართველოს ტურისტული მიმართულებების შესახებ მაქსიმალურად ხილვადი, ხელმისაწვდომი და მისაღები იყოს უცხოელი მოგზაურებისთვის. აქედან გამომდინარე, ეს საკითხი საჭიროებს არსებული მდგომარეობის საფუძვლიან შესწავლას, შესაბამისი დასკვნების გაკეთებას და გადაწყვეტილებების მიღებას მისი ეფექტიანობის გასაზრდელად.

**საძიებო სიტყვები:** ინტერნეტ არხები, ონლაინ მარკეტინგი, საქართველოს ტურისტული ინდუსტრია

# The role of internet communication channels in development of tourism industry of Georgia

**Mariam Kekelidze**
Grigol Robakidze University (Batumi)
School of Business and Management, Tourism
Bachelor's degree
E-mail: mariam.kekelidze20@gruni.edu.ge
**Lika Bezhanidze**
Grigol Robakidze University (Batumi)
School of Business and Management, Tourism
Bachelor's degree
E-mail: lika.bejanidze20@gruni.edu.ge
**Inga Tebidze**
Grigol Robakidze University (Batumi)
School of Business and Management, Tourism
Bachelor's degree
E-mail: inga.tebidze20@gruni.edu.ge

Head scientist: **Irakli Abashidze**
Grigol Robakidze University (Batumi)
School of Business and Management, Assistant-Professor
E-mail: irakli.abashidze02@gruni.edu.ge

Abstract

Tourism occupies one of the most important places in the economic development of Georgia. The growth of jobs and the stability of the national currency significantly depend on it. Therefore, it is necessary to support the development of the tourism industry in various directions. Especially when the country has more potential to have better indicators in the development of this industry than the current situation. The opportunities are diverse: mountain-ski resorts, sea, gastronomy, culture and even such a specific direction as observing migratory birds. These opportunities need to be promoted, which involves the development of appropriate infrastructure, training of personnel employed in the field, and marketing support. Especially when the world went through the pandemic period, the tourism industry started to become more active and therefore the competition to attract international travelers increased. In such conditions, one of the most effective means in the process of gaining marketing support and competitiveness is the use of Internet communication channels. International tourists actively use the Internet at all stages of decision-making, when planning their trip: from obtaining information about the country to reserving a specific hotel room. Therefore, it is extremely important that the tourist destinations of Georgia are presented in the Internet on various platforms: social networks, search engines, online booking websites, blogs and video portals. However, due to high competition, this process needs a highly skilled approach. The content intended for the audience of the target countries should correspond as much as possible to their interests, behavioral characteristics, needs and desires. Due to the specifics of the Internet itself, modern users have the opportunity to easily find information about various tourist destinations and make a well-informed decision. At this time, such criteria as prices, specificity of the destination, comfort level of the accommodation facility, etc. are taken into account. Therefore, the content about the tourist destinations of Georgia disseminated on various platforms in the Internet should be as visible, accessible and acceptable to foreign travelers as possible. Therefore, theissue requires a thorough study of the current situation, making relevant conclusions and decisions to increase its efficiency.

**Keywords:** Internet channels, Online marketing, Georgian tourism industry.

# სათავგადასავლო ტურიზმის შესაძლებლობები აჭარაში

ანი გელაშვილი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესისა და მართვის სკოლა, ტურიზმი, ბაკალავრიატი
ელ.ფოსტა: ani.gelashvili22@gruni.edu.ge

აბსტრაქტი

ჩვენი სამყარო ყოველდღიურად გლობალიზებული ხდება, ადამიანები კი სულ უფრო ხშირად ეძებენ აუთენტურ განცდებს. სათავგადასავლო ტურიზმი წარმოადგენს სწორედ იმ სეგმენტს, რომელიც დიდი მოთხოვნითა და პოპულარობით სარგებლობს.
გლობალური თვალსაზრისით, სათავგადასავლო ტურიზმი პატივს სცემს კულტურულ და ბუნებრივ აქტივობებს და იცავს ყველაზე უფრო დაუცველებს. იგი ქმნის განვითარების უდიდეს შესაძლებლობებს, განსაკუთრებით მთაში მცხოვრები ადგილობრივი თემებისათვის, რადგან ამ სახის მოგზაურობები ახდენენ ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირებას, ასევე აჩენენ შემოსავლებს და ზრდიან დასაქმებას. ამასთან, ამ სეგმენტის ზრდასთან ერთად საჭიროა

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მდგრად განვითარებას, რაც მოითხოვს ტურიზმის ფრთხილ და პასუხისმგებლიან მართვას.

სათავგადასავლო ტურიზმის განმარტება შემდეგია: ეს არის მოგზაურობა, რომელიც შეიცავს მინიმუმ ორ ელემენტს, ქვემოთ ჩამოთვლილი სამიდან: ფიზიკურ აქტივობას, ბუნებრივ გარემოსა და კულტურულ გაცვლას.

აჭარა საკმაოდ მრავალფეროვანი რეგიონია, სადაც ტურიზმი ყოველწლიურად საკმაოდ აქტიურად და ეფექტურად ვითარდება, რაც ერთი მხრივ უცხოური ინვესტიციების, ხოლო მეორე მხრივ, ტურისტების სიმრავლეზე ისახება. გარდა ამისა, აჭარას გააჩნია სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო მრავალფეროვანი რესურსი.

მაგრამ ხელშემწყობ ფაქტორებთან ერთად ხელშემშლელი ფაქტორებიც საკმაოდ თვალსაჩინოა (პროფესიონალი კადრების დეფიციტი, ტურისტული პროდუქტის სიმწირე, მომსახურების დაბალი ხარისხი, გაუმართავი ინფრასტრუქტურა, სეზონურობა და ა. შ).

უნდა აღინიშნოს, რომ აჭარაში სათავგადასავლო ტურიზმის გარკვეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება დაწყებულია. მაგალითად, ამ მიზნით მთიან აჭარას საფეხმავლო-საველოსიპედე ბილიკი შეემატა, მტირალას ეროვნულ პარკში გაკეთდა თოკების პარკი და ზიპ-ლაინის ტრასა, ასევე გრძელდება კურორტ გოდერძის კეთილმოწყობა, მაგრამ ეს ღონისძიებები საკმარისი არ არის მთლიანი სურათის შესაცვლელად. საჭიროა მეტი ყურადღებისა და რესურსების დათმობა და რაც მთავარია, მეტი ადგილობრივი მცხოვრების ჩართულობა.

აჭარაში ამ სახის ტურიზმის საკმაოდ ბევრი მიმართულებაა განვითარებისა და მეტად ხელშეწყობის მოლოდინში. მაგალითად: დელტაპლანერიზმი, მთის ველოსიპედების ტურები, საცხენოსნო ტურები, ტრეკინგი, ჰაიკინგი, ჯომარდობა, სკი-ტურინგი და სხვა.
შიდა ტურისტებს ზღვა იზიდავს, მაგრამ უცხოელი ტურისტები ძირითად აქცენტს მთიან რეგიონზე აკეთებენ, ამიტომ თუ მეტი უცხოელი ტურისტის მოზიდვა გვინდა, სტრატეგიულად მომგებიანი იქნება ზემოჩამოთვლილი სახეობების განვითარების ხელშეწყობა, რაც აჭარის სათავგადასვლო ტურისტულ პროდუქტს მრავალფეროვნებას შესძენს.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სამთო-სათხილამურო კურორტ ,,გოდერძის“ უფრო მეტ რესურსი დაეთმოს, რადგან იგი ერთ-ერთი საუკეთესო და ტურისტული თვალსაზრისით დაწინაურებული სათხილამურო ცენტრია, რომელსაც საქართველოს სხვა ანალოგიური კურორტებისაგან განსხვავებით არასოდეს აწუხებს უთოვლობა ან მცირე თოვლიანობა.

ერთ-ერთი დიდი გამოწვევა მასთან მისასვლელი გზის რთული მდგომარეობაა. ზამთარში ხშირად შეუძლებელიც კია აქ მგზავრობა, რადგან ზარზმა-გოდერძის მონაკვეთი იკეტება დიდთოვლობისა და ნამქერის გამო. ეს ფაქტორები კი საკმაოდ ცუდ გავლენას ახდენს მის განვითარებაზე. სწორედ, ამიტომაა საჭირო მთავრობის, მათ შორის, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და სამთო ტრასების სააგენტოს (M.T.A) მეტი აქტიურობა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში, რათა, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ტურისტებისთვის გადაადგილება იყოს მოსახერხებელი, კომფორტული და, რაც მთავარია უსაფრთხო.

**საძიებო სიტყვები:** აჭარა; სათავგადასავლო ტურიზმი; სამთო-სათხილამურო კურორტი.

# ბათუმის ბოტანიკური ბაღის ტურისტული პოტენციალი

**მარიამ ჯორბენაძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (ბათუმი)
ბიზნესი და მართვის სკოლა, ტურიზმი
ბაკალავრიატი
ელ-ფოსტა: mariamjorbenadze7@gmail.com
**მარიამ ბოლქვაძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (ბათუმი)
ბიზნესი და მართვის სკოლა, ტურიზმი
ბაკალავრიატი
ელ-ფოსტა: maribolqvadze2014@gmail.com

მეცნიერ-ხელმძღვანელი: **გიორგი უღრელიძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (ბათუმი)
ჰუმანიტარული და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა, ასისტენტ-პროფესორი
ელ-ფოსტა: giorgi.ughrelidze02@gruni.edu.ge

**აბსტრაქტი**

ბათუმის ბოტანიკური ბაღი მდებარეობს ბათუმის ცენტრიდან 9 კილომეტრში ზღვის დონიდან 0-220 მეტრ სიმაღლეზე ვრცელდება და ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არც თუ ისე შორეულ წარსულში მთლიანად კოლხური ტყით იყო დაფარული. დღეს კი 5000-ზე მეტი სახის მცენარეთა კლასია სხვადასხვა ფერისა და ზომის. თუ გადავხედავთ გასულ პერიოდს, თანამედროვე პერიოდში საგრძნობლად შეცვლილია ბათუმის ბოტანიკური ბაღის განაშენიანება. დღესდღეობით უამრავი ვიზიტორი ჰყავს, როგორც ადგილობრივი ასევე, სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელი, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ბათუმის ბოტანიკურ ბაღს განვითარების საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია.

გვსურს მცირე ციტირება გავაკეთოთ ცნობილი ქართველი მეცნიერის, ბუნების მოამაგე ნიკო კეცხოველის, რომელიც წერს: "ბუნება ადამიანის ხელის გარეშე არ არსებობს, ხოლო თუ ადამიანის ხელი უგუნურად წარიმართა, იგი ბუნებას კლავს, მაგრამ გონიერი ცოდნით შეიარაღებული აცოცხლებს ამდიდრებს და ახარებს მას". ეს ციტირება ზუსტად ავლენს პარარელს კოლხური ტყით დაფარული ძველ ბოტანიკურ ბაღსა და ახლანდელ ბოტანიკურ ბაღს შორის.

ბათუმის ბოტანიკური ბაღის ისტორიას, რაც შეეხება 1881 წლიდან მომდინარეობს პირველად ერთმა მოაგარაკემ აღმოაჩინა მუშაობის დროს, ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსება უკავშირდება ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორს ანდრია კრასნოვს. განაშენიანებაში აქტიურად იყო ჩართული იასონ გორდეზიანი. 1912 წელს სათავე დაედო ბაღის ორგანიზაციის საქმეს. აღსანიშნავია, რომ 1998 წელს მცენარეთა დაცვის საერთაშორისო საბჭოს წევრი გახდა. ბათუმის ბოტანიკური ბაღის მისიაა ხელი შეუწყოს მცენარეთა კოლექციის ბაღში თავმოყრას, მის დოკუმენტირებას და გამოყენებას სამეცნიერო საგანმანათლებო და შემეცნებიი მიზნით, ასევე უზრუნველყოს საფრთხის წინაშე მყოფ მცენარეთა კონვერსაცია, დაცვა შენარჩუნება მომავალი თაობებისთვის.

აღსანიშნავია, საფასო პოლიტიკა, ვინაიდან ადგილობრივსა და უცხოელ ტურისტებზე ფასები განსხვავებულია.

საყურადღებოა ისიც, რომ ბოტანიკურ ბაღს აქვს დიდი პოტენციალი გამომდინარე საქართველოს ფლორის საფარიდან, ბათუმის ბოტანიკური ბაღის მრავალფეროვანი და საინტერესო ჯიშების

მცენარეებიდან და ამასთან ერთად ისიც, რომ საგრძნობლად იმატებს ეკოლოგიური ტურიზმით დაინტერესებული ადამიანების რიცხვი.

ვფიქრობთ, რომ კარგი საშუალება აქვს, ბათუმის ბოტანიკურ ბაღს უფრო პოპულარული გახდეს. მთავარია სწორი მარკეტინგული აქტივობები დაიგეგმოს და მარკეტინგული წინ წაწევის საშუალებები (ვგულისხმობთ: რეკლამა, პიარი..) სწორად იქნას შერჩეული და გამოყენებული მათი მხრიდან.

**კვლევის ანალიზი:** ჩვენ დავინტერესდით საზოგადოების მოსაზრებით. ამის გამო ჩავატარეთ კვლევა, როგორც ადგილობრივ მოსახლეობაში ასევე ტურისტებში. კვლევა ჩატარდა ორ ენაზე ქართულად და ინგლისურად. გამოიკითხა 50-მდე ადამიანი, რის შედეგადაც გამოვლინდა მეტად საინტერესო პასუხები, რაც ნაშრომში განზოგადებული სახით არის წარმოდგენილი.

**დასკვნა:** ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნული რომ შევაჯამოთ, ბათუმის ბოტანიკური ბაღის შესახებ შესაძლებელია ითქვას, რომ ვისაც უყვარს სიმშვიდე, სიმყუდროვე, სურვილი იმისა რომ ერთად ნახოს ბუნებისა და ზღვის პანორამული ხედების შერწყმა ასევე ფლორა-ფაუნის მრავალფეროვნება ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია.

**საძიებო სიტყვები:** ვიზიტორი, ტურისტი, მარკეტინგული აქტივობები, ეკოლოგიური ტურიზმი

# გასტრონომია და ღვინის ტურიზმი

**ნანუკა ფარტენაძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესისა და მართვის სკოლა, ტურიზმი, ბაკალავრიატი
ელ.ფოსტა: nana.partenadze22@gruni.edu.ge
**ხატია ტიტველაშვილი**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესისა და მართვის სკოლა, ტურიზმი, ბაკალავრიატი
ელ.ფოსტა: khatia.titvelashvili22@gruni.edu.ge

**აბსტრაქტი**

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO) ასე განსაზღვრავს გასტრონომიულ ტურიზმს: „ ესაა ტურისტული საქმიანობის ისეთი სახე, რომელსაც ახასიათებს მოგზაურობის დროს საკვებითა და მასთან დაკავშირებული პროდუქტებით მიღებული გამოცდილება და შთაბეჭდილებები. ავთენტურ, ტრადიციულ და/ან ინოვაციურ კულინარიულ გამოცდილებასთან ერთად, გასტრონომიული ტურიზმი შეიძლება ასევე მოიცავდეს სხვა თანმხლებ აქტივობებს, როგორიცაა ადგილობრივი მწარმოებლების მონახულება, საკვების ფესტივალებში მონაწილეობა და კულინარიულ მასტერ-კლასებზე დასწრება." მტო განიხილავს ღვინის ტურიზმს, გასტრონომიული ტურიზმის ქვესახეობად, რომლის მიზანია, ან რომელიც მოიცავს ღვინის დეგუსტაციას, მოხმარებას ან/და შესყიდვას უშუალოდ მწარმოებლისგან.

გასტრონომიული და ღვინის ტურიზმი ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და ყალიბდება ამა თუ იმ ტერიტორიაზე ისტორიის, კულტურის, ეკონომიკისა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად.

ქართული კერძები, ტრადიციული ქართული პურობა, ღვინო და ქართველთა სტუმართმოყვარეობა ის ფაქტორებია, რომლებიც უცხოელ ტურისტთა საერთო მოწონებასა და აღფრთოვანებას იმსახურებს. ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი გამორჩეულად საინტერესო და თვითმყოფადი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაა, განსაკუთრებით მაღალმთიანი აჭარა.

ასი წლის წინ აჭარის ვაზების 100% ხეებზე იყო გაშენებული. აჭარაში 52 ვაზის ჯიშის არსებობა დასტურდება, აქედან უმეტესობა წითელია. ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიციულ მეთოდს მაღალმთიან აჭარაში დღემდე იყენებენ. აჭარაში მეღვინეობის კერად მიჩნეულია ბუნებითა და ისტორიული კულტურული ძეგლების სიმრავლით გამორჩეული ქედა, სადაც გავრცელებულია ღვინის სახეობები: ცოლოკაური, ჩხავერი, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ ქართველ და უცხოელ მომხმარებლებში. ჩხავერი ძველი ქართული აბორიგებული ვაზის ჯიშია, რომელიც მხოლოდ დასავლეთ საქართველოში მოდის, განადგურების პირას მყოფი ეს კულტურა საუკუნეების განმავლობაში შემოინახა ქედის მოსახლეობამ. ასევე, აჭარაში ათამდე საოჯახო, თუ სხვა ტიპის მარანია, რომლებიც ადგილობრივ ღვინოს აწარმოებენ, აქტიურად იღებენ სტუმრებს. სხვადასხვა ტიპის ტურის ფარგლებში სტუმრებს შეუძლიათ ღვინის დაგემოვნების გარდა, ვენახებში გასეირნება, რთველში მონაწილეობა, ფელამუშის მომზადება და ჩურჩხელის ამოვლება.

აჭარა ასევე გამორჩეულია თავისი მრავალფეროვანი, ტრადიციული კერძებით. აქ ერთმანეთში არეულია მთის ხისტი, ნოყიერი გემო და ზღვისპირეთის ნაზი არომატები. აჭარის სავიზიტო ბარათი სწორედ აჭარული ხაჭაპურია, რომელიც ზღვისა და მზის კავშირს განასახიერებს. ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აჭარულ ტკბილეულობას, როგორიცაა ბაქლავა და შაქარლამა. ამ რეგიონის გასტრონომიის თავისებურებების ძირითადი განმსაზღვრელი მაღალმთიანი ცხოვრების ტრადიციებია. ეს ყველაფერი კი მაღალმთიან აჭარაში ჩასულ ტურისტებს იზიდავს.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აჭარული სამზარეულოს ცნობადობა ჯერ კიდევ არაა სათანადო დონეზე. ამისათვის, საჭიროა მისი მეტად პოპულარიზაცია, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. ასევე, მიზანშეწონილია საკვებ პროდუქტებთან და სურსათთან დაკავშირებული მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის ინვენტარიზაცია, რათა შეიქმნას საფუძველი გასტრონომიული შეთავაზების შექმნისა ან განახლებისათვის, გასტრონომიული მემკვიდრეობის აღდგენის, შენარჩუნებისა და გაძლიერების პროექტების სტიმულირება, დესტინაციის გასტრონომიული კულტურისა და ადგილობრივი პროდუქტების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით სასწავლო პროგრამების შემუშავება სხვადასხვა საგანმანათლებლო დონეზე: სკოლაში, პროფესიულ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში, გასტრონომიული კულტურის მომავალი თაობებისათვის გადაცემის ხელშეწყობა, რათა თავიდან იქნას აცილებული ავთენტურობისა და ღირებულებების დაკარგვა და სხვა.

საძიებო სიტყვები: აჭარა; გასტრონომიული ტურიზმი; კულინარია; ღვინის ტურიზმი.

# საქართველოში ტურიზმის აღდგენის შესაძლებლობა პოსტპანდემიურ პერიოდში

**თეა წინწკალაძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (ბათუმი)
ბიზნესი და მართვის სკოლა, ტურიზმი
ბაკალავრიატი, IV დონე
ელ-ფოსტა: ttsintskaladze@mail.ru

მეცნიერ-ხელმძღვანელი: **მაკა ფირანაშვილი**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესის და მართვის სკოლა, ასოცირებული პროფესორი
ელ-ფოსტა: makapiranashvili@yahoo.com

**აბსტრაქტი**

კოვიდ 19-ით გამოწვეულმა გლობალურმა პანდემიამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიაზე, პრაქტიკულად ქვეყანაში გაჩერდა მასპინძლობის ინდუსტრია, განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა ყოველივე ეს იმ რეგიონებში რომლებიც წარმოადგენენ ქვყენის ძირითად ტურისტულ მიმართულებებს, მათ შორის აჭარა, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, სამცხე ჯავახეთი და ა.შ. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა, პანდემიით გამოწვეული ზიანის შემსუბუქების თვალსაზრისით ითვალისწინებდა ბიზნესის მხარდაჭერის ღონისძიებებს და სოციალური დახმარებების პაკეტს მათ შორის გადასახადების და საბანკო სესხების გადავადებას, ასევე პროცენტის სუბსიდირებას.

ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია, რომელიც მშპ-ს დაახლოებით 8,1%-ს აგენერირებს. 2019 წელს ვიზიტორების მთლიანმა რაოდენობამ 9 357 964- ს მიაღწია, ხოლო შემოსავალი ტურიზმიდან იყო 3,5 მლრდ დოლარი. თუმცა, პანდემიის შედეგად მოგზაურობის მიმართ დანერგილმა შიშმა და ჩაკეტილმა საზღვრებმა ყველაზე ნეგატიური გავლენა სწორედ ტურიზმის ინდუსტრიაზე იქონია.

პანდემიის ფონზე ეკონომიკის ყველა მიმართულება უდიდეს კრიზისს განიცდიდა, მათ შორის ტურიზმი და მასპინძლობის ინდუსტრია. განსაკუთრებით რთულ ვითარებაში აღმოჩნდა განვითარებადი ქვეყნები, რომელთა შემოსავლების და ეკონომიკის ძირითად წყაროს ტურიზმის ინდუსტრია და უცხოური ინვესტიციები შეადგენს. საქართველო სწორედ ასეთი ქვეყნების რიგში დგას. საქართვლოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2020-2021 წლების მონაცემებით საქართველოში 70-80% შემცირებული იყო საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა.

2022 წელს საქართველოში ტურიზმის აღდგენის დინამიკა საინტერესოდ განვითარდა, რასაც ხელი შეუწყო რეგიონში პოლიტიკურმა სიტუაციამ (რუსეთ-უკრაინის ომი). 2022 წლის 11 თვის (იანვარი-ნოემბერი) განმავლობაში საქართველოში 4,862,247 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი შედგა, 2021 წლის იანვარი-ნოემბრის პერიოდთან შედარებით ზრდა +185.5%-ია. 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საერთაშორისო მოგზაურთა ვიზიტების აღდგენის მაჩვენებელი 55.9%-ს შეადგენს.

2022 წლის იანვარი-ნოემბრის პერიოდში 3,348,333 საერთაშორისო ტურისტული ვიზიტი შედგა, რაც +133.7%-ით მეტია გასული წლის 11 თვესთან შედარებით, ხოლო 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ტურისტული ვიზიტების 70.2 % აღდგენილია.

საერთაშორისო მოგზაურებისა და საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების რაოდენობა გამოითვლება მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის რეკომენდაციით შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით და მოიცავს უკვე განხორციელებულ და დასრულებულ ვიზიტებს.

პოსტპანდემიურ პერიოდში ყველაზე პოპულარული სწორედ ტურიზმის ის მიმართულებები გახდა, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალების აღდგენასთან, ასევე ფსიქოლოგიური პრობლემების დაძლევასთან, რაც გამოიწვია პანდემიამ. ტურისტული მიმართულებებიდან განსაკუთრებით მოთხოვნადი გახდა რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმი, ტურიზმი სოფლად, ეკოტურიზმი და სხვა. შესაძლებელია დასკვნის სახით წარმოვადგინოთ ძირითადი რეკომენდაციები:

1. შიდა ტურიზმის სტიმულირება;
2. MICE ტურიზმის თვალსაზრისით ახალი ტურისტული პროდუქტის შექმნა;
3. პოსტპანდემიურ პერიოდში სარეაბილიტაციო, გამაჯანსაღებელი ტურისტული პროდუქტის შექმნა;
4. უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა მომსახურების სფეროში;
5. რეგიონის მიმართულებით ჩარტერული ტურისტული ავიარეისების ორგანიზება.

ტურიზმი, როგორც მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვანი სფერო ნებისმიერი ქვეყნის განვითარების პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. შესაბამისად, მისი მდგრადი განვითარება სახელმწიფოს უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

**საძიებო სიტყვები:** სამკურნალო ტურიზმი, ეკოტურიზმი, ტურისტული პროდუქტი, მდგრადი განვითარება

## ღვინის ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში „შატო მუხრანის“ მაგალითზე

**ლიზი ძიმისტარიშვილი**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესისა და მართვის სკოლა, ტურიზმი
ბაკალავრიატი, II დონე
ელ.ფოსტა lizi.dzimistarishvili21@gruni.edu.ge

ხელმძღვანელი: **მაკა ფირანაშვილი**
ასოცირებული პროფესორი

**აბსტრაქტი**
საქართველო უკვე დიდი ხანია ღვინის სამშობლოს სტატუსით სარგებლობს. აქ მევენახეობა-მეღვინეობის მსოფლიოში უძველესი ნაკვალევია აღმოჩენილი. საქართველოში აღმოჩენილი სხვადასხვა ჯიშის ყურძნის წიპწები ჩვენს ერამდე 6-5 ათასი წლით თარიღდება. დღეს არსებული ქართული ქვევრის ფორმა კი ჯერ კიდევ ძვ.წ. 3-2 ათასწლეულებში ჩამოყალიბდა. ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ტრადიციული მეთოდი იუნესკოს არამატერიალურ კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი. საქართველოში აღწერილია ვაზის 500-ზე მეტი ქართული ჯიში. მრავალსაუკუნოვანი ისტორია, ვაზის ჯიშების მრავალფეროვნება, ღვინის დაყენების

ტრადიცია და ისტორიული მამულები საქართველოში ღვინის ტურიზმის განვითარების განმაპირობებელი ფაქტორია.
საქართველოში ღვინის ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები განსაკუთრებით კარგად წარმოჩნდა „შატო მუხრანის" მაგალითზე.
„შატო მუხრანი" ქართლის რეგიონში, სოფელ მუხრანში მდებარეობს, იგი პირველი ქართული შატოა. მისი საქმიანობა ეფუძნება მეღვინეობის იმ უნიკალური ტრადიციის გაგრძელებას, რომელიც შექმნა ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელმა ივანე მუხრანბატონმა 1878 წელს. შატოს კონცეფცია მოიცავს 4 ძირითად ფასეულობას: საკუთარ ვენახებს, უნიკალურ მიწისქვეშა მარნებს, სასახლესა და ისტორიას.
2003 წელს საერთაშორისო ჯგუფმა "Marussia Beverages"-მა ქართველ პარტნიორებთან ერთად „შატო მუხრანი" დააფუძნა. შედეგად აღდგენილ იქნა ღვინის საწარმო, ვენახები, მარნები, საჯინიბო და მუხრანბატონების სასახლე. 2011 წლიდან „შატო მუხრანში" იწყება ღვინის ტურიზმის განვითარება. ეს მიმართულება მოიცავს ღვინის ტურების, კორპორატიული საღამოების, დღესასწაულების, სამუშაო შეხვედრების, სემინარებისა და სხვა სახის ღონისძიებების ორგანიზებას ბაგრატიონთა სასახლეში.
„შატო მუხრანის ყველა ღვინო დაყენებულია საკუთარ ვენახებში მოწეული ყურძნისგან, ბუნებრივი ფერმენტაციით. 102 ჰექტარზე გაშენეული ვენახებიდან ევროპული და ქართული ჯიშის ყურძნის გარდა, ენდემური გორული მწვანე, შავკაპიტო და თავკერი მოჰყავთ. ყოველწლიურად იწარმოება 450 000 ბოთლი, რომელებიც 23 ქვეყანაში გადის ექსპორტზე. გარდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში მყოფი ქვეყნებისა „შატო მუხრანის" ღვინოების ექსპორტირება ხდება ასევე ისრაელში, საფრანგეთში, გაერთიანებულ სამეფოში, ჩინეთსა და აშშ-ში. „შატო მუხრანის ყველაზე მოთხოვნადი ბრენდებია - „საფერავი 2007", „ქინძმარაული", „გორული მწვანე".
2019 წელს ტურისტულმა აქტივობამ „შატო მუხრანის" შემოსავლების დაახლოებით 12%-მიაღწია. შემოსავლის 30-40% ღვინოზე, ტურიზმზე, ღონისძიებებსა და ფესტივალებზე მოდის.
„შატო მუხრანი" 200-ზე მეტი ღვინის საერთაშორისო კონკურსის ჯილდოს მფლობელია. 2021 წელს „საუკეთესო ვენახების" რეიტინგით, „შატო მუხრანს" მსოფლიოს 58-ე საუკეთესო მეღვინეობის საპატიო ადგილი ერგო, რითაც უკან მოიტოვა მსოფლიოს ბევრი პრესტიჟული კომპანია. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ქართული ვენახი იმ სიაში მოხვდა, რომელსაც ღვინისა და ღვინის ტურიზმის ექსპერტთა საერთაშორისო საბჭო ადგენს. ეს შეფასება მუხრანში სტუმრობის გამოცდილებას ეყრდნობა, რომელიც ადგილის დათვალიერებას, ღვინის დეგუსტაციას, გარემოს, კერძებს, თანამშრომლებს, ხედებს, რეპუტაციას, მისაწვდომობასა და ყველა იმ კომპონენტს აერთიანებს, რომელიც მამულის მონახულებას დაუვიწყარსა და მომხიბლავს ხდის. აღსანიშნავია, რომ ღვინის ტურიზმის პირველი გლობალური კონფერენციის სესიები და საღამო „შატო მუხრანში" გაიმართა.
მაშასადამე, საუკუნოვანი ისტორია, ღვინის დაყენების ტრადიციული მეთოდი, „შატო მუხრანის სასახლე", რესტორანი „სამეფო მარანი 1878", რთველის ყოველწლიური ღონისძიება, საშობაო გამოფენა, ღვინის ტურები და ფესტივლები, ეს არის ყოველივე ის, რაც „შატო მუხრანს" აძლევს საშუალებას გახდეს საუკეთესო საერთაშორისო ბაზარზე.

**საძიებო სიტყვები:** ღვინის ტურიზმი, კულტურული მემკვიდრეობა, ტურიზმის განვითარება;

## სამართლის სექცია:

# ინტერნეტ-ერის გამოწვევები: კიბერდანაშაულის სახეები

**ანრი ნიშნიანიძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
სამართლის სკოლა, დოქტორანტურა
ელ-ფოსტა: Anri.nishnianidze21@gruni.edu.ge

**აბსტრაქტი**
თანამედროვე სამყაროში ელექტრონულ მოწყობილობებს იყენებს თითქმის ყოველი ადამიანი. დანიშნულება განსხვავებულია, შესაძლებელია პირადული - შესაძლებელია სამუშაო მიზნებისთვის. თუმცა, თითოეული ადამიანი რომელიც უკავშირდება კიბერ-სივრცეს დგება გარკვეული საშიშროების წინააღმდეგ, სადაც ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ სპეციალური ცოდნის მქონე პირთა, კიბერდამნაშავეების მსხვერპლი.
სამეცნიერო კვლევაში გაანალიზდება თუ რა არის კიბერდანაშაული და რა სახის კიბერდანაშაულები არსებობს. კვლევაში წარმოჩნდება თუ რა ტიპის არსენალს ფლობენ კიბერდამნაშავეები, რატომ არის მათი ქმედებები განსაკუთრებული საშიშროების მატარებელი და რისთვის უნდა იყვნენ სახელმწიფოები მზად, რომ კიბერდამნაშავეებს შეუზღუდონ შესაძლებლობები კიბერსივრცეში განახორციელონ დანაშაულებრივი ქმედებები.

**საძიებო სიტყვები:** კიბერდანაშაული, კიბერსივრცე, კიბერდამნაშავეები.

# Challenges of the Internet Era: Types of Cybercrime

**Anri Nishnianidze**
Grigol Robakidze University
Law School, Ph.D Student
E-mail: Anri.nishnianiadze21@gruni.edu.ge

**Abstract**
In the modern world, almost every person uses electronic devices. The purpose is different, it is possible for personal uses or for work purposes. However, every person connected to cyberspace faces certain dangers, where they can become victims of people with special knowledge - cybercriminals.

This scientific research will analyze what cybercrime is and what types of cybercrimes exist. The research will show what type of arsenal cybercriminals possess, why their actions are particularly dangerous, and what states should be prepared to do to limit cybercriminals' ability to carry out criminal activities in cyberspace.

**Keyword:** Cybercrime, Cyberspace, Cybercriminals.

# სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში

ეკა ჯორბენაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სამართლის პროგრამის II კურსი, სტუდენტი
E-mail: eka.jorbenadze@gmail.com
რუსუდან ძნელაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სამართლის პროგრამის II კურსი, სტუდენტი
ქეთევან სიორდია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სამართლის პროგრამის II კურსი, სტუდენტი

აბსტრაქტი

**შესავალი და მიზანი:** სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს ნებაყოფლობითი „კოლექტიური ქმედების" პლატფორმას საერთო ინტერესების, მიზეზებისა და ფასეულობების გარშემო, ის წარმოადგენს იმ ინსტიტუციებისა და ორგანიზაციების სპექტრს, რომელებიც აკავშირებენ ხალხს მთავრობასა და კერძო სექტორთან. სამოქალაქო საზოგადოების ამ მნიშვნელობიდან გამომდინარე, ის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. მენტალიტეტი, განათლებისა და განვითარების დაბალი დონე ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება, რაც საერთო ჯამში სამოქალაქო საზოგადოების როლისა და მნიშვნელობის დაკნინებას იწვევს საქართველოში, აღნიშნული ფაქტი სკეპტიკურად განწყობილ მოსახლეობას წარმოშობს. სწორედ ეს წარმოადგენს პრობლემას და საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას. საქართველოში ოდითგანვე არსებობდა სამოქალაქო საზოგადოების მსგავსი წარმონაქმნები, რომლებიც იგივე მნიშვნელობის მატარებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ („თერგდალეულები", კატო მიქელაძე, ეკატერინე გაბაშვილი), როგორიც არის დღეს არა-მომგებიანი სექტორი, არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ. კვლევის მიზანს წარმოადგენს ისტორიულ ჭრილში, ანალიზის მეთოდის გამოყენებით, სამოქალაქო საზოგადოების როლის მნიშველობის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების გაზრდა, მცდარი წარმოდგენებისა და მითების დამსხვერევა, რაც სამოქალაქო საზოგადოების პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

**კვლევის მეთოდოლოგია:** კვლევისას გამოყენებულია ანალიზისა და შედარების მეთოდები

**შედეგები და გამოყენება:** ნაშრომს აქვს შემეცნებითი და თეორიული მნიშვნელობა.

**დასკვნა:** მიიჩნევა, რომ ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების არსებობა ბალანსირებული პოლიტიკური პროცესების წარმართვას უზრუნველყოფს. ამდენად, სამოქალაქო საზოგადოების პროპაგანდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ ქვეყანაში როგორიც, განვითარებისა და დემოკრატიის გზაზე მყოფი საქართველოა. დადებითი შედეგის მისაღწევად საჭიროა მოსახლეობის მეტი ინფორმირებულობა, რაც გამოიწვევს მეტ ნდობას და მოქალაქეების ჩართულობას კოლექტიური სიკეთის კეთებაში. (სოციალური კაპიტალი)

**საკვანძო სიტყვები:** სამოქალაქო საზოგადოება, მოხალისეობრივი საქმიანობა, საქართველო, არა-მომგებიანი სექტორი, სოციალური კაპიტალი.

# Civil society in Georgia

**Eka Jorbenadze**
Akaki Tsereteli State University
Faculty of Business Law and Social Sciences, 2nd year student of the law program
E-mail: eka.jorbenadze@gmail.com

**Rusudan Dzneladze**
Akaki Tsereteli State University
Faculty of Business Law and Social Sciences, 2nd year student of the law program

**Ketevan Siordia**
Akaki Tsereteli State University
Faculty of Business Law and Social Sciences, 2nd year student of the law program

## Abstract

**Introduction and aim:** Civil society is a platform for voluntary "collective action" around common interests, causes and values, it is a range of institutions and organizations that connect people with government and the private sector. Due to this importance of civil society, it is one of the most urgent issues in our daily life. Mentality, low level of education and development are closely related to each other, which leads to the decline of the role and importance of civil society.

In Georgia, the mentioned fact gives rise to a skeptical population. This is exactly the problem and needs to be studied in depth. In Georgia, there have been similar formations of civil society since time immemorial, which we can consider as having the same meaning ("Tergdaleuli", Kato Mikeladze, Ekaterine Gabashvili), such as the non-profit sector, non-governmental organizations, etc. The purpose of the research is to increase the awareness of the population about the importance of the role of civil society in a historical perspective, using the analysis method, to destroy misconceptions and myths, which will promote the popularization of civil society.

**Research methodology:** Analysis and comparison methods are used in the research.

**Results and and the use:** Article has the importance of educational and theoretical significance.

**Conclusion:** It is considered that the existence of a healthy civil society ensures the conduct of balanced political processes. Thus, the promotion of civil society is especially important in a country like Georgia, which is on the path of development and democracy. In order to achieve a positive result, more awareness of the population is needed, which will lead to more trust and involvement of citizens in doing collective good (social capital).

**Keywords:** civil society, voluntary activity, Georgia, non-profit sector, social capital.

# გლობალიზაცია და სამოქალაქო საზოგადოება

**ეკა ჯორბენაძე**
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამართლის, ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სამართლის პროგრამის II კურსი, სტუდენტი
E-mail: eka.jorbenadze@gmail.com

**ლიკა ფორჩხიძე**
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამართლის, ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სამართლის პროგრამის II კურსი, სტუდენტი

**აბსტრაქტი**

**შესავალი და მიზანი:** სამოქალაქო საზოგადოება თანამედროვე მსოფლიოში განიხილება, როგორც თავისუფლების ფუძემდებლური წყარო.გლობალური სამოქალაქო საზოგადოება, როგორც ასოციაციური ცხოვრების ფორმა მოიცავს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ქსელებს, სოციალურ მოძრაობებსა და კამპანიებს; ეკლესიის საერთაშორისო ფედერაციებსა და კონფედერაციებს; პროფესიულ და ბიზნესასოციაციებს, ასევე წევრობაზე დაფუძნებულ ასოციაციებს, რომლებიც მიზნად ისახავენ სოციალური პრობლემებისა და სხვა საკითხების მოგვარებას.ამდენად, გლობალიზაცია და სამოქალაქო საზოგადოება მეტად საყურადღებო საკითხია დღეს, რომელსაც მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე კვლევა და ანალიზი სჭირდება. მოქალაქეთა უმრავლესობა არ ფლობს სათანადო ინფორმაციას აღნიშნულზე. ჩვენი მიზანია ცნობიერების ამაღლება, საკითხით მეტი ადამინის დაინტერესება და სამოქალაქო საზოგადოების გლობალური პერსპექტივის პოპულარიზაცია. ნაშრომში აშშ-ს, ლათინური ამერიკის, ინდოეთისა და ჩინეთის მაგალითზე განვიხილავთ თუ რატომ გახდა მოხალისობრივი საქმიანობა პოპულარული, რატომ მიიღო პრობლემის აღმოფხვრაზე ორიენტირებულმა ლოკალურად დაწყებულმა მოხალისეობრივმა საქმიანობამ გლობალური სახე და რა მნიშვნელობის მატარებელია ის დღეს მთელი მსოფლიოსთვის.

**კვლევის მეთოდოლოგია:** კვლევისას გამოყენებულია ანალიზისა და შედარების მეთოდები

**შედეგები და გამოყენება:** ნაშრომს აქვს შემეცნებითი და თეორიული მნიშვნელობა.

**დასკვნა:** ამდენად, გლობალური სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტების საქმიანობის შედეგად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ხელი შეეწყო დემოკრატიული პრინციპებისა და საოპერაციო პროცედურების განვითარებას. ნაშრომში განხილული ქვეყნების მაგალითების ანალიზიდან ნათლად გამოიკვეთა, რომ სამოქალაქო საზოგადოების არსებობა არის ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტი, რათა მოხდეს ძლიერი, ლიბერალური და სამართლიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება და განვითარება დემოკრატიულ ქვეყნებში. დღეს მმართველთა უმრავლესობამ აღიარა რომ უმთავრესია პრობლემების არა მხოლოდ ლოკალურად, არამედ გლობალურად მოგვარება და პრევენცია, რაშიც უმთავრეს როლს გლობალური სამოქალაქო საზოგადოება თამაშობს.

**საძიებო სიტყვები:** სამოქალაქო საზოგადოება, მოხალისეობრივი საქმიანობა, გლობალიზაცია, აშშ, გლობალური პერსპექტივა.

# Globalization and civil society

**Eka Jorbenadze**
Akaki Tsereteli State University
Faculty of Law, Business and Social Sciences, 2nd year student of law program
E-mail: eka.jorbenadze@gmail.com

**Lika Porchkhidze**
Akaki Tsereteli State University
Faculty of Law, Business and Social Sciences, 2nd year student of law program

Abstract

**Introduction and aim:** Civil society in the modern world is considered as the basic source of freedom. Global civil society as an associative life form includes international non-governmental organizations and networks, social movements and campaigns; international church federations and confederations; professional and business associations, as well as membership-based associations that aim to solve social problems and other issues. Thus, globalization and civil society is a very important issue today, which needs research and analysis based on its significance. The majority of citizens do not have proper information about this. Our goal is to raise awareness, get more people interested in the issue, and promote the global perspective of civil society. In the paper, using the examples of the USA, Latin America, India and China, we discuss why volunteering became popular, why the locally started volunteering focused on solving the problem took a global look and what significance it carries for the whole world today.

**Research methodology:** Analysis and comparison methods are used in the research.

**Results and and the use:** Article has the importance of educational and theoretical significance.

**Conclusion:** Consecuently, As a result of the activities of global civil society activists, the development of democratic principles and operational procedures has been promoted in many countries of the world. From the analysis of the examples of the countries discussed in the paper, it was clearly revealed that the existence of civil society is one of the most important aspects for the formation and development of a strong, liberal and fair state in democratic countries. In which the global civil society plays the main role.

**Keywords:** Civil society, voluntary activity, globalization. USA, global perspective.

# ბავშვთა უფლებების დაცვა საქართველოში

**ლიკა შაინიძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობა
სამართლის სკოლა, ბაკალავრიატი
ელ-ფოსტა: lika.shainidze20@gruni.edu.ge
**ლინდა მორთულაძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობა
სამართლის სკოლა, ბაკალავრიატი
ელ-ფოსტა: linda.mortuladze20@gruni.edu.ge
**მარიკა მანუკიანი**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობა
სამართლის სკოლა, ბაკალავრიატი
ელ-ფოსტა: m.manukiani1999@gmail.com

ხელმძღვანელი: **ქეთევან კუხიანიძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობა
სამართლის დოქტორი
ელ-ფოსტა: kate_kukhianidze@mail.ru

**აბსტრაქტი**

**შესავალი და მიზანი:** ბავშვის უფლებების დაცვა ერთ ერთი მნიშნელოვან და პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს დღეს საქართველოში. ბავშვთა დაცვა როგორც ფსიქოლოგიური ასევე ფიზიკური ძალადობისაგან და მათზე ზრუნვა დემოკრატიული სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

ჯანსაღი ცხოვრების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ბავშვთან ინდივიდუალური მიდგომა და ფსიქოლოგიის მხარდაჭერა ნებისმიერ განვითარებულ საზოგადოებაში ბავშვს მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული ადგილი უკავია. საქართველოში 2020 წელს ძალაში შევიდა ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომლის მიზანია „ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობით". ამდენად კვლევის მიზანია გავაანალიზოთ, თუ როგორ ხდება ბავშვის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. ასევე როგორ ხდება პრაქტიკაში მისი აღსრულება და შედარებითი ანალიზის საფუძველზე ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით კონკრეტული წინადადებების შემუშავება.

**კვლევის მეთოდოლოგია.** კვლევისას გამოყენებულია ანალიზის, შედარების, რაოდენობრივი კვლევის მეთოდები.

**შედეგები და გამოყენება.** სტატიას აქვს პრაქტიკული, თეორიული და სასწავლო მეთოდური მნიშვნელობა.

**დასკვნა.** ამრიგად, ბავშვის უფლებები მაღალი სოციალურ-ზნეობრივი ღირებულების მატარებელია და მისი რეგულირება მხოლოდ კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნით კი არ უნდა შემოიფარგლოს, არამედ ნორმებში ის პოზიტიური შეხედულებებიც უნდა აისახოს, რომლებმაც დროის გამოცდას გაუძლეს და ხელი შეუწყვეს ბავშთა უფლებების დაცვას. მნიშვნელოვანია ფსიქოლოგის ინსტიტუტი. ოჯახსა და მშობლებს აკისრიათ უმთავრესი

პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაში. ექპერტების უმეტესობა თანხმდება, რომ, თუ ბავშვი მოკლებულია ოჯახის ზრუნვას, სახელმწიფო უწევს მას განსაკუთრებულ მფარველობასა და დახმარებას. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომლობას ყველა ბავშვისათვის, განსაკუთრებით კი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთათვის. აგრეთვე სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბავშვი ისეთი შრომისაგან, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის ჯანმრთელობას, ან განვითარებას. ხელი შეუშალოს მის განათლებას, ან გამოიწვიოს ბავშვის ექსპლუატაცია სხვა ადამიანების მხრიდან.

**საკვანძო სიტყვები:** ბავშვი, დაცვა, საქართველო, კონვენცია

# Protection of children’s rights in Georgia

**Lika Shainidze**
Batumi representative of Grigol Robakidze University
Law School, B.Sc
E-mail: lika.shainidze20@gruni.edu.ge
**Linda Mortudaze**
Batumi representative of Grigol Robakidze University
Law School, B.Sc
E-mail: linda.mortuladze20@gruni.edu.ge
**Marika Manukian**
Batumi representative of Grigol Robakidze University
Law School, B.Sc
E-mail: m.manukiani1999@gmail.com

Scientific supervisor: **Ketevan Kukhianidze**
Batumi representative of Grigol Robakidze University
Doctor of Laws
E-mail: kate_kukhianidze@mail.ru

Abstract
**Introduction and purpose;** Protection of children’s rights is one of the significant and problematic issues in Georgia today. Protecting children from both psychological and physical violence and taking care of them is the most important task of a democratic state.To ensure a healthy life, it is necessary to have an individual approach to the child and to support psychology in any development A child has an important and special place in society. In 2020, the Code of Children’s Rights entered into force in Georgia, the purpose of which is „to ensure the well-being of the child by promoting the effective implementation of the Constitution of Georgia, the Convention on the Rights of the Child, its additional protocols and other international legal acts recognized by the state“. Thus, the aim of the study is to analyze how the protection of children’s rights is ensured in Georgia and foreign countries. Also, how it is implemented in practice, and on the basis of comparative analysis, specific proposals are developed to eliminate shortcomings. Development. Research methodology. Analysis, comparison, and quantitative research methods were used in the research. Results and Applications. The article has practical, theoretical and educational methodical significance.Conclusion. Therefore, the rights of the child carry a high socio-moral value, and its regulation should not be limited to the imperative requirements of the legislation, but the positive views that have stood the test of time and contributed to the protection of children’s rights should also be reflected in the norms. The Institute

of Psychology is important. The family and parents bear the main responsibility in the upbringing and development of the child. Most experts agree that if a child is deprived of family care, the state provides him with special protection and assistance. The state is obliged to promote access to education and health care for all children, especially children with disabilities. Also, the state must protect the child from such work that may interfere with his health or development. Hand Interfere with his education, or cause the child to be exploited by other people.

**Key words:** child, protection, Georgia, convention

## შშმ პირების განათლების და სექსუალური უფლების ხელშეუხებლობა

**ლინდა მახარაძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობა
სამართლის სკოლა, ბაკალავრიატი
ელ-ფოსტა: linda.makharadze21@gruni.edu.ge
**ლიზი ქობულაძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობა
სამართლის სკოლა, ბაკალავრიატი
ელ-ფოსტა: Lizi.kobuladze@mail.ru

ხელმძღვანელი: **ქეთევან ლასტაკანიძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (ბათუმი)
სამართლის სკოლა, დოქტორანტი
ელ-ფოსტა: ketevan.lastakanidze02@gruni.edu.ge

**აბსტრაქტი**

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს უფლება აქვთ ჰქონდეთ და ისარგებლონ სხვა ადამიანებთან ერთად თანაბარი პირობებით,სრულყოფილად ისარგებლონ ადამიანის უფლებებით,რომლებიც დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით,ევროპის სოციალური ქარტიით,გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

ჩვენი მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანასწორობის,ღირსებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა კონკრეტულ სფეროებში. ამისათვის საჭიროა მათი დამოუკიდებლობა,არჩევანის თავისუფლება,ცხოვრების და საზოგადოების ყველა სფეროში სრული და აქტიური მონაწილეობა,ცნობიერების ამაღლება იმ კონკრეტული სირთულეების მიმართ რაზეც მწირი ინფორმაცია აქვთ.

შშმ პირებს, როგორც ყველა ინდივიდს აქვთ უფლება იყვნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, ჰქონდეთ თავისუფალი არჩევანის უფლება, გააჩნდეთ თვითრეალიზაციის შესაძლებლობა, ასევე აუცილებელი ასპექტია დაცული იყოს მათი თავისუფალი არჩევანი და ხელშეუხებლობა რიგი დანაშაულებისგან.

# Inviolability of education and sexual rights of persons with disabilities

**Linda Makharadze**
Batumi representative of Grigol Robakidze University
Law School, Bachelor's degree
E-mail: linda.makharadze21@gruni.edu.ge
**Lizi Kobuladze**
Batumi representative of Grigol Robakidze University
Law School, Bachelor's degree
E-mail: Lizi.kobuladze@mail.ru

Scientific supervisor: **Ketevan Lastakanidze**
Grigol Robakidze University (Batumi), Invited Lector
School of Law, Ph.D  Student
E-mail: ketevan.lastakanidze02@gruni.edu.ge

**Abstract**
Persons with disabilities have the right to have and enjoy with other people on equal terms, to fully enjoy human rights, which are protected by the European Convention on Human rights, the European Social Charter, the United Nations Convention on the Rights of Persons with Disabilities and other international agreements.
Our goal is limited capacity of persons Ensuring equal opportunities for equality and dignity in specific areas. For this, their independence, freedom of choice, full and active participation in all spheres of life and society, raising awareness of specific difficulties are needed. About which they have little information.
Persons with disabilities, like all individuals, have the right to belong to society Full-fledged members should have the right to free choice, have the possibility of self-realization, it is also a necessary aspect to protect rheir free choice and inviolability from a number of crimes.

# ოჯახში ძალადობა, არასრულწლოვანის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ

**ნინო რიჟვაძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობა
სამართლის სკოლა, ბაკალავრიატი
ელ-ფოსტა: Nino.rizhvadze21@gruni.edu.ge
**ლანა ბერიძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობა
სამართლის სკოლა, ბაკალავრიატი
ელ-ფოსტა: Lana.beridze21@gruni.edu.ge

ხელმძღვანელი: **ქეთევან ლასტაკანიძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (ბათუმი)
სამართლის სკოლა, დოქტორანტი
ელ-ფოსტა: ketevan.lastakanidze02@gruni.edu.ge

**აბსტრაქტი**

დღეს საქართველოში კრიმინალური დონე საკმაოდ გაზრდილია, განსაკუთრებით ხშირი შემთხვევაა ოჯახში ძალადობა, ეს პრობლემა არ არის ყოველთვის ზედაპირზე,რადგან იგი ხშირად პირადი ურთიერთობების ფარგლებში, ან დახურულ სივრცეში ხდება, და ოჯახში ძალადობის შედეგად  ზეწოლა ხდება არასრულწლოვან ბავშვებზეც.

ოჯახში ძალადობის ერთ-ერთი პუნქტი, რაზედაც ვისაუბრებთ, არის არასრულწლოვანის თანდასწრებით ჩადენილი ქმედება. მსგავსი ფაქტები სამწუხაროდ მრავლადაა ქვეყანაში, ეს არის, როგორც  ფსიქოლოგიური ასევე ფიზიკური ძალადობის შემთხვევები, რასაც ხშირად არასრულწლოვანი ოჯახის წევრები ესწრებიან, რაც მოქმედებს მათ ფსიქოლოგიურ პრობლემებზე. არასრულწლოვნების თანდასწრებით ჩადენილ ქმედებებს, მძიმე შედეგი მოჰყვება.

ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში საუბარი იქნება, თუ რა დამოკიდებულება აქვს ქართულ საზოგადოებას ამ დანაშაულის მიმართ რაში დგას პრობლემა რა პრევენციის ღონისძიებები უნდა გავატაროთ არსებულ საკითხთან ბრძოლის დროს რათა დავიცვათ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი.

**საძიებო სიტყვები:** კრიმინალი; არასრულწლოვანი; პრევენცია; საუკეთესო ინტერესი.

# Domestic violence in the presence of a minor against a member of his own family

**Nino Rizhvadze**
Batumi representative of Grigol Robakidze University
Law School, Bachelor's degree
E-mail: Nino.rizhvadze21@gruni.edu.ge
**Lana Beridze**
Batumi representative of Grigol Robakidze University
Law School, Bachelor's degree
E-mail: Lana.beridze21@gruni.edu.ge

**Ketevan Lastakanidze**
Grigol Robakidze University (Batumi), Invited Lector
School of Law, Ph.D Student
E-mail: ketevan.lastakanidze02@gruni.edu.ge

Nowadays, the level of crime in Georgia is rather high, domestic violence is especially common, this problem is not always on the surface, because it often happens within the framework of personal relationships or in a closed space, and due to the domestic violence, pressure is also placed on underage children.

One of the points of domestic violence that we will discuss is the act committed in the presence of a child. Unfortunately, similar facts are numerous in the country, that is, cases of both psychological and physical violence, which are often attended by little family members, which affects their psychological problems. Actions committed in the presence of children will have severe consequences.
In the research carried out by us, we will talk about the attitude of the Georgian society towards this crime, what is the problem, what prevention measures should be taken during the fight against the existing issue in order to protect the best interest of the children.

**Search words:** crime; minor; prevention; best interest.

# მდგრადი განვითარების მე-16 მიზნის მიღწევის პერსპექტივები და გამოწვევები საქართველოში

**ნიკოლოზ ნაჭყებია**
გროგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
სამართლის სკოლა, ბაკალავრიატი
ელ-ფოსტა: nikoloz.natchkebia22@gruni.edu.ge

მოხსენების მიზანია თავლსაჩინო გახადოს საქართველოში მდგრადი განვითარების მე-16 მიზანთან დაკავშირებული გამოწვევები და ამ მიზნის მიღწევის პერსპექტივები სამართლის ჭრილში, კერძოდ, განსახილველი თემები იქნება : მშვიდობა, სამართლიანობა და სახელმწიფოს ძლიერი ინსტიტუტები. ზემოაღნიშნული საკითხები განვითარებადი ქვეყნებისთვის და განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ასპარეზზე. პრეზენტაციის ფარგლებში შევეხებით მთავარ გამოწვევებს, კონკრეტულად განვიხილავთ ისეთ საკითხებს, როგორიცაა, ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ამ მიზეზით სიკვდილიანობის შემთხვევათა შემცირება, აქ მნიშვნელოვანია სტატისტიკური მონაცემები ,რომელიც დღეს არსებულ საერთო სურათს ასახავს. აგრეთვე მნიშვნელოვანია ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვა, ბავშთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა, ტრეფიკინგის შემთხევების შემცირება. ქვეყნისთვის მთავარ გამოწვევად რჩება კორუფცია და გამჭირვალე ინსტიტუტების არსებობა ,ამასთან საკანონმდებლო სისტემის გამართული მუშაობა და დისკრიმინაციასთან ბრძოლა, ეროვნული ინსტიტუტების გაძლიერება. ხოლო განვითარებადი ქვეყნების გლობალურ მმართველობის ინსტიტუტებში ჩართვა უმნიშვნელოვანესია საქართველოს მდგრადი განვითარებისთვის. თითოეულ საკითხთან მიმართებით ჩაშლილი იქნება, როგორც სტატისტიკური მონაცემები, ისე სახელმწიფო სტრუქტურების წინ გადადგმული ნაბიჯები, სამომავლო გეგმები, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხი, გამოკვეთილი გვექნება წარსულში არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები და ამასთან არსებულ პრობლემატური საკითხების გადაჭრის გზების თეორიები, მეთოდები და სამუშაო გეგმა. ვეცდებით ჩვენი კვლევის საფუძველზე სწორად მოგაწოდოთ არსებული საკითხის სპეციფიკა და თვალნათლივ წარმოვაჩინოთ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევები.

**საძიებო სიტყვები:** მდგრადი განვითარება, გამოწვევები, უფლებები, საკანონმდებლო სისტემა;

# სარჩევი
# Table Of Contents

Shadow Banking Challenges in Georgia ........................................................................................................ 3
*Vakhtang Charaia*
*Mariam Lashkhi*
*Lana Ebralidze*

კომერციული ბანკების არასაპროცენტო შემოსავლების ზეგავლენა არასაპროცენტო მარჟაზე, სავალუტო კურსზე (სპეკულატიური სცენარების ალბათობა) ........................................... 5
*გიორგი ცუცქირიძე*

Impact of Non-interest Income of Commercial Banks on Non-interest Margin, Exchange rate (Probability of Speculative Scenarios) ........................................................................................................................ 6
*Giorgi Tsutskiridze*

Entrepreneurial incentives among university students in Georgia ................................................................ 8
*Tengiz Taktakishvili*

Financial crisis and financial innovation ........................................................................................................ 9
*Tamar Gamsakhurdia*
*Ketevan Maisuradze*

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა შრომის პროდუქტიულობაზე (საქართველოს მაგალითზე)........................................................................................................................................ 12
*თინათინ ჟორჟოლიანი*
Effects of Foreign Direct Investment on Labor Productivity (on the case of Georgia) ................................ 13
*Tinatin Zhorzholiani*

სახელმწიფო დახმარება: ხარვეზები, მოწესრიგების გზები.................................................................. 14
*სლავა ფეტელავა*
*ჯამლეტ ჯანჯღავა*
State Aid: Defects, Ways of Regulation ........................................................................................................ 15
*Slava Fetelava*
*Jamlet Janjgava*

უახლოესი მიგრაციული პროცესები - გამოწვევები და შესაძლებლობები ........................................ 15
*დარეჯან ჩხუბაძე*
*სონია ჩეჩელაშვილი*
Upcoming Migrational Processes – Challenges and Opportunities ............................................................ 17
*Daredjan Tchkhubadze*
*Sonia Tchetchelashvili*

კრიტიკული აზროვნების ელემენტები ბიზნესში ................................................................................ 18
*ლევან გორგილაძე*
*ოთარ გერზმავა*
*ნინო გორგილაძე*

Elements of Critical Thinking in Business ........................................................................................... 20
*Gorgiladze Levan*
*Gerzmava Otar*
*Gorgiladze Nino*

Artificial Intelligence implications on the future jobs and skills: A fresh perspective from Netherlands and Germany ........................................................................................................................................ 21
*Prof. Dr. Muhammad Ashfaq*

საქართველოს როგორც ბრენდის პოზიციონირების შესაძლებლობები საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ........................................................................................................................ 22
*ირაკლი აბაშიძე*
Opportunities for positioning Georgia as a brand in the international tourism market ............................... 23
*Irakli Abashidze*

სამედიცინო ტურიზმის სახელმწიფო ხელშეწყობა და წახალისება .................................................. 24
*გიგი ყუფარაძე*
Government support and incentives of medical tourism ............................................................................ 25
*Gigi kuparadze*

ღვინის ტურიზმის მარკეტინგული სტრატეგია საქართველოში ....................................................... 26
*მაკა ფირანაშვილი*
*ლამარა ქადაგიძე*
*ერეკლე უგრელიძე*
Marketing strategy of wine tourism in Georgia ........................................................................................ 27
*Maka Phiranashvili*
*Lamara Kadagidze*
*Erekle Ugrelidze*

სხალთა-ხიხანის ხეობის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები .................................................... 28
*ჯუმბერ შაინიძე*
The Tourizm Aand Recreational Resources of Skhalta-Khikhani Valley ..................................................... 29
*Jumber Shainidze*

დასაქმების პრობლემები საქართველოს მასპინძლობის ინდუსტრიაში ........................................... 30
*მაია მელაძე*
*თამარ ქობლიანიძე*
Employment Issues in Georgian Hospitality Industry ................................................................................ 30
*Maia Meladze*
*Tamar Koblianidze*

კინოკულტურა საქართველოში (XX საუკუნის 20-იან წლებამდე) ..................................................... 32
*გიორგი უღრელიძე*
Film Culture in Georgia (Until the 20s of the 20th Century) ..................................................................... 33
*Giorgi Ugrelidze*

მესამე პირების მონაწილეობა ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეცვლის პროცესში …...... 35
*დავით გაბაიძე*

Participation of Third Parties in The Process of Changing the Administrative Contract ............................ 36
Davit Gabaidze

ნარკოტიკული დანაშაულის თანამედროვე გამოწვევები საქართველოში ........................................ 36
*ამირან მოსულიშვილი*

საქართველოში კრემლის ანტიდასავლური პროპაგანდის ძირითადი მახასიათებლები და დეზინფორმაციული ხასიათის მითები ..................................................................................................... 37
*ლაშა ხოზრევანიძე*
The main features of the Kremlin's anti-Western propaganda in Georgia and disinformation myths……...39
*Lasha Khozrevanidze*

შრომის უსაფრთხოების სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში - ღირსეული სამუშაო, როგორც მდგრადი განვითარების მიზანი ................................................................................................................ 41
*გუგული თურმანიძე*
*ლევანი მესხიშვილი*
State Policy of Labor Safety in Georgia - Decent Job The Goal of Sustainable Development ...................... 42
*Guguli Turmanidze*
*Levan Meskhishvili*

საქართველოს პოლიტიკური სტრატეგიის ფორმირება საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით ........................................................................................................................................... 44
*ხათუნა მურადიშვილი*
*ეკატერინა ზაქარაძე*
Formation of political strategy in Georgia with the involvement of international organizations ............... 45
*Khatuna Muradishvili*
*Ekaterina Zakaradze*

საქართველოს განათლების სისტემა, როგორც დემოკრატიის დაცვის გარანტი ............................ 46
*ამირან მესხიშვილი*

დასავლური ორიენტაციის გააზრება გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში „დიდი შუადღის“ მეტაფორის მიხედვით ....................................................................................................................... 47
*ჟუჟუნა შაინიძე*
Comprehension of Western Orientation in Gr. Robakidze's Creativity according to "Great Noon" Metaphor
*Zhuzhuna Shainidze* ........................................................................................................................ 48

აბსოლუტიზმისა და კულტურის ურთიერთმიმართების ნიცშეანური კონცეფცია გრიგოლ რობაქიძის ესეში „ქართული რენესანსი" ...................................................................................... 49
*მინდია ცეცხლაძე*
Nietzschean Conception of Interrelation between Absolutism and Culture in Grigol Robakidze's Essay "Georgian Renaissance" ................................................................................................................. 50
*Mindia Tsetskhladze*

Philosophical Texts from Muslim Philosophers: Ghazali's Encounter with the Bandits .......................... 51
*Prof. Dr. (PhD) Aytekin Demircioglu*

ფუნდამენტალური ცნებებისა და კანონზომიერებების როლი სამედიცინო აზროვნების ჩამოყალიბებაში ........................................................................................................................................ 52
*ლევან გორგილაძე*
*ოთარ გერზმავა*
*ნინო გორგილაძე*
Role of Fundamental Concepts and Regularities in the Formation of Medical Thinking .......................... 53
*Gorgiladze Levan*
*Gerzmava Otar*
*Gorgiladze Nino*

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის რეფორმების განხორციელების ეფექტურობის შეფასების შედეგები ............................... 55
*ნინო გორგილაძე*
*ოთარ გერზმავა*
*ლევან გორგილაძე*
Effectiveness evaluation of the implementation of reforms of the country's healthcare system within the framework of the Association Agreement between Georgia and the European Union .............................. 57
*Gorgiladze Nino*
*Gerzmava Otar*
*Gorgiladze Levan*

უცხოელი სტუდენტების ჩართულობა საუნივერსიტეტო სივრცეში: შეფასება და გამოწვევები *ზაზა ბერიშვილი* ........................................................................................................................ 58
*ნინო გორდელაძე*
Foreign Students' Engagement of in the University Space: assessment and challenges ............................ 59
*Zaza Berishvili*
*Nino Gordeladze*

OSCE გრუნის მედიცინის სკოლაში: გუშინ, დღეს, ხვალ ..................................................................... 60
*ნინო წილოსანი*
*ნინო გორდელაძე*
*ზაზა ბერიშვილი*
OSCE at GRUNI Medical School: Past, Present, Future ............................................................................... 61
*Nino Tsilosani*
*Zaza Berishvili*
*Nino Gordeladze*

Georgian Health Tourism of the Rehabilitation in Pediatric ....................................................................... 62
*Liana Siradze*

გარემოს ბიომედიცინა და პათოგენური ორგანიზმების ვიბრაციული თვისებები ....................... 63
*პაატა კერვალიშვილი*
Environmental Biomedicine and Vibrational Properties of Pathogenic Organisms .................................. 64
*Paata Kervalishvili*

საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალის ცოდნისა და კვალიფიკაციის შეფასება, როგორც სამედიცინო მომსახურების ხარისხის ძირითადი კრიტერიუმი ....................................................... 66
*ანა თეგეთაშვილი*
*ილონა ბიტაროვა*

The Quality of Medical Services as a Basic Criterion for the Assessment of The Knowledge and Qualifications of Hospital Medical Staff ........................................................................................................ 67
*Anna Tegetashvili*
*Ilona Bitarova*

საექიმო შეცდომა. ეთიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტები ................................. 68
*ეკა ზოიძე*
*ნაზი მგელაძე*

ათეროსკლეროზული სისხლძარღვოვანი დაავადება: სქესის გავლენა დაავადების ზოგიერთ ასპექტზე ........................................................................................................................................ 70
*თამარ ვახტანგაძე*
Atherosclerotic Vascular Disease: influence of sex on some aspects of the disease ..................................... 71
*Tamar Vakhtangadze*

Somatoform and other Neurological Disorders with Clinical-Psychological Appearance in Children and Adolescents ........................................................................................................................................ 72
*Maria Khundadze*

წყალტუბოს წყალში არსებული რადონის ჰორმეზისული გავლენა ეპილეფსიურ ვირთაგვებზე და სამედიცინო ტურიზმის განვითარებაზე ................................................................................................ 73
*მარინა ნიკოლაიშვილი*
Hormetic effect of radon present in Tskaltubo water on seizures in epileptic rats and perspective of development of medical tourism in Tskaltubo ............................................................................................ 74
*Marina Nikolaishvili*

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - *„საქართველოს მდგრადი განვითარება: გლობალური გამოწვევები და პერსპექტივები პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ ჭრილში“* წარმოდგენილი სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომები ...................................................................... 75

საინვესტიციო რისკების შეფასება თანამედროვე კომპანიებში ......................................................... 75
*რუსუდან ანთაძე*
*ხელმძღვანელი: თინათინ ჟორჟოლიანი*

რეფინანსირების განაკვეთის დამოკიდებულება ლარის გაცვლით კურსსა და ინფლაციაზე …..... 76
*ანა სარიშვილი*
*ხელმძღვანელი: რამინ ცინარიძე*
The impact of the monetary policy rate on the national currency's exchange rate and inflation ............... 77
*Ana Sarishvili*
*Scientific Supervizor: Ramin Tsinaridze*

ლიდერობის მიდგომები და როლი კომპანიის მართვაში .................................................................. 78
*ანა კობალაძე*
*ხელმძღვანელი: რამინ ცინარიძე*
Leadership Styles and Role in Company Management ................................................................................. 80
*Ana kobaladze*
*Scientific Supervizor: Ramin Tsinaridze*

ინტერნეტ საკომუნიკაციო არხების როლი საქართველოს ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაში ........................................ 81
*მარიამ კეკელიძე*
*ლიკა ბეჟანიძე*
*ინგა თებიძე*
*ხელმძღვანელი: ირაკლი აბაშიძე*
The role of internet communication channels in development of tourism industry of Georgia ................ 82
*Mariam Kekelidze*
*Lika Bezhanidze*
*Inga Tebidze*
*Head scientist: Irakli Abashidze*

სათავგადასავლო ტურიზმის შესაძლებლობები აჭარაში ........................................ 83
*ანი გელაშვილი*

ბათუმის ბოტანიკური ბაღის ტურისტული პოტენციალი ........................................ 85
*მარიამ ჯორბენაძე*
*მარიამ ბოლქვაძე*
*ხელმძღვანელი: გიორგი უღრელიძე*

გასტრონომია და ღვინის ტურიზმი ........................................ 86
*ნანუკა ფარტენაძე*
*ხატია ტიტველაშვილი*

საქართველოში ტურიზმის აღდგენის შესაძლებლობა პოსტპანდემიურ პერიოდში ........................ 88
*თეა წინწკალაძე*
*ხელმძღვანელი: მაკა ფირანაშვილი*

ღვინის ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში „შატო მუხრანის“ მაგალითზე ........................................ 89
*ლიზი ძიმისტარიშვილი*
*ხელმძღვანელი: მაკა ფირანაშვილი*

ინტერნეტ-ერის გამოწვევები: კიბერდანაშაულის სახეები ........................................ 91
*ანრი ნიშნიანიძე*
Challenges of the Internet Era: Types of Cybercrime ........................................ 91
*Anri Nishnianidze*

სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში ........................................ 92
*ეკა ჯორბენაძე*
*რუსუდან ძნელაძე*
*ქეთევან სიორდია*
Civil society in Georgia ........................................ 93
*Eka Jorbenadze*
*Rusudan Dzneladze*
*Ketevan  Siordia*

გლობალიზაცია და სამოქალაქო საზოგადოება ........ 94
*ეკა ჯორბენაძე*
*ლიკა ფორჩხიძე*
Globalization and civil society ........ 95
*Eka Jorbenadze*
*Lika Porchkhidze*

ბავშვთა უფლებების დაცვა საქართველოში ........ 96
*ლიკა შაინიძე*
*ლინდა მორთულაძე*
*მარიკა მანუკიანი*
*ხელმძღვანელი: ქეთევან კუხიანიძე*
Protection of children's rights in Georgia ........ 97
*Lika Shainidze*
*Linda Mortudaze*
*Marika Manukian*
*Scientific supervisor: Ketevan Kukhianidze*

შშმ პირების განათლების და სექსუალური უფლების ხელშეუხებლობა ........ 98
*ლინდა მახარაძე*
*ლიზი ქობულაძე*
*ხელმძღვანელი: ქეთევან ლასტაკანიძე*
Inviolability of education and sexual rights of persons with disabilities ........ 99
*Linda Makharadze*
*Lizi Kobuladze*
*Scientific supervisor: Ketevan Lastakanidze*

ოჯახში ძალადობა, არასრულწლოვანის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ ........ 100
*ნინო რიჟვაძე*
*ლანა ბერიძე*
*ხელმძღვანელი: ქეთევან ლასტაკანიძე*
Domestic violence in the presence of a minor against a member of his own family ........ 101
*Nino Rizhvadze*
*Lana Beridze*
*Scientific supervisor: Ketevan Lastakanidze*

მდგრადი განვითარების მე-16 მიზნის მიღწევის პერსპექტივები და გამოწვევები საქართველოში
*ნიკოლოზ ნაჭყებია* ........ 102

© კრებული, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი - 2022
კრებულში წარმოდგენილია პრაქტიკული ღირებულების მქონე თეზისები.
დაუშვებელია გამოცემული მასალების კომერციული მიზნით გამოყენება უნივერსიტეტის თანხმობის გარეშე.
სამეცნიერო კრებულის რედაქტორები:
ვახტანგ ჭარაია, პროფესორი v.charaia@gruni.edu.ge
გუგული თურმანიძე, Ph.D (c) g.turmanidze@gruni.edu.ge